



ორგანო სპ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.

832
1949

რვაენი

ფრთვა

“NOTRE DRAPEAU”

N° 2

პარიზი

მ ა ო ბ ო

Paris.

1949

ეს არის 26 მაისი, მაისი ქართველი ერის და ხალხის აღდგომის, თავისუფლების და დამოუკიდებლობის.

ქართველი ხალხი პირდაპირ უშუალოთ გათვითცნობიერებული და გამთლიანებული პირველათ გამოვიდა საქვეყნო ასპარეზზე 26 მაის და მისცა დასაბამი ახალ ისტორიას, თქვა ახალი სიტყვა, გამოკვეთა თავისი სავალი გზა. მან აქ პირველათ მიიძახა მომავალს: მე ვარ ჩემი თავის ბატონი, უნდა ვიყო თავისუფალი.

ჩვენს ირგვლივ იცვლება ყველაფერი, იქსოვება ახალ-ახალი მოვლენათა ქსელი, ხდება გადაჯგუფება-გადმოჯგუფება, მთელი რიგი ისტორიული გადასხვაფერებისა.

არ იცვლება მხოლოდ ერთი მოვლენა, არ იცვლება 26 მაისი; ის რჩება იქ, სადაც დაიბადა, უცვლელათ, შეუდრკელათ, ამაყათ.

და ეს იმიტომ, რომ მისი ძირი, მისი ფესვები ღრმათ არის გადგმული ქართველი ერის სულსა და გულში, მან სამუდამოთ დაიპყრო მთელი ხალხი, მან აშკარათ დაანახვა მას სასიცოცხლო გზები.

26 მაის ქართველობა დაეპატრონა თავის თავს, როგორც ერთი მთლიანი ერი, გამოკვეთა ერთი ხალხი ჭირში და ლხინში განუყრელი. მან სთქვა თავისი საკუთარი სიტყვა ცხოვრების ყველა დარგში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ და ნაციონალურ ურთიერთობაში და მან ეს აღბეჭდა ჯერ საქმით და შემდეგ სიტყვით—კონსტიტუციაში.

მოსკოვმა მოგვტაცა ეს სიდიადე, გაატეხა ჩვენი წყობილება, მოსპო ჩვენი თავისუფლება. ვერ მოგვტაცა მხოლოდ ჩვენი სული, ვერ გაატეხა ერის მორალი, მისი მთლიანობა, მისი გადაწყვეტილება—იყოს თავისუფალი.

26 მაისი ბუდობს თვითეულ ქართველში; ის აღარ ფრიალეებს გამოჩენილათ საქართველოში, ის ფრიალებს გამოუჩენელათ-ყველა ქართველში. აი ეს მორალური ძალა, ეს სულიერი სიმტკიცე და ურყევი იდეალი არის აუღებელი სიმაგრე, რასაც შეასკდება მტერთა იერიშები. ის თავდებია, უტყუარი თავდებია მისი საბოლოო გამარჯვების. ამ ისტორიულ სტიქიას ვერავითარი ძალმომრეობა ვერ მოსპობს, ვერ შეაჩერებს; ის გადალახავს ყველა დაბრკოლებებს და ამა თუ იმ გზით აღსდგება—26 მაისი კვლავ აშკარათ გამოანათებს და ერის მსვლელობას უმეთაურებს.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობა ცვალებადია, ხან ერთი ზარი ჩამორეკს, ხან მეორე. ამ ისტორიულ ზვირთთა სრბოლაში, ამ არეულ-დარეულ ხანაში ქართველი ერის პატარა ნაგი გასცურავს სამშვიდობოზე მხოლოდ ერთი საშუალებით—მისი მთლიანობის შენახვით, მისი თავის თავის ერთგულებით, მისი 26 მაისით.

საქ. ხ.-დ. პარ. ხადვ.-გარ. ბიურო.

30261



ახალი საქართველო.

ახალი, 26 მაისის, საქართველოს უკეთ გასაგებათ და შესაგნებათ საჭიროა გავიხსენოთ მის წინ არსებული ძველი საქართველო, მისი დამახასიათებელი ძირითადი თვისებებით.

1. ძველი საქართველო.

დავით აღმაშენებლის და მისი მემკვიდრეთა მიერ გაერთიანებული ნაციონალური საქართველო იწყებს რღვევას მეცამეტე საუკუნიდან და ნაწილდება რამოდენიმე სამეფოთ და სამთავროთ.

შიგნით საბოლოოთ ბატონდება ფეოდალური რეჟიმი, ერის და მისი ტერიტორიის დაქუცმაცება, ხოლო გარედან განიცდის მტერთა მუდმივ შემოსევას.

კლასიკური საქართველო გზას უთმობს თავად-აზნაურულ საქართველოს და ეცემა როგორც ერთი მთლიანი ნაციონალური, ტერიტორიალური და სახელმწიფოებრივი ერთეული. ამ სახით ჩაბარდა ის რუსეთს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში.

რუსეთის ბატონობაში ეს დაცემა კიდევ უფრო მწვავედება. ერი ნაწილდება გუბერნიებათ და მახრებათ. ყველა ძველი გეოგრაფიული ანუ სხვადასხვა ისპობა. მას ევლინება უცხო მართველობა, უცხო მოხელენი უცხო ენით, კანონებით და ადმინისტრაციით. ის მთლიანდება ტერიტორიალურათ და ეთნიურათ, ისპობა ფეოდალიზმი, მყარდება შინაგანი წესრიგი, ქრება პოლიტიკურათ და ნაციონალურ-კულტურულათ; იწყება მისი გადაგვარება, გარუსება, მისი ისტორიული მიჯნების მოშლა, უცხო ტომების ჩამოსახლება, ქალაქების დენაციონალიზაცია, ვაჭრობა-მრეწველობის და სოფლის მამულების უცხოთა ხელში გადასვლა—ერთისიტყვით ერის ზედაპირიდან ქართველობის გაქრობა. თავად-აზნაურობა რუსის მეფის ერთგული, რუსულ პომეშიკიკათ გადაქცეული, გლეხი მისი მორჩილი, ქალაქის მუშა უმწეოთ მიგდებული, წვრილი ბურჟუაზია არა-ქართული, სწავლა-განათლება რუსულათ აწყობილი, ქართული სული, ქართული თვითმოქმედება ყველა სფეროში ჩაკლული.

ამნაირათ, საქართველომ განელო სამი ერთიმეორისაგან დიდათ განსხვავებული პერიოდი: აღორძინებული, მონარქიულ-მოხელური, მსგავსათ ევროპაში დიდი ხნის შემდეგ განვითარებულის, დაცემული, ფეოდალურ თავად-აზნაურული და ბოლოს რუსულ-პოლიციური და პომეშიკიკური. ერი განიცდიდა სამნაირ ჩაგვრას: ნაციონალურს, პოლიტიკურს და სოციალურ-ეკონომიურს.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია ჩაგრულნი გამოხმაურებოდენ პირველსავე ამოვარდნილ მოძრაობას არსებული მდგომარეობის შესაცვლელათ და ამ ხაზზე ეძებნათ რაიმე

გამოსავალი. მესამოცე წლებში დაწყებული ოპოზიციური სულისკვეთება ჩქარა სხვაფერდება რევოლიუციურ მოძრაობათ და ესკენება ფართო მასების ძირითად უკმაყოფილებას. 1905 წელს ქართველი ხალხი აშკარათ და გაბედულათ დგება საერთო რევოლიუციურ ფერხულში, ემხრობა ამ მოძრაობის მთავარ მედროშეს ჩვენსში ქართველ სოციალ-დემოკრატებს, მათ ირჩევს ყველა სახელმწიფო დუმაში თავის წარმომადგენლებათ, სხვა დაჯგუფებებიდან არასოდეს არავინ გარდა ერთი სოც. ფედერალისტისა. ბოლშევიკური ფრაქცია საესეებით გაირიყა ქართველი ერისაგან, არც ერთ არჩევანში მისი ნდობა არ მიუღია, არც ერთი მანდატი მათვის არ მიუცია.

ამ მოძრაობით, ბრძოლით და თავის დადებით ქართველობა მოემხადა გადამჭრელი ბრძოლისათვის და უცდიდა საამისო შემთხვევის გამოჩენას. ეს შემთხვევა შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი: მეფის რეჟიმის დანგრევა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე და ამ დიდი ნანგრევიდან გზების გამონახვა ახალი საქართველოს ასაშენებლათ.

ეს მოლოდინი გამართლდა.

2. 1917 წლის რევოლიუცია.

მსოფლიო ომის მსვლელობაში 1917 წ. თებერვალში რუსეთში იფეთქა რევოლიუცია, დაეცა მეფის რეჟიმი, გამოცხადდა დემოკრატიული რესპუბლიკა, შედგა დროებითი მთავრობა ცენტრში და მისი განყოფილებანი განაპირა ქვეყნებში. (თბილისში დაარსდა ამიერკავკასიის კომისარიატი). ამავე დროს საქართველოში დაარსდა მუშათა და გლეხთა საბჭოები, რომელნიც ჩაუდგენ რევოლიუციის განვითარებას სათავეში. ამ დროს ჩვენსში და რუსეთში რევოლიუციური პროცესი ვიდოდა ერთი ხაზით, ერთიმეორის დახმარებით და თანხმობით. მოხდა მოულოდნელი: ოქტომბერში ბოლშევიკურ მოძრაობამ დაამარცხა რუსეთში დემოკრატია და გამოაცხადა თავისი ფრაქციული დიქტატურა. ამ დროიდან გაიყარენ საქართველოს და რუსეთის სავალი გზები და თვითუღი დგება და აგრძელებს თავის საკუთარ ძველთაგან გამომუშავებულ ისტორიულ მსვლელობას.

რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

ასი წელი საქართველო შეადგენდა რუსეთის ნაწილს პოლიტიკურათ, ხოლო არასოდეს ნაციონალურათ, სოციალურათ და ეკონომიურათ.

იქ მეფობდა გლეხთა შორის მიწის საერთო მფლობელობა (ობშინა), ჩვენსში კი, პირიქით, კერძო საკუთრება.

იქ თვით თავად-აზნაურობის მამულის კერძო საკუთრება იწყება მხოლოდ მე-18 საუკ. ბოლოდან, ეკატერინე მეორის კანონებით; ჩვენსში მიწის საკუთრება ვითარდება უხსოვარი დროიდან, სავარეულო წყობილების დარღვევიდან, ქრისტეს წინ.

ამიტომ რუსეთში არასოდეს არ ყოფილა ფეოდალური წყობილება; ყველაფერი და ყოველივე: მიწა, მცხოვრებნი, მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ეკუთვნოდა მეფეს და განაგებდა ის მისი აგენტების საშუალებით.

რუსეთის სოციალური წყობა განვითარდა აზიის ხაზით, საქართველოს კი ევროპიულის. ჩვენსში გაბატონებულ რუსის მთავრობას არც კი უცდია საქართველო გადაეყვანა თავის სოციალურ ხაზზე; პირიქით, ის თვით ცდილობდა გადასვლას ევროპის ხაზზე სხვადასხვა რეფორმებით.

აი მთელი ეს ახალი მიმდინარეობა რუსეთში ერთი დაკვრით მოსპო ბოლშევიკურ რევოლუციამ და აღადგინა ძველი აზიური სოციალური წყობილება: მან დაუმორჩილა მთავრობას და მის აგენტებს მთელი უძრავ-მოძრავი ქონება და ყველა მცხოვრებნი. ივანე მრისხანეს რუსეთი აღსდგა და სხვადასხვა სახელწოდებით გამოცხადდა ახალ რუსეთად.

უკანასკნელი ასი წლის ზერელე რეფორმებმა რუსეთი ვერ გახადა ევროპიულ ქვეყნად, ვერ ამოგადო ერის ძველი სოციალური და პოლიტიკური ძირი, ვერ გახადა ვერც თანამედროვე აზიურ ერად, სადაც, ყოველგან, გაბატონდა დასავლეთის ეკონომიური და პოლიტიკური პრინციპები; ის ჩარჩა ძველ დროშოქმულ აზიურ ქურქში და ამ მხრით მიერეკება დღეს მთელ კაცობრიობას.

საქართველომ არ იცნა ეს რუსეთი, არ დაემორჩილა მის განაჩენს, გამოეყო მას და დიდის ზეიმით 1918 წ. 26 მაის გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, ააფრიალა საკუთარი ნაციონალური, პოლიტიკური და სოციალური დროშა. ის გამოეყო რუსეთს არა მარტო სიტყვით, სურვილებით, შენ შენთვის და მე ჩემთვისო, როგორც ეს ჩაიღინეს ზოგ სხვა ერებმა, არამედ საქმით, ამშენებლობით, იმ დიდი რეფორმებით, რომელიც მან გაატარა და რაც არც ერთ მის შორეულ თუ ახლობელ მეზობლებს არ გაუტარებიათ. რით ხასიათდება ეს ქართული საქმიანობა?

პირველყოვლისა ახალმა საქართველომ უარყო როგორც რუსული, ისე ფეოდალური საქართველო და გადაესკვნა კლასიკური საქართველოს ძირითად ხაზს—იყო ნაციონალური, მთლიანი, თავისთავის პატრონი და წინამძღოლი. ამ საფუძველზე აშენდა თანამედროვე ფორმის და შინაარსის ერთგული სხეული. მოთავსდა ახალ პოლიტიკურ და ეკონომიურ ჩარჩოში. გამოცხადდა ორგვარი სუვერენობა—ერის და ხალხის; ისპობა ამით ერის დანაწილება წოდებებით, კასტებით, პრივილეგიურ, ბატონურ და მორჩილ ნაწილებად; ერი ეპატრონება თავისთავს, ხოლო ერს მისი დიდი უმრავლეობა, მთელი ხალხი, შესაფერი სახალხო ორგანოების საშუალებით. დამყარდა ნამდვილი ხალხური მართველობა, ხალხური დემოკრატია, არა მსგავსი დასავლეთი ევროპისა, არა ბურჟუაზიული და ოლიგარხიული, არამედ ხალხის—გლეხობის, მუ-

შების, წვრილი მესაკუთრეების და მათი მომდევნო წრეების. მან უარყო ყოველნაირი ძალმომრეობა, ტირანია, როგორც ერთი მუჟა უზურპატორების (მსგავსათ ბოლშევიკებისა), ისე პარტიებისა და მასებისა. თავისუფლება ერის, ხოლო ერში თავისუფლება ყველა სფეროში განუყრელათ ერთიმეორეს გადაება და ეს ჩამოყალიბდა შესაფერ დოკუმენტში—საქართველოს კონსტიტუციაში. აღიკვეთა მხოლოდ ერთად ერთი თავისუფლება—მუშაობა წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისა, ერის სუვერენობისა. ერთისიტყვით, თავისუფლება ერის და ხალხის სამსახურში—აი ხალხური დემოკრატიის ნამდვილი გამოხატულება.

ეს პოლიტიკური შენობა აეგო ასეთსავე ხალხურ სოციალურ საფუძველზე. საქართველოს ეკონომიკის ქვაკუთხედათ გამოცხადდა ორნაირი საკუთრება: ერის და წვრილი მესაკუთრის, ნაციონალური და მშრომელთა ინდივიდუალური. ამ მიზნით დიდ მემამულეთ ჩამოერთვა მამულები და დაურიგდა მცირე მესაკუთრეთ და უმიწაწყლო გლეხობას, უსასყიდლოთ, ხოლო სახელმწიფოს ხელში გადავიდა სხვილი კულტურულათ დამუშავებული განუყოფელი მამულები, რუსეთის ხაზინის უძრავ-მოდრავი ქონება, მთა-მადნები, წყლები, გზები და სხ. გამოცხადდა თავისუფლება ვაჭარ-მრეწველთათვის, ხოლო სხვილი მრეწველობა და საგარეო აღებმიცემობა მთავრობასან შეთანხმებით და მისი მონაწილეობით. ტარდება ღრმა სოციალური რეფორმები დაქირავებულთა სამფარველოთ, მუშათა შრომის რაციონალიზაციის და ადამიანურ კალაპოტში ჩასაყენებლათ, კოოპერატივების, სხვადასხვა თავისუფალი ამხანაგობების დასაარსებლათ და სხ. *) ამასთანავე ნაციონალურ უმცირესობათ ენიჭება ყველა ის უფლება, რითაც აღიჭურვა თვით ქართველობა—ყველა სფეროში. საქართველოს ყველა მოქალაქე, განურჩევლათ შთამომავლობისა, გამოცხადდა თანასწორათ, ერთნაირ უფლებაუპირატესობით აღჭურვილათ. ამას ემატება კულტურული აღმშენებლობა—დაარსება პირველი ქართული უნივერსიტეტის და სხვა მაღალი და საშუალო სასწავლებლების, გამრავლება სახალხო შკოლების და მათი გათავება სავალდებულოთ აღიარება ყველა ქალ-ვაჟისათვის, ყველა სასწავლებლის დედა-ენაზე აგება და სხ.

ამხიარათ, ახალ საქართველოში გატარდა სოციალურ სფეროში კოორდინაცია, შეთანხმება ნაციონალური და კერძო ეკონომიკას შორის, რამაც გამოიწვია უცხოთა ხელში გადასული მრავალნაირი სიმდიდრის ნაციონალიზაცია, ქალაქების, პირველყოვლისა დედაქალაქის თბილისის, გაქართველება, ქართველი მუნიციპალიტეტების არჩევა, ხალხის ყველა

*) იხ. საქართველოს კონსტიტუცია. მუხლები: 113, 114, 115, 116, 117—127.

ფენების განურჩევლათ გვარტომობისა ერთად დარაზმვა და ხელიხელ ჩაქიდებული ახალ ნიადაგზე დადგომა. თბილისში ჩნდება ქართველი ქალაქის თავი, დგება ქართული გამგეობა.

მთელი ეს აღმშენებლობა მიღებული და დადასტურებული იქმნა მთელი ერის, ყველა მისი დაჯგუფების, პარტიების და წოდებათა მიერ. მას არ გამოუწვევია არავითარი საშინაო ბრძოლა, შუღლი და განხეთქილება, არავითარი სამოქალაქო ომი, მსგავსათ რუსეთისა; მემამულენი დაემორჩილენ საერთო განაჩენს და უპროტესტოთ ჩადგენ მის სამსახურში. ერთად-ერთი დაჯგუფება, რომელიც არ დაემორჩილა ერს და ააფრიალა ბრძოლის დროს მისი აღორძინებისა წინააღმდეგ იყვენ ქართველი ბოლშევიკები, ეს მოსკოვის ტირანიის დაქირავებული აგენტები. ამის გამო ისინი გამოცხადდენ კანონს გარეშე, როგორც სამშობლოს მოღალატენი, გახდენ სატუსაღოს მობინადრენი, რამაც გასტეხა ისინი და თავი მოიხარეს შექმნილ ფაქტის წინაშე, იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მიიღეს ამ ხაზზე ლეგალურათ მუშაობის უფლება, რაიცა ჩქარა გათავდა მათი ხელახალი ლალატიით და ორპირობით.

იშვა ახალი საქართველო, ახალი ნაციონალურათ, პოლიტიკურათ და სოციალურათ. მას აკლდა მხოლოდ ტერიტორიალურათ გამთლიანება, რის მოგვარება განდა ერის მთავარ საზრუნავათ.

3. საქართველოს საზღვრები.

როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მისი საზღვრები უკვე დამაზინჯებული იყო იმავე ვერაგი და მოღალატე ბოლშევიკების მიერ. ბრესტიტოვსკის საზავო კონგრესზე მოსკოვმა იყიდა ოსმალეთთან ზავი საქართველოს ხარჯზე, მას გადასცეს ჩვენი ტერიტორიები—მთელი აჭარა-ქობულეთი ბათუმით, ართვინის და არტაანის ოლქები ყარსის ოლქის მიმატებით. ენვერ ფაშა არც ამით დაკმაყოფილდა და შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში მის—დასაპყრობათ. აი აქ, ამ კრიტიკულ მომენტში, უჯარო და უიარაღო ერს მოევლინა მოულოდნელი დამხმარე—გერმანია და მისი შემწეობით იარაღით ხელში მთავარი მოკავშირე ოსმალეთი ჩააბრუნა თავის საზღვრებში. მაგრამ მის ხელში მაინც დარჩა ბრესლიტოვსკში მიღებული ტერიტორიები. ნაციონალური მთავრობის მთავარ ამოცანათ განდა ამ დაკარგული პროვინციების დაბრუნება და მით ერის ტერიტორიალურათ გამთელება.

გერმანია-ოსმალეთის დამარცხებას მოყვა მათი ჯარების გასვლა საქართველოდან; ოსმალეთი სკლის ბრესლიტოვსკის საზღვრებს და მის ადგილს იჭერს ინგლისი. მოსალოდნე იყო დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება საქართველოსათვის, მაგრამ ეს არ მოხდა. ინგლისი თვით დაბანაკდა იქ, გამოაცხადა თავისი ოკუპაცია და რუს-დენიკინელთა საშუა-

ლებით შეუდგა მის მართვას. ინგლისი მოგვევლინა როგორც აშკარა მოწინააღმდეგე და მფარველი დენიკინის რუსეთის. ამავე დროს გამოჩნდა სომხეთის პრეტენზია საქართველოს ნაწილებზე; ინგლისელთა შემოსვლით წათამამებულნი თავს გვესხმიან ბორჩალოს მხრიდან, ჩვენს ჯარებს ვეღარ უძლებენ, მარცხდებიან და მხოლოდ ინგლისის ჩამორევით ვხდებით იძულებული შეტევა შევაჩეროთ და «ნეიტრალური ზონით» დროებით დავკმაყოფილდეთ. ამავე დროს სოჩის მხრიდან საქართველოს თავს ესხმის დენიკინის ლაშქარი, ხოლო ინგლისის სარდლობა წინადადებას აძლევს ჩვენს მთავრობას მოურიგდეს დენიკინს, მიიღოს მისი მფარველობა, შევიდეს რუსეთის ფარგალში და სამაგიეროდ მიიღებს «ავტონომიას». მთავრობა უპასუხებს გადაჭრილი უარით. ომი გრძელდება სოჩის მხრით.

ამაირათ, ახალ საქართველოს თავიდანვე მოველინა სამი მოწინააღმდეგე: რუსეთი, მისი ორივე ბანაკი—დენიკინელენილები, ოსმალეთი და ინგლისი. საჭირო იყო მიზანშეწონილი საგარეო მუშაობით. ამათი პოზიციის შეცვლა და მათ მიერ ჩვენი სახელმწიფოს ცნობა. ეს კი შესაძლებელი იყო ევროპიდან. გაიგზავნა შესაფერი დელეგაცია დასავლეთის ოფიციალურ და საზოგადოებრივ წრეებში ფართო მუშაობის ჩასატარებლათ. ეს იყო საქართველოს პირველი გამოსვლა ევროპის ასპარეზზე და იქ დასმა ქართული საკითხის. იწყება ფართე დიპლომატიური მუშაობა, განსაკუთრებით საფრანგეთში, ინგლისში, ენგევაში ერთა ლიგის ირგვლივ და პარტიულ-ნაციონალური მუშაობა ყველა დაჯგუფებებში, უმთავრესათ სოციალისტებს შორის. ამ მუშაობამ გამოიღო შესაფერი ნიყოფი. საზოგადო აზრი ამოძრავდა ჩვენ სასარგებლოთ. ამავე დროს დენიკინის გამოლაშქრება შეჩერებულ იქმნა მდინარე ბზიბთან და ჩამოვარდა დროებითი ზავი. იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა პირველყოვლისა ფაქტიურათ ევროპის სახელმწიფოთა მიერ, ხოლო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გამოაქვთ რეზოლიუციები ჩვენს სასარგებლოთ. ეს მოძრაობა ახდენს გავლენას სხვათა შორის მოსკოვზედაც და ის განსაკუთრებით ხელშეკრულობით აღიარებს საქართველოს სუვერენობას. ამის შემდეგ ევროპის თითქმის ყველა, დიდი და პატარა სახელმწიფოანი საქართველოს სახელმწიფოს სცნობენ იურიდიულათ და იჭერენ მასან დიპლომატიურ კავშირს. ევროპაში პირველათ ჩნდებიან ჩვენი ოფიციალური ელჩები.

ამ ნაყოფიერი მუშაობის შედეგი იყო ჩვენი საზღვრების საკითხის გადაწყვეტა ჩვენ სასარგებლოთ. ინგლისი სტოვებს სამუსლიმანო საქართველოს და მას უბრუნებს საქართველოს მთავრობას. ბათუმის, ართვინის და არტაანის ოლქები ხდებიან ნაწილი ადღენილი საქართველოსისა. ერი გამთლიანდა ტერიტორიალურათ.

ამგვარათ, ახალმა საქართველომ აღადგინა ძველი საზღვრები, მოიპოვა საერთაშორისო ცნობა, შევიდა საკაცობრიო ოჯახში როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი, ამავე დროს შიგნით, ერში, შექმნა სოციალურ ძალთა წონასწორობა, დაუდვა ურყევი საფუძველი ერის სიცოცხლის და ხანგრძლივობის მთავარ ბურჯს—გლეხობას, მისთვის საკუთარი სამუშაო მიწის მიცემით, გაუშალა ყველა კლას და წრეს ფართო ასპარეზი თავისუფალი აზროვნების, საქმიანობის, თაოსნობის, კულტურული და გონებრივი განვითარების, დააყენა ყველაზე მაღლა ერის საერთო ინტერესები და მის ფარგლებში მოათავსა საზოგადოების თუ კერძო პირთა ყველა სასიცოცხლო ზომები. ერთისიტყვით უძველესი ქართველი მოდგმა გამოვიდა წარსული სიბნელიდან, არარაობისაგან და ახალი დროშით, ახალი სულით დადგა მსოფლიოს შარავნაზე. ის აღდგა, განახლდა დაბლიდან, ხალხის მეთაურობით, ხალხის თაოსნობით და ბრძოლით. მის სასიცოცხლო ინტერესებს განუყრელათ გადაება თავისუფალ ნაციონალურ საქართველს.

აი ეს კვდრეთით ამდგარი და ახლათ აწყობილი ერი თვალში ეჩხირება მის მტერთ, დროებით მიყუჩებულთ, მაგრამ დაუძინართ. ამთ შორის მთავარია რუსეთი, საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც საიდუმლოთ აწყობს შეთქმულობას ჩვენ დასაპყრობათ. ემზადება რა სალაშქროთ, მოსკოვი ცდილობს მიიღოს დასტური ინგლისის, ხოლო დახმარება ოსმალეთის. მთელი ეს მახინცია გამოამქლავნეს თვით ბოლშევიკებმა შემდეგ. 1924 წ. მოსკოვის საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა ქვეყანას ამცნო თბილისში წარმოთქმულ სიტყვაში, რომ 1920 წ. ნოემბერში ლოიდ ჯორჯის მთავრობამ განუცხადა მის ელჩს კრასინს ლონდონში, რომ საქართველო, მთელ ამიერ-კავკასიას ის თვლის რუსეთის სფეროთ, ე. ი. მისი დაპყრობის წინააღმდეგ არაფერი ექნება. ასეთივე დაპირება მან ვერ მიიღო ბალტიის რესპუბლიკების შესახებ და ამით ესენი გადარჩენ რუსის შესევისაგან. ამავე დროს მოსკოვი საიდუმლო პირობას დებს ოსმალეთთან, რომლითაც ის მას პირდება გადასცეს სამუსლიმანო საქართველო ჩვენი დაპყრობის შემდეგ. აი ამ ორი მოკავშირით გამაგრებული მოსკოველები უეცრათ, ომის გამოუცხადებლათ თავს ესხმიან საქართველოს სამი მხრით—აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან, ხოლო სამხრეთით მათ ეხმარება ქვემალ ფაშის ლაშქარი. ამ რკალში მომწყვდიული ებატარა ერი არ შედრკა, მტერს არ დატრიაქა, იარაღი ხელიდან არ გააგდო, მსგავსათ სხვა მეზობელ ერებისა, და ომის ჭელზე დადგა. ხუთი კვირის უთანასწორო ბრძოლის შემდეგ ის დამარცხდა, ხმალით ხელში. დამარცხებულმა მაინც შესძლო შემოქრილ ოსმალთა სამხედრო ნაწილების ბათუმიდან განდევნა და მით იხსნა ის ოსმალეთისათვის გადაცემისაგან. ამ დახმარების საფასურათ ლენინ-სტალინმა ოსმალეთს მისცა არ-

თენის და არტანის ოლქები, ხოლო ინგლისის კომერციული შეღავათები და სხვა გაუნადგებელი დაპირებები.

ქართველი ერი არ შეურიგდა დამარცხებას, მან არ იცნა ოკუპაცია და დამფუძნებელი კრების საშუალებით გამოიტანა განჩინება—განაგრძოს ბრძოლა—ევროპაში პოლიტიკური და დიპლომატიური, რისთვისაც იქ გაიგზავნა მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, ხოლო საქართველოში სიიღუმლო ორგანიზაციებით, დემონსტრაციებით და აჯანყებებით.

ამ დავალებებს პირნათლათ ასრულებდენ დღევანდლამდე აქ ნაციონალური მთავრობა, იქ მთელი ხალხი მისი მეთაურებით.

ახალი საქართველო არ მომკვდარა, არც სძინავს, მისი სული არ დაცემულა, მისი დროშა არ დახეულა; ის უცდის ხელსაყრელ დროს კვლავ აღსდგეს და თავისთვის ბატონი გახდეს.

მ ი მ ღ ი ნ ა რ ე ს ა კ ი თ ხ ე ბ ი .

4. ომი თუ ზავი.

ომის გათავებიდან გადის ხუთი წელიწადი და ამ დიდი ხნის განმავლობაში არ დამყარდა ზავი არც დამარცხებულ ბნაკთან, არც გამარჯვებულთა შორის. იაპონია განიცდის ოკუპაციას. გერმანია დაყოფილი სხვადასხვა ზონებათ, რასაც განაგებენ ოკუპანტები. იტალიამ მოიცილა ოკუპაცია, მაგრამ ვერ მიიღო ზავი. ამავე დროს გამარჯვებულთა შორის დაუსრულებელი შუღლი და განხეთქილებაა. ერთი მხრით დგას საბჭოთა იმპერია და ის დაუპირდაპირდა ყველა მის მოკავშირეთ, რომელთა შორის გამართულია შეუჩერებელი «ცივი ომი».

შუქველია დასავლეთს ამერიკის მეთაურობით სურს ზავის ჩამოგდება, მშვიდობიანობის დამყარება, მაგრამ მისი მოქმედება ეპირდაპირება ამ სურვილებს და აძლევს ნიადაგს მოსკოველთა საომარ განწყობილებას. დასავლეთმა ვერ გაიგო ერთი დიდი ისტორიული ფაქტი: დასავლეთი იხსნა რუსეთის შემოსევისაგან ერთათერთ სიმაგრემ, რომელიც აღმართულია მათ შორის; ეს სიმაგრეა გერმანია. ეს ზღუდე დაეცა მხოლოდ ერთხელ ნაპოლეონ პირველის დროს და რამდენიმე თვეში რუსის ჯარი ჩამოვიდა პარიჯამდე (1813 წ.). არავითარი სხვა ძალა არ დარაჯობდა და არ დარაჯობს ევროპას გასლავიანებისაგან. ასე იყო, არის და იქნება.

ცხადია მშვიდობიანობის დამცველნი უნდა ცდილობდენ პირველყოვლისა ამ ძალის თავის მოყრას, მისი სახელმწიფოს განახლებას და ევროპის კავშირში შემოყვანას. ეს მდგომარეობა კარგად ესმის მოსკოვს და მის წინააღმდეგ მიმართულია მთელი მისი «ცივი ომი». მისი მიზანია თავის გავლენის

ქვეშ შემოყვანა აღმოსავლეთი პრუსიის და ბერლინის, ხოლო დანარჩენი ნაწილები იყოს შენახული დაფლეთილ-დანაწილებული, როგორათაც დღეს არის.

საფრანგეთის პრემიერმა საჯაროთ განაცხადა, რომ დასავლეთი თავს ვერ იხსნის მარტო-მარტო რუსეთის შემოსევისაგან, მაგრამ გადამჭრელ დამხმარე ძალათ აღიარა ჩრდილო ამერიკა. გერმანია დღემდის გამორიცხულია სავეროპიო სამხედრო გეგმიდან.

რაკი ეს მთავარი ჯეფირი დავარდნილია, რჩება დანარჩენი შესაძლებლობანი ასამუშავებელი და ასაწყობი. ამ ხაზზე წარმოებს დიდი მუშაობა როგორც აქ, ისე ამერიკაში. შედგა ატლანტიკის პაქტი, ნათელი და კატეგორიული. თუ ვინმე თავს დაესხა პაქტის ხელისმომწერს, ყველა დანარჩენი მას იცავენ და ამ მიზნით ომში შედიან. ახლა არის პროექტი ასეთივე პაქტი დაიდვას ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოთა შორის ოსმალეთის და საბერძნეთის მეთაურობით. ეს კი პირდაპირ მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ, როგორც ერთდერთ მოწინააღმდეგეს სამხრეთში დამკვიდრებული დღევანდელი ურთიერთობისა. საიდანაც სავსებით გამორიცხულია მისი მეზობელი რუსეთი. ცხადია, დღევანდელი მთავარი სავეროპიო მიზანია რუსეთი ჩაიჭიროს მის არსებულ კალაპოტში, მოშორებული თფილი ზღვებიდან, კეტით ხელში.

ამნაირთ, დგება ორი სამხედრო ბლოკი, რამაც უნდა ითამაშოს რუსეთთან საომარ კონფლიქტში გერმანიის როლი. ამ კოალიციას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეს ორი ბანაკიდან უძლიერესია პირველი, ატლანტიკის კავშირი; აქ არის თავმოყრილი ყველა ომისათვის საჭირო მასალები: ფული, მრავალი მცხოვრებნი, მაღალი ეკონომიკა, პოლიტიკური ძალები და სხ. მისი ნაკლია სივრცით მეტათ დაშორება რუსეთისაგან. ამიტომ საჭირო გახდა მოსკოვთან ახლოს მოიპოვონ სტრატეგიული პუნქტები, განსაკუთრებით ჩრდილოეთით, როგორიცაა მაგალ. ისლანდია, გრენლანდია, ნორვეგია და სხ. მეორე ბლოკის სუსტი მხარეა მისი მეზობლობა დიდ რუსეთთან, რომელსაც შეუძლია სულ მოკლე ხანში შევიდეს სამხრეთში და გავიდეს ხმელთაშუა ზღვაზე. მას შეეძლო ეს მოემოქმედა გასული ომის დროს, როცა ის შევიდა ბოლგარიაში და მივიდა საბერძნეთის და ეგეის ზღვის საზღვრამდე. მაშინ ეს მან ვერ მოიმოქმედა: იყო უეჭველია ორში ერთი: ან შინაგანი ლალატი, ან სრული უთაობა.

ამკამათ მოსკოვი დაშინებულია, დაფრთხალია მსოფლიოს უდიდესი ნაწილის მის წინააღმდეგ ამოძრავებით. ამიტომ გამომდგარა მშვიდობიანობის ბაირალით, ერთა შეთანხმებით დაახლოვებით და სხ. ამ ხაზზე დღეს ამუშავებულია ყველა კომუნისტური პარტიები, ქადაგებენ ზავს, ებრძვიან ომის მომხრეთ და სხ. ამ ლოზუნგის დასასაბუთებლათ სტალინმა წამოაყენა თავისი თეორია, წინააღმდეგ ლენინ-ტრო-

ცკის თეორიისა. მისი აზრით ორი სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიური სისტემის არსებობა შესაძლებელია, კომუნისში და კაპიტალიზმში მორიგებით იცხოვრებნო და სხ. ეს დებულება მან წამოაყენა 1947 წ. ამერიკელ სტასენთან საუბარში და შემდეგ იმეორებს ხშირათ ევროპიელთა დასაჯერებლათ და თვალის ასახვევათ. აი მისი თეორია:

«უეჭველია ამერიკას და რუსეთს შეუძლიათ ერთათ, ერთი მეორის დახმარებით იცხოვრონ. ამას ვერ დააბრკოლებს და ხელს ვერ შეუშლის მათი სხვადასხვა სისტემა. ამერიკის და გერმანიის სისტემა იყო ერთნაირი ეკონომიურათ, მაგრამ მათ შორის ომი მაინც ატყდა. საბჭოთა რუსეთის და ამერიკის ეკონომიური სისტემა სხვადასხვა ნაირია, მაგრამ მათ შორის ომი არ ატეხილა. პირიქით, ერთად იყვენ ომის დროს. თუკი სხვადასხვა სისტემის ეკონომიური წყობა ერთათ იყვენ ომის დროს, რატომ არ შეუძლიათ ასევე ერთად ყოფნა მშვიდობიანობაში. საჭიროა მხოლოდ სურვილი ერთად არსებობის. სხვადასხვა ეკონომიური წყობა სავეცებით შესაძლებელია. პირველათ ლენინმა განაცხადა ასეთი შესაძლებლობა...»

ამნაირათ, სტალინის აზრით კაპიტალისტური და კომუნისტური რეჟიმის ერთად ყოფნა და ამხანაგურათ განვითარება შესაძლებელია და, მაშასადამე, მათ შორის ომის აუცილებლობა საჭირო არ არის. რასაკვირელია, ლენინს ასეთი თეორია არ წამოუყენებია. პირიქით, ის და ტროცკი იცავდენ ერთ აზრს: ორი ცივილიზაციის ერთდამიმავე დროს არსებობის შეუძლებლობას. ლენინმა ურჩია თავის მემკვიდრეთ—თუ ევროპაში ომი ატყდა, დაუყოვნებლივ ჩავერიოთ, გავიმარჯვოთ და საბჭოთა წყობილება გავხადოთ ევროპის წყობილებათო. სტალინმა ეს რჩევა შეასრულა, ის არა თუ ჩაერია ომში, ის მან თვითონ გამოიწვია პიტლერთან საომარი ხელშეკრულობის დადებით; ომი მოიგო, მაგრამ ევროპა ვერ გადააქცია საბჭოთა ქვეყანათ. ამ პარტიულ დავალებასან ერთათ ვერ შეასრულა ვერც ნაციონალური დავალება, პეტრე პირველის ანდერძი; ვერ გამოიყვანა რუსეთი გაყინული საზღვრებიდან, ვერ გაიყვანა თბილ ზღვებზე პირდაპირ, საკუთარი გზით. რუსული საერთაშორსო ლოზუნგი ცნობილია: ყველგან კომუნისში მოსკოვის წინამძღოლობით. ეს მსოფლიო ჰეგემონიის დროშა აუცილებელია ლენინის თეორიის გასახორციელებლათ. მთელი ისტორია, დაწყებული ფარაონებიდან ვითარდებოდა ერთი გზით—ერთი ცივილიზაციის დაცვით და გავრცელებით. ხალხთა ცდა, აეწყო თავის ცხოვრება საკუთარ სისტემაზე, ყოველგან თავდებოდა დამარცხებით, ერთი მეორის ქლევით და დამონებით. თუ მართლა სტალინი და მისი ამალა ორი სისტემის მომხრე არიან, მაშინ წამოაყენონ ამის ცამაახლოვებელი გზები, რა ცვლილებანია საჭირო რუსეთში და რუსეთს გარეთ ამ ორი მოპირდაპირე წყობის დასა

ახლოვებლათ და ნელ-ნელა ერთისისტემის გასაბატონებლათ. არაფერი ამის მსგავსი კომუნისტებს არ წამოუყენებიათ არსად; მათი დროშაა: ან ჩვენ, ან თქვენო.

მთელი ეს ახალ გამოგონებული ბოლშევიკური აგიტაცია არის მხოლოდ ფარდა, თვალის ახვევა, საშუალება მომზადდეს თავისი საბოლოო მიზნის მისაღწევათ, მსოფლიო ჰეგემონიის მოსაპოვებლათ. ამის იარაღია ორნაირი: შეიძინდენ აფეთქება არსებული წყობილებების და რევოლუციონის გზით კომუნისტების დამყარება და გარედან თავსდასხმა სამხედრო საშუალებებით. ამჟამათ კრემლი კარგად ხედავს, რომ ომის დრო არ არის, ამას ეჭირვება დიდი მომზადება, ახალი კოალიციის შედგენა, რაც შეიძლება მეტი ერის გაკომუნისტება. ამ ხაზზე მას ერთი დიდი მიღწევა აქვს—ოთხასი მილიონიანი ჩინეთის გაკომუნისტება და რუსეთის ფარგალში შეყვანა. ერთი სიტყვით, მოსკოვისათვის ომისათვის მომზადება არ ნიშნავს მარტო სტრატეგიულ-სამხედრო მომზადებას მსგავსათ ევროპა-ამერიკისა, არამედ ამასთანავე პოლიტიკურ მომზადებას, მეომარ ქვეყნებში შექმნას ხალხის სულიერი განწყობილება მის სასარგებლოთ. საფრანგეთის კომუნისტები უკვე ეწევიან პროპაგანდას ხალხში, რომ რუსეთს ომი არ გამოუტყდათ, მის მტერთ არ დავეხმაროთო და სხ. აი ეს პოლიტიკური მზადება საჭიროებს დროს, რაც შეიძლება მეტ დროს და ამ მიზნით სტალინი ახლა ეწევა დიპლომატიურ თამაშს, სურს დაარწმუნოს მოწინააღმდეგე ბლოკი ორივე წყობილების შესაძლებლობის და მეგობრობის არსებობაში. ის წავა წვრილმალ დათმობებზედაც. ეს დიპლომატია ბევრს დავთარს უზნევს და ჯერჯერობით მიხანს აღწევს; მსოფლიო კომუნისტური საზავო აგიტაცია სწორედ ამ დიპლომატიას ემყარება.

ამნაირათ, უყველია არსებობა ორი მოწინააღმდეგე მსოფლიო ბლოკის—დასავლეთის ამერიკიანა და აღმოსავლეთის. პირველის მეთაური მრავალია და გაუთავებელ მოლაპარაკებას უნდებათ. ხოლო მეორის ერთია, მოსკოვი და მუდმივ საქმიანობაში ჩაბმულია. მსოფლიო მომავალის სვებედი გადაწყვეტის ხანაშია.

ერთისიტყვით, ომი იფეთქებს როგორც კი მოსკოვი საამისოთ მოემზადება და საჭირო მომიზნებებს მოიპოვებს. ამ ხაზის მოშლა, მართლა მშვიდობიანობის დამყარება და კაცობრიობის ნორმალური მსვლელობით განვითარება შესაძლებელია ერთად-ერთი ცვლილებით: საბჭოთა ბატონობის მოშლით, აღმოსავლეთის ბანაკის დემოკრატიულ ხაზზე გადაყვანით, დამორჩილებული ერების განთავისუფლებით და მათი მსოფლიო კავშირის დამყარებით.

რა საფუძველზე შეიძლება აეგოს მსოფლიო ერთობა—ამაზე შემდეგ.

ნ. ე.

მცირე უწინგვნიბი დიდ აგებუბუ.

შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით ისევე ახლო წართულს გვინდა შევეხოთ.

განვლილი ოცდაათი წლის ხანა მდიდარია საუცხოვო ნიმუშებით დღევანდელი რთული სინამდვილის გასარკვევად და მომავალ პერსპექტივების გასათვალისწინებლათ.

პირველი დიდი ომი არაჩვეულებრივი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში, არა მარტო მისი უნივერსალობით და არც უთვალავი ნივთიერი ან ადამიანთა მსხვერპლით, არამედ მისი გაუგონარი დაბოლოვებით: ომი გათავდა და მას დაზავება არ მოყოლია. ასეთ რამეს წარსულში ადგილი არ ჰქონია.

რომ ისტორიის ღრმა მორევში არ ჩავიძირათ ჩვენი მიმოხილვა განვსაზღვროთ მე-XIX საუკუნის ფარგლებით დავინახავთ ამ სურათს.

ნაპოლეონის ომებს ვენის კონგრესმა (1815 წ.) გაუკეთა ჯამი და ეგრედ წოდებული «წმინდა ალიანსი» მტკიცე დარაჯათ ჩაუდგა დადებულ ზავის ხელშეკრულებას. პარიზის კონგრესმა (1856 წ.) ყირიმის ომის ლიკვიდაცია იკისრა და 30 წლით საერთაშორისო ატმოსფერა შეანელა. 1878 წ. ბერლინის კონგრესმა ჩააყენა კალაპატში ამოვარდნილი სტიქია.

სულ სხვას ვხედავთ 1918 წელს. საზავო ტრაქტატის ხელის მოწერისათანავე გამარჯვებულთა კოალიცია დაიშალა. ამერიკის შეერთებულ შტატებმა ხელი აიღო ევროპის საქმეებზე და განზე გადაა; გამარჯვების დანარჩენი ორი ბურჯი — ინგლისი და საფრანგეთი — საერთო გეზის უქონლობის გამო ერთმანეთს ასუსტებენ და ამნაირათ ვერსალის ხელშეკრულებას, ამ საერთაშორისო კანონს, მისი ცხოვრებაში გასატარებლათ დამცველი არ აღმოაჩნდა; მას არ დაურჩა არც ხელმძღვანელი, არც სასამართლო და არც «ქანდაკი». სრულიად ბუნებრივია, თუ ასეთ პირობებში ერთა ლიგა, ზავის აპარატი, პაერში გამოკიდული აღმოჩნდა და მიტოვებული ტაქარივით მას თანდათანობით ეშმაკები დაეპატრონა.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ერთა ლიგის პირველი გაბახება საქართველოს დაცემასთან არის დაკავშირებული.

საქართველოს დაპყრობით მოსკოვმა ფეხქვეშ გათელა პრინციპი, რაზედაც თვით ერთა ლიგის შენობა იყო აგებული.

საქართველოს ტრალედიაში გაუგებარია არა მოსკოვის ვერაგობა, არამედ პოზიცია ინგლისის, რომელმაც ჩადენილ ბოროტმოქმედებას გზაც გაუკაფა. ჯერ 1920 წლის ოქტომბერში ლ. ჯორჯი საქართველოს ინგლისის ინტერესების გარეშე აცხადებს; აშკარაა, რომ ამ აქტით ინგლისმა საქართველოს პრობლემა რუსეთის შინაურ საქმეთ აღიარა; იმავე წლის დეკემბერში საქართველო ერთა ლიგის წევრად არ დაუშვა; 1921 წ. 27 იანვარს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის

ცნობას წინააღმდეგ და თუ საქართველო იურიდიულათ მაინც იქნა ცნობილი, ეს მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის დამსახურებას უნდა მიეწეროს^{*)}.

საქართველოს თავდასხმას, მუსოლინის კორფუზე გალაშქრება მოყვა, ამას ეფიოპიის ომი, დასასრულ გერმანიამ წამოყო თავი და თანდათანობით დაიშალა ერთა ლიგა, ვითარცა ნაქსოვი, როცა წყდება მთავარი მისი კვანძი.

ეს იყო გუშინ. დღევანდელი მდგომარეობა ბევრ რამეში გამოიცვალა; მწარე გამოცდილებას, ცხადია, უნაყოფოთ არ ჩაუვლია; თანდათან ბურჟუაზი იფანტება; ავადმყოფობის დიაგნოზი დასმულია და საექიმო საშვალეებზეა საქმე. ნაციათა ლიგა გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციამ (O. N. U.) შესცვალა. ამ უკანასკნელს თავის წინამორბედთან ის დიდი უპირატესობა დაუტრია, რომ გამარჯვებულთა კოალიციიდან არავინ არ გამდგარა. ამერიკამ Monreო-ს თეორია თითქოს დაეიწყებას მისცა, იზოლასიონიზმი მიიშალა და დღეს თვით ეს ქვეყანა მეთაურობს საერთაშორისო საქმიანობას. წარმოუდგენელმა ტექნიკის განვითარებამ ძველი ღირებულებანი გადასინჯა, მოსპო სივრცე და თუ გუშინ ინგლისის ეროვნული თავდაცვის ხაზი ლამაზუნე გადიოდა, დღეს ტრიუმფი ორ ოკეანეთა აკვანშიაც არ თვლის ამერიკას სამშვიდობოში.

ფრანგები იტყვიან, — რალაც კარგი, — უბედურობასაც თან ახლავს და მართლაც ომების ქარტეხილმა მაგრათ ჩაკრა ბრმა პარტიკულიარიზმს თავში და კაცობრიობამ გაერთიანების გზაზე საზღაპრო ნახტომი გააკეთა; ამ უკანასკნელიდან მას ვერავითარი «იზოლასიონიზმი», ვერავითარი «რკინის ფარდა» აწი ვერ გარდაახვევინებს; თუ დღეს «შიში შეიქმნს სიყვარულს», ხვალ ერთა გაერთიანება უფრო კეთილშობილურ ნიადაგზე აეგება. მაშინ სხვა პატარა ერებთან ჩვენ ერსაც ეშველება. ისიც გახდება თავისუფალი და საკაცობრიო ოჯახის სწორუფლებიანი წევრი. მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს მომავალის მუსიკაა. მანამ კი ერთა სოლიდარობამ შიძიმე მშობიარობის გზა უნდა განვლოს. მრავალი ცდა ჩავილის უნაყოფოთ, სანამ დაიძლევა ამ გზაზე აღმართული დაბრკოლებანი. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა ბედი ეწვია ნაციათა ლიგას. მიუხედავად ზოგიერთ ხელსაყრელ პირობებისა მისი მოადგილე, გაერთიანებული ერთა ორგანიზაციაც უდღეური გამოდგა. მისი წარმომობის მეოთხე წლის თავზე მისივე ავტორნი მას სულთათანას უგალობენ.

როგორ მოხდა ეს დიდი მარცხი? ერთი და იგივე მიზეზს

*) საქართველოს იურიდიული ცნობა დრამატიულ პირობებში მოხდა. ორი დღის ბრძოლა დასჭირდა ბრიანს და ბერტელოს, რომ დაეძლიათ ლ. ჯორჯის და კერზონის ოპოზიცია. ამ ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვან მომენტზე ვეცდებით შევაჩეროთ ოდესმე, «ჩვენი დროშა»-ს მკითხველთა ყურადღება.

თან სდევს ერთი და იგივე შედეგი. მათემათიკური სისწორით მეორდება ძველი ამბავი. O. N. U-ც უძღვრებას იჩენს საკუთარი კონსტიტუციის მთავარი საძირკვლის დაცვაში. სანდრანციკოს ხარტიის პირველი ორი მუხლი მას ავალბდა ყოველგვარი აგრესიის ალაგმვას და ერთა თვითგამორკვევის უფლების დაცვას; აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ანექსია მოსკოვისათვის არამც თუ უსანქციოთ ჩატარდა, არამედ, მსგავსად საქართველოს შემთხვევისა, თეპერანის და განსაკუთრებით იალტის კონფერენციებმა მას ნიდავი მოუშხადა. დაუმატეთ ამას მთლიანი გეზის უპილობით გამოწვეული ანგლო-საქსონთა უხასიათო პოლიტიკა, მოსკოვის წარამარა ვეტოს უფლებით სარგებლობა და თქვენ მიიღებთ იმ უნუგეშო სურათს, რასაც ფრანგის ერთი ცნობილი ჟურნალისტი ამნაირად ახსიათებს: ერთად ერთ Trygve Lie-ს (O. N. U-ს მთავარი მდივანია) არ დაუკარგავს რწმენა O. N. U-სადმი; სხვებისათვის ის მხოლოდ განუხილავ არზათა და უშედეგო რეზოლიუციათა არქივიაო. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხანებში არც Trygve Lie იჩენს დიდ ოპტიმიზმს: სხვებთან ერთად ისიც მეტად ჩაფიქრებულია O. N. U-ის მომავალით.

გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის გაკოტრება კოლექტიურ თავდაცვის უარისყოფაა. ამ გარემოებამ წარმოშო კუთხურ (régionale) თავდაცვის მოთხოვნილება, რომლის ცოცხალი განხორციელება ატლანტიკის პაქტია.

შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ჩვენი დროის დიპლომატიურ აქტს არ გამოუწვევია იმდენი და მასთან ისეთი მწვავე კამათი, როგორც ატლანტიკის პაქტს. მან დასავლეთის საზოგადოებრივ აზრში ორი შეურიგებელი ბანკი შექმნა. კომუნისტებს და მათ მიმყოლთ რომ დაუჯეროთ ეს ამკარა თავდასხმას მოსკოვზე. მეორე ბანაკისათვის კი ის ჩვეულებრივი თავდაცვის იარაღია. ჩვენი აზრით თავიანთ დაფასებაში ორივე მხარე აჭარბებს.

უდავოა, რომ ატლანტიკის პაქტი მოსკოვის წინააღმდეგ არის მიმართული; მაგრამ მისი ტექსტით ის უფრო გაფრთხილებია, ვიდრე გამოწვევა.

უეჭველია ისიც, რომ პაქტი ავალბებს ხელის მომწერთ თავდასხმის მსხვერპლს იარაღით დაეხმარონ; მართალია, იარაღით ინტერვენციის საკითხს სწყვეტს დამოუკიდებლათ თვითეული მოკავშირე. მაგრამ ისიც მართალია, რომ დასავლეთ გერმანიაში მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარების ყოფნა და, თუ მოსკოვი წინ წამოიწევს, სამხედრო ინტერვენცია ავტომატიურად მოხდება. ამ მხრივ პაქტი ახალ რამეს არ წარმოადგენს; ის მხოლოდ არსებულ მდგომარეობას აკანონებს.

თუ პაქტის ტექსტს მივყვებით, ვერც ერთ მის 14 მუხლში ბელიციტურ მიდრეკილებას ვერ აღმოვაჩენთ. ყოველი პაქტი საზოგადოთ და კერძოთ ატლანტიკისა ცხოვრებაში



30261

გატარებით უნდა დაფასდეს; ჩვენ მახსოვრობაში რამდენი პაქტი იქცა ფარატინა ქალაღმად, რამდენს ამოცდა სული ხელის მოწერის მეორე დღეს, რამდენი კიდევ სრულ დავიწყებას მიეცა; სან-ფრანცისკოს ერთა ხარტია ვანა იგივე პაქტი არ არის?

თუ ატლანტიკის პაქტს ხვალინდელი დღე უწერია, მას უნდა მოყვეს დიდი შედეგები. აქ ჩვენ ომს არ ვგულისხმობთ. შეიარაღებული კონფლიქტი ახლო მომავალში მაინც არ არის მოსალოდნელი; «ცივი ომი»-ს ხანას თავის განვითარების უმაღლეს წერტილამდე კიდევ არ მიუღწევია; მას კიდევ დიდი მანძილი აქვს გასავლელი, სანამ საწინააღმდეგო (სხელ ომად) მოვლენათ გადაიქცევიდეს.

ატლანტიკის პაქტი შეიარაღებულ ზავის მკვეთრი იზრალია; დაცდილი ხელით ხმარებული, ის მოკავშირეთა პოზიციებს უდავოთ გააძლიერებს. ამ მიმართულებით მან ნაყოფი უკვე გამოიღო; მან განამთლიანა ხელის მომწერთა შინაური ურთიერთობა; ვაშინგტონის სამთა შეთანხმებაც ამან წარმოშვა. ეს უკანასკნელი უფრო მოპირდაპირეთა სულიერ განწყობილების მოსინჯვაა, ვიდრე პოზიტიური გეგმის, თუნდაც ნაწილობრივი განხორციელება. მდგომარეობა გერმანიაში შეთანხმების შემდეგაც არსებითად უცვლელი რჩება; სუვერენული უფლებებისათვის საოკუპაციო ძალის ხელი არ შეუშვია, მასვე ეკუთვნის ცხოვრების ყველა დარგში კონტროლი; მხოლოდ საოკუპაციო ახალი სტატუსი დროებითია და მისი გადასინჯვა ერთი წლის განმავლობაში უნდა მოხდეს. ვიქტორობთ, რომ ეს გადასინჯვა ამ ვადას დაასწრებს, ვინაიდან გერმანიის პრობლემის მოგვარება დასავლეთისათვის იმპერატორულ მოთხოვნისათვის გადაიქცა. თუ ვეროპა არ გამოდინდა და ეს გერმანიის გარეშე შეუძლებელია, ვერავითარი ატომური ბომბი, ვერც განუზომელი ნივთიერი სიმდიდრე დასავლეთს კატასტროფიდან ვერ იხსნის. ამ შეგნებამ განსაცვიფრებელი პროგრესი გააკეთა დასავლეთში. საფრანგეთის მთელი პრესა (კომუნისტურის გამოკლებით) დიდი გამბედაობით მოითხოვს ამ პრობლემის დღის წესრიგში დაყენებას და ევროპის ამ ორ ერთა ისტორიულ დავის შეწყვეტას.

ჩვენთვის, დაპყრობილ ერის შვილთათვის, ადვილად გასაგებია გერმანიის დემოკრატიის სულსკვეთება; მაგრამ, თუ პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა, მშრალი ანგარიში უკარანახებს მას შექმნილ ხელსაყრელ განწყობილების გაღრმავებას და მის კონსოლიდაციას. სასოწარკვეთილების «რას ვკარგავთო» მიუღებელია. ახალი ომი დღევანდელი ტექნიკით და მისი გაუგონარი წესებით დიდსა და პატარას განადგურებას უქადის. არ არის მართალი, რომ დამონებული ერი არაფერს არ კარგავსო: მონობა მებრძოლ ერისათვის გარდამავალი მოვლენაა, მისი ფიზიკური არსებობა კი მარადიული.

მ. გიგუშვილი.

სოციალურ-ეკონომიური საკითხები

დამოუკიდებელ საქართველოს კონსტიტუციაში
და პრაქტიკაში *).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფო კანონმდებლობას და პრაქტიკულ საქმიანობას სოციალურ-ეკონომიურ სფეროში საფუძვლათ დაედვა რამდენიმე ძირითადი დებულება, განვითარებული საქართველოს კონსტიტუციის მეცამეტე თავში.

აქ, სულ 16 მუხლში (თავი 13, მუხ. 113—128), აღნიშნულია საქართველოს მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიური უფლებები, ეს არის მათი ხარტია, მათი ქვეყნის ძირითადი კანონები საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიურ სფეროში.

ზოგს აქ აღნიშნულს სოციალურ-ეკონომიურ ღონისძიებას იმ დროს თვით დასავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში ვერ იპოვიდა კაცი; ამიტომ ასეთ ღონისძიებათა საქართველოს კონსტიტუციაში შეტანა არა მარტო მაჩვენებელი იყო საქართველოს კონსტიტუციის უაღრესად დემოკრატიულ და პროგრესიულ ხასიათის, არამედ ეს ერთნაირი კანდიერებაც იყო, ძალიან გაბედული ნაბიჯი, ჩვენი ახალგაზდა რესპუბლიკის მიერ გადადგმული. ახლა კი, როცა ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ბევრი ცვლილება მოხდა ამ მიმართულებით მრავალ სხვა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში და კანონმდებლობაში და სახელდობო ისეთ ქვეყნებშიც, რომელთა ძველიდან ცნობილს დემოკრატიულ წესებს და წყობილებას ახასიათებდა ეკონომიურ სფეროში ერთგვარი—თუ შეიძლება ასე ეწოდოს—კონსერვატიზმი, უნდა ითქვას, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე ცხოვრებამ გაამართლა დამოუკიდებელი საქართველოს ის გაბედული ნაბიჯები.

*) ახლა, განსაკუთრებით ამ მეორე დიდი ომის შემდეგ, როცა ფრიად დიდი მნიშვნელობის ცვლილებები ხდება ხალხთა ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში ყოველგან, ევროპის სახელმწიფოებში, ინტერესს არ უნდა იქნეს მოკლებული მოგონება იმის, თუ რა ხდებოდა ამ მხრივ ჩვენში, ამ 30 წლის წინად, როცა საქართველო თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას აწყობდა. ეს წერილი ამოღებულია, შემოკლებით, კ. კანდელაკის წიგნიდან, რომელიც მას დიდი ხანია დასაბუქდათ აქვს დამზადებული: «საქართველოს ეროვნული მეურნეობა. წიგნი მეორე: დამოუკიდებელი საქართველო, იმის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა».

პროგრესიული სოციალურ-ეკონომიური კანონმდებლობა, მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვის პირველ პლანზე დაყენება, ანელებს შინაურ უთანხმოებას საზოგადოებაში, ხელს უწყობს წესიერების დაცვას, აცდენს ქვეყანას ანარქიას და უფროდაუფრო აკავშირებს მშრომელ ხალხის ფართე წრეებს თავის კერას და თავის ქვეყანას. განა ამით არ აიხსნება, რომ ამ უკანასკნელ დროს სოციალურ-ეკონომიურ საკითხების მოწესრიგების—თუმცა თავისებურათ—და მუშათა ზოგიერთ მოთხოვნის კანონის სახით უზრუნველყოფას გვერდს ვერ უვლიდენ დიქტატორებიც?

და თუ ჩვენში ხალხის დიდი უმრავლობა, გლეხები და მუშები, როცა ისინი დიდ ნივთიერ გასაჭირს განიცდიდენ და ამავე დროს მათ ირგვლივ გაუგონარ დემაგოგიის ქსელი იყო გაბმული, მაინც თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის სადარაჯოზე შეურყეველათ იდგენ და ეროვნულ თავისუფლებას თავის მკერდით იცავდენ—ამაში, როგორც სამშობლოს თავისუფლების სიყვარულმა, ისე ამ სამშობლოს პროგრესიულმა სოციალურ-ეკონომიურმა კანონმდებლობამ უსათუოდ დიდი როლი ითამაშა.

აქ ჩვენ შევჩერდებით საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულ და ცხოვრებაში გატარებულ მხოლოდ ზოგიერთ ზომებზე, პრინციპიულურათ უფრო მნიშვნელოვანზე, სახელდობთ ისეთებზე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრების თვით სტრუქტურას რომ შეეხებოდა.

«რესპუბლიკას აქვს—ამბობს კონსტიტუცია—საკუთარი სააღებ მიმცემო და სამრეწველო მეურნეობა. რომლის გაფართოება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია. რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმართველობის ასეთსავე მეურნეობის გაფართოებას და გაძლიერებას» (მუხ. 115).

ეს დიდი თავსამტკრვეი საკითხი იყო, და დღესაც ასეთია იგი, ევროპის ქვეყნებში: სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა და განვითარება. ჩვენმა კონსტიტუციამ ეს საქმე რესპუბლიკის «მთავარ მიზნათ» გამოაცხადა. გასაკვირი არ არის, რომ ეს ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში ჩვენში ოპოზიციას იწვევდა, ბევრში გაოცებას, ხშირად გადამეტებულ კრიტიკას და ზოგჯელ ამის ამბავი უცხოელ წრეებშიც გადადიოდა და, სამწუხაროთ, გადადიოდა უფრო გადამახინჯებულათ, ვინემ სისწორით. ეს იმდენათ დიდი საკითხია, რომ, ვფიქრობ, უადგილო არ იქნება ცოტა მეტ ხანს შევჩერდეთ იმაზე და განვიხილოთ იგი კერ საერთო თვალსაზრისით და შემდეგ ვნახოთ, თუ როგორ ხორციელდებოდა იგი დამოუკიდებელ საქართველოს სინამდვილეში.

სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა, ცოტა თუ ბევრი,

თავისი საკუთარი მეურნეობა, ადგილობრივ თვითმართველობებზე, ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ მეურნეობის «გასაზოგადოება» იმის «ნაციონალიზაციის» ან «მუნიციპალიზაციის» სახით, ნიშნობლივი თვისება იყოს მხოლოდ სოციალისტურ მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ეკონომიური პოლიტიკის. ძველათ თვითმპყრობელი მონარქებიც აწყობდნენ სახელმწიფო წარმოებას, ბურჟუაზიული რესპუბლიკებიც; ხოლო ჩვენს დროში დიქტატორულ-ტოტალიტარული სახელმწიფოებიც ატარებენ ამ ზომას ცხოვრებაში და იგი ხანდახან საუკეთესო საშვალეზეც შეიქმნა მათთვის ხალხის დასამორჩილებლათ.

თუ დემოკრატიული სახელმწიფოები და განსაკუთრებით სოციალისტური პარტიები უპირატესობას აძლევენ სახალხო მეურნეობის ზოგ დარგის გასაზოგადოებას, მათი კერძო საკუთრებაში დატოვების მაგიერ, თავიდათავი ამ საქმეში ის არის, რომ მართლა საზოგადოებას ეკუთვნოდეს ასეთი მეურნეობა, რომ მართლა საზოგადოება ანუ მომხმარებელი—მომხმარებელია საზოგადოების უმრავლესობა—იყოს წარმოების ბედის ნამდვილი გადაწყვეტი, როგორც იმის დამზადების, ისე განაწილების პროცესში: «მწარმოებელი მხოლოდ მომხმარებლისთვის არსებობს—მეფურნე იმისთვის, ვისაც პური-შია, და არა წინააღმდეგ» (მარლ ჟიდი). ეს ნათელია. ხოლო ნათელი და ადვილი გასაგები აღარ არის ეს საკითხი, როცა სახელმწიფოს და საზოგადოებას ერთი-მეორეში ურთველ ხოლმე და ყოველგვარი «ნაციონალიზაციკმნილი» ანუ «გასახელმწიფოებულის» მეურნეობა საზოგადოებისთვის დიდ-სარგებლობის მომტანათ მიაჩნიათ. ხშირად კი, სინამდვილეში, ასეთი მეურნეობა, პირიქით. ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს, როგორც მომხმარებლისას, ისე მწარმოებლისას, თუმცა შესაძლებელია, რომ ამავე დროს იმას სახელმწიფოსთვის, სახელმწიფო აპარატისთვის, სარგებლობა მოჰქონდეს. ამის მაგალითები ბევრია.

საზოგადოებას. მოსახლეობას. ურჩევნია, მაგალითად, რომ ტრამვაის იგი უფრო იაფად სარგებლობდეს და ელექტრონში ნაკლებ ფასს იხდიდეს და ამათი წარმოება კერძო აქციონერებს ეკუთვნოდეს, ვინემ ეს საგნები მას უფრო ძვირათ უჯდებოდეს და მათი მეურნეობა ქალაქის ან სახელმწიფოს ხელში იმყოფებოდეს. ტრამვაის ან ელექტრონის ყოველდღიურათ იაფათ სარგებლობა მომხმარებელს მეტს შელავათს მისცემს. ვინემ მისი წილი იმ მოსალოდნელ მოგების, აღნიშნულ წარმოებათა ექსპლოატაციიდან მას გადასახადებში—ამის რაოდენობის დასაკლებათ—რომ ჩაეთვლება; ხოლო შესაძლებელია ხომ ისიც, რომ ამ წარმოებამ ქალაქს თუ სახელმწიფოს ზარალი მოუტანოს და იმათ ამ ზარალის დასაფარავათ მოსახლეობას ზედმეტი გადასახადი გააწერონ.

საბჭოთა კავშირში განა მთელი სახალხო მეურნეობა, ინ-

დუსტრია და სოფლის მეურნეობა, ნაციონალიზაციაკმნილი არ არის, სახელმწიფოს და მის ორგანოებს არ ეკუთვნის და სწორედ ამიტომ საშინელ ძვითათ არ უჯდება იმის ნაწარმოების საზოგადოებას, დასავლეთ ევროპის და ამერიკის კაპიტალიზატურ მეურნეობის ნაწარმოებთან შედარებით? საზოგადოების საქმე რომ იყოს, იგი დიდი ხანია ხელს აიღებდა ასეთ «გასაზოგადოებულ» მეურნეობაზე, ხოლო საბჭოთა სახელმწიფო ამ ნაციონალიზაციის გარეშე ვერ იარსებებდა.

პირველი დიდი მსოფლიო ომის შემდეგ (და ეს მოსალოდნელია ამ მეორე დიდი ომის შემდეგაც) ქალაქის ფულის გამრავლებამ და იმის კურსის საშინლათ დაცემამ მრავალ ქვეყანაში გაანიავა საზოგადოების ქონება, გაალატა მოსახლეობა, ხოლო სავალეება მისცა სახელმწიფოს მილიარდების მიწათმოქმედის სესხი კანონიერათ და სულ ადვილათ გაეცა მრეობა ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, თავიდან მოცილებია (მაგალითად, გერმანიაში, ავსტრიაში და სხვ.). საზოგადოებამ პირწმინდათ იზარალა, სახელმწიფომ ამაშიც კი ერთნაირი «მოგება» მიიწ ნახა.

ეს მაგალითებიც კმარა იმის დასაწახავათ, რომ საზოგადოება და თანამედროვე სახელმწიფო ერთი და იგივე არ არის, ისინი ერთი-მეორეს არ ფარავენ და მათი ინტერესები, დღევანდელ პირობებში, ხშირად სცილდება კიდევ ერთიმეორეს. ამიტომ ნაციონალიზაცია ანუ სახელმწიფოს ხელში გადასვლა ყოველგვარ წარმოების და ყოველგვარ პირობებში არ არის უსათუოდ პროგრესიული და საზოგადოებისთვის სასარგებლო მოვლენა.

ამის მაგალითები ბევრია და ეს აწინებს საზოგადოებას. სოციალისტებსაც კარგად ჰქონდათ ეს გარემოება გათვალისწინებული. ემ. ვანდერველდე სწერდა: «უნდა ითქვას, და განმეორებით უნდა ითქვას, რომ სოციალისტებს სურთ მიანიჭონ წარმოების და ალებ-მიცემობის სავალეებათა მესაკუთრეობა არა სახელმწიფოს იმ სახით, როგორც ის არის დღეს მოწყობილი» (გვ. 87). იმიტომ, რომ «მთავრობის ფუნქცია არის—განაგრძობს იგი—იმთავრობოს და არა სამრეწველო საქმეები მართოს. მთავრობისთვის ეკონომიურ ფუნქციების მიწოდება—ეს უწინდარებისთვის აწ პოლიციის ოფიცრისთვის განათების საქმის მიწოდებას ნიშნავს და ჯარის კორპუსის უფროსისთვის ფოშტა-ტელეგრაფის და რკინის გზების საქმეების დაკისრებას»-ო (გვ. 88). არც ის კმარაო, ამბობს იგი, რომ ხელისუფლება, დღეს გაბატონებულ კლასების ხელში რომ არის, მმრომელთა ხელში გადავიდეს; საჭიროა მეორე პირობაც იქმნეს დაცული, სახელდობ: უნდა მოხდეს «სეპარაცია (გამოყოფა) სახელმწიფოსი (იგულისხმება სახელმწიფო აპარატი—კ.კ.), როგორც მთავრობის, და სახელმწიფოსი, როგორც მრეწველის. იმ დღეს, როცა ეს სეპარაცია მოხდება, და მხოლოდ მაშინ, შესაძლებელი იქნება სახელმწიფოს მო-

ქმედების სფერო, როგორც მმართველისა (სამრეწველო საქმეების) გაფართოებული იქმნას ისე, რომ თვით ამ ფაქტით არ იქნება გადიდებული სახელმწიფოს გავლენა (უფლება), როგორც ხელისუფლებისა» (გვ. 93. ემ ვანდერველდე «სოციალიზმი სახელმწიფოს წინააღმდეგ», გამოცემა ფრანგულ ენაზე, პარიზი—ნანსი, 1918 წ.).

ამნაირათ, თუმცა დემოკრატიული სახელმწიფო, სახელმწიფო, სადაც სრული პოლიტიკური თავისუფლება არსებობს და ხელისუფლება მართლა ხალხის ნებისყოფის გამომხატველია, უახლოვებს ერთი-მეორეს ამ ორ შემთხვევას—სახელმწიფოს და საზოგადოებას—და ამ პირობებში მეტი უფლება აქვს სახელმწიფოს, ასე ვსთქვათ, თავის თავი საზოგადოებათ გამოაცხადოს; მაგრამ ამ შემთხვევაშიც ერთი და იგივეობა მათ შორის მყარდება ნაწილობრივ, სახელდობ—პოლიტიკურათ, ფორმალურათ, და არა მატერიალურათ *).

საზოგადოების ნივთიერი ინტერესია მეურნეობის «გასაზოგადოება» იმისთვის, რათა კერძო მწარმოებელს მრესპოს საშვალეობა წარმოების პროცესში ზედმეტი ღირებულების შექმნის და იმის მითვისების, ხოლო განაწილების პროცესში (აღებ-მიცემობაში), რათა შუამავლები, რომელთაც დიდი მოგება მიაქვთ, გაქრენ; ორივე შემთხვევაში მოგება თვით საზოგადოებას უნდა დარჩეს. ერთისიტყვით, საზოგადოება მოელის მეურნეობის «გასაზოგადოებებიან» თავის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას. თეორეტიკულათ სახელმწიფოც აქეთკენ მიისწრაფის; ხოლო სინამდვილეში ბევრი იმათგან—და ჯერჯერობით დემოკრატიული სახელმწიფოები ამ მხრივ დიდ გამოწაკლისს არ წარმოადგენენ—უმეტეს შემთხვევაში იმას დაეძებენ, რათა მათ მიერ წაყვანილმა მეურნეობამ მათ საშვალეობა მისცეს სახელმწიფო ხარისხის დაფარვის, რომელსაც ვერავითარი წყარო გადასახადების ველარსწვდება. ამიტომ მოგება აქაც მოგებათ რჩება და ზედმეტ ღირებულებას თუ საშუამავლოს, კერძო მწარმოებლის მაგიერ, ახლა სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობა «ითვისებს». ეს საუკეთესო შემთხვევაში.

ხოლო უარეს შემთხვევაში, და მრავალ მიზეზის გამო—და ზნირად იმის გამოც, რომ «პოლიტიკა» შედის გასახელმწიფოებულ მეურნეობის ღია კარებში—ამ მეურნეობას მოგების

*) ამ საგანზე მაინც და მაინც დიდი ლიტერატურა არ არსებობს. შეიძლება დაძველებული იყოს, მაგრამ მაინც კლასიკურ შრომათ დარჩა თითქმის დღემდის ანტ. მენგერის წიგნი «სოციალისტური სახელმწიფო»; ემ. ვანდერველდეც იმას იხსენიებს, როცა სახელმწიფოს დანიშნულებას არკვევს. მით უფრო მეტის ინტერესით გაეცნობა მკითხველი ახსნა-განმარტებას ამ საკითხზე ნ. ქორდანიას ახლა გამოცემულ წიგნში «ახალი ნაწერები».

მაგიერ ზარალი მოაქვს. და ეს ზარალი სახელმწიფომ გადასახადების სახითან პირდაპირ დაუკავშირებლათ, რათა წარმოებას სახელი არ გაუტყდეს) საზოგადოებას უნდა გადაახდევინოს და უნდა გადაახდევინოს საზოგადოების იმ წევრებსაც, დაზარალებულ მეურნეობის ნაწარმოებთი სრულეებით რომ არ უსარგებლებიათ.

ეს იშვიათი მოვლენა არ არის. 1948 წლის მიწურულში, საფრანგეთის მთაწარმის თავმჯდომარემ განაცხადა პარლამენტში, თუ რამდენი ზარალი მოუტანია ხაზინისთვის ნაციონალიზაციამნილ წარმოებებს ამ წლის (მე-3 და მე-4 წლის შემდეგ ნაციონალიზაციისა) განმავლობაში: ელექტრონის წარმოებას—6 მილიარდი ფრანკი, ქვანახშირის—20 მილიარდი, რკინის-გზებს—28 მილიარდი, ავიაციას—1 მილიარდი, სულ 55 მილიარდი ფრ. (გაზ. «ფიგარო» 24.12.48).

აი კიდევ საკითხი, რომლის გამო სოციალისტები ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში «ნაციონალიზაციის» მომხრე ვერ იქნებიან. კ. კაუცკი სწერდა: «სოციალიზმი ისახავს თავის დანიშნულებათ მშრომელთა კეთილდღეობას და თავისუფლებას. ამისთვის, ჩვენ უნდა ვიყოთ ნაციონალიზაციის მომხრე იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ დანიშნულების მიღწევას ხელს უწყობს; ხოლო წინააღმდეგი უნდა ვიყოთ ნაციონალიზაციის, როცა იგი ამ დანიშნულებას გვაშორებს»-ო (იხ. მისი «ბოლშევიზმი ჩიხში»).

ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით მეორე დიდი ომის შემდეგ, მრავალ სახელმწიფოში და განსაკუთრებით იქ, სადაც სოციალისტები მოხვდნენ სახელმწიფოს სათავეში (საფრანგეთი, ინგლისი), სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში, განსაკუთრებით მსხვილ მრეწველობაში, მოახდინეს ნაციონალიზაცია, სახელდათ: რკინის-გზების, ქვა-ნახშირის, გაზის და ელექტრონის წარმოების, კრედიტის (საკრედიტო დაწესებულებების), დაზღვევის და სხვ. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ მარტო აქტი მესაკუთრის გამოცვლის სრულიად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ წარმოება უკეთესად წავიდეს და რომ მეურნეობამ მეტი შემოსავალი მოიტანოს; პირიქით, ნაციონალიზაციის შემდეგ წარმოებამ ბევრ ადგილას ზარალი მოიტანა, ნაწარმოების ფასები გაიზარდა. ნაციონალიზაციამნილ მეურნეობის ის დარგები, ჩვენ რომ ზევით დავასახელოთ, ამ ქვეყნებში მკვიდრ ნიადაგზე იდგენ, ტექნიკურათ შედარებით კარგად იყვენ მოწყობილი, ძირითადი და სათადარიგო კაპიტალი დიდი ჰქონდათ, ბევრი მცოდნე და გამოცდილი კაცი ყავდათ თავის განკარგულებაში და უმეტეს შემთხვევაში მომგებიან საქმეს წარმოადგენდნენ; ვერ ვიტყვით, რომ ნაციონალიზაციის შემდეგ საქმე ყოველგან უკეთესად წასულიყოს, ხარჯები გაიზარდა, დისციპლინა შესუსტდა, ზოგან საქმემ ზარალი მოიტანა. ამ გარემოებამ უკვე ჩააფიქრა

სახელმწიფოს ხელმძღვანელნი და ზოგ ადგილას, თვით სოციალისტურ წრეებში, საჭიროთ დაინახეს, რათა შეაჩერონ ნაციონალიზაცია წარმოების ზოგიერთ ახალ დარგის, სანამ უკვე ნაციონალიზაციაქმნილ წარმოებებში საქმე უკეთესად მოეწყობოდეს. სწორედ ამას აღიარებდნენ 1948 წელს, ე. ი. 3—4 წლის შემდეგ ნაციონალიზაციისა წარმოების ზოგიერთ დარგის, ინგლისის მუშათა პარტიის კონგრესზე სკარბორო-ში ამ პარტიის ლიდერები და მთავრობის გავლენიანი წევრები ბ. მორარისონ (მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე) და სხვები, როცა ისინი მოითხოვდნენ მუშათა პარტიიდან მეტ სიფთხილეს და მეტ ზომიერებას ნაციონალიზაციის საქმეებში: არა იმის უარისყოფას, არა უკან მობრუნებას ამ საქმეში, მაგრამ მეტ სიფთხილეს და მეტ ზომიერებას!

ბევრი არის ევროპაში ეკონომისტები და პოლიტიკოსები მეურნეობის სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმართვლობის ხელში გადასვლის წინააღმდეგი რომ არიან, და არა პრინციპიალურ, არამედ პრაქტიკულ მოსაზრებათა გამო, იმ მრავალ მიზეზის გამო, რომელთაც მე არ შემეძლო, ყველას, აქ შევხებოდი. ისინი ამტკიცებენ, რომ ხელისუფლების პირდაპირ ჩაბმა წარმოების და ალებ-მიცემობის საქმეში სპობს თავისუფალ კონკურენციას, აძლიერებს ბიუროკრატიზმს, ბორკავს თვითმოქმედებას, აბატონებს მოხელეს (ეტატიზმი), ართულებს საქმეს, ხელს უწყობს ნაწარმოების გაძვირებას და სხვა მრავალი ასეთი მოსაზრება მოყავთ ხოლმე.

და აი იმისთვის, რათა «ნაციონალიზაციაქმნილი» მეურნეობა არ გადაიქცეს სახელმწიფოს ხელში საზოგადოების ექსპლუატაციის საშვალეობათ, მისგან შესაძლებელ ზარალის ხაზინისთვის თავიდან ასაცილებლათ, ეტატიზმის და მთავრობის მოხელის გაბატონების წინააღმდეგ, საჭიროთ არის მიჩნეული, რათა «გასახელმწიფოებული», «გასაზოგადოებული» თუ «ნაციონალიზაციაქმნილი» მეურნეობა—სულ ერთი არას ვუწოდებთ იმას ახლა *)—წარმოადგენდეს სწულიად აგტონომიურ დაწესებულებას: მას თავისი საკუთარი თანხები

*) არსებითად, «გასაზოგადოებული» და «გასახელმწიფოებული» მეურნეობა ერთი და იგივე არ არის. პირველი ეკუთვნის საზოგადოებას (ამ დარგში შეიძლება ჩაირიცხოს კოოპერატივებიც) და სახელმწიფო თუ მუნიციპალიტეტი შესაძლებელია იქ მხოლოდ წარმოდგენილი იყოს (ასეთია წარმოება გაზის, ელექტრონის, ქვა-ნახშირის და სხვ.); «გასახელმწიფოებულ» ანუ სახელმწიფოს მეურნეობაში კი თვითონ სახელმწიფო თამაშობს უმთავრეს როლს და სხვას იმას არ უთმობს (ასეთია ფაშტა, ტელეგრაფი, სამხედრო იარაღის დამზადება და სხვ.),—ესენია უმთავრესად მონოპოლიურ ხასიათის წარმოებანი.

და ხარჯთაღრიცხვა უნდა ჰქონდეს, მას სახელმწიფოს ხელისუფლებიდან დამოუკიდებელი, ავტონომიური გამგეობა უნდა ხელმძღვანელობდეს. ეს გამგეობა უნდა შესდგებოდეს: მომხმარებელთა, მწარმოებელ-ტექნიკოსთა ანუ მუშა-მოსამსახურეთა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისაგან. ამ პირობებში სახელმწიფო აპარატი ვერ გამოიყენებს იმას თავის ვიწრო და არა ფართო საზოგადოებრივი დანიშნულებისთვის და თავის პარტიულ-პოლიტიკურ განზრახვებით იქ ხელის ფათურს ვერ დაიწყებს.

საყოველთაოთ მიღებული და პრაქტიკაზე გამოცდილი საბოლოო ფორმა «გასაზოგადოებულ» მეურნეობის საუკეთესოთ დაყენებისთვის ჯერ კიდევ არ არის გამოჩახული. საფრანგეთში, მაგალითად, თანახმად 1948 წ. 5 ნოემბრის დეკრეტისა, გაზის და ელექტრონის უმაღლესი საბჭო ავტონომიურათ მოქმედობს და შესდგება: პარლამენტის, აღმინისტრაციის, მუნიციპალიტეტის, მომხმარებელთა, სხვა ნაციონალიზაციკმნილ წარმოებათა და მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლებისაგან; მაგრამ საბოლოო წესები ნაციონალიზაციკმნილ წარმოებათა მართვა გამგეობის არც აქ არის კიდევ (1948 წ.) შემუშავებული.

მე ვეცადე მეურნეობის ნაციონალიზაციის მოწინააღმდეგეთა მთავარი მოსაზრებანი ობიექტიურათ მომეყვანა, რადგან ეს მოსაზრებანი წარმოადგენდენ ჩვეულებრივ საბუთს ჩვენშიც ოპოზიციის ერთი ნაწილისას, მეურნეობის ნაციონალიზაციის და მუნიციპალიზაციის წინააღმდეგი რომ იყვენ. თუ ექსკურსია ამ საკითხის ძალიან ფართო, ძალიან რთულ და ძალიან საინტერესო სფეროში გამიგრძელდა, უმთავრესად მაინც იმიტომ, რომ ეს საკითხი ჩვენში ძალიან ადვილ საქმეთ იყო წარმოდგენილი ოპოზიციის მემარცხენე წრეებში და აქაიქ ხელმძღვანელ პარტიის, სოც.-დემოკრატიულ პარტიის, წრეებშიც. ისინი ასე მსჯელობდენ: რაკი «ერთვანულ სახელმწიფოს ცხოვრების აღორძინების მეთაურობა წილად ხვდა ჩვენში მშრომელ ხალხს», ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაც ერთადერთი საშვალეება «ფართო საზოგადოებრივი, სფერობო, საქალაქო და სახელმწიფო მეურნეობის მოწყობა»-ო. ყოველივე ამის მოსაწყობათ კი თითქოს საკმარისი იყო მმართველი პარტიის სურვილი და შესაფერი კანონების გამოცემა!.. მმართველ პარტიას კი თავიდანვე უფრო რთულათ მიაჩნდა ეს საკითხი (იხ. დეკლარაცია დამფუძნებელ კრებაში) და თავის ხაზს განაგრძობდა, ხაზს ზღმიკ შეშისას, მეურნეობის გასაზოგადოების საქმეში.

როცა სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს 1920 წლის ივლისში, მემარცხენე ოპოზიციის წარმომადგენელი (სოციალისტ-რევოლიუციონერი ივ. ლორთქიფანიძე) ამბობდა დამფუძნებელ კრებაში:

«ომმა სრულებით გააკტრა კერძო კაპიტალის მეურ-
 «ნეობა, ახალ მწარმოებელ ძალთა განვითარებას უნდა ახა-
 «ლი ფორმები და აქ ჩვენ უნდა ვაწარმოვით ჩვენი პოლი-
 «ტიკა, რომ საკუთარ ძალდონით შევქმნათ მსხვილი განვი-
 «თარებული წარმოება... ამის მოგვარება მხოლოდ სახელ-
 «მწიფოს და ქალაქ-ერობა-კოოპერატივებს შეუძლია». ო,
 იმას ნ. ზომერეიკი სოციალ-დემოკრატების შემდეგს შეხედუ-
 ლებას უპირდაპირებდა:

«ჩვენი ეკონომიურ პოლიტიკის დამახასიათებელი თვი-
 «სება ის არის, რომ ჩვენ ხელს ვუწყობთ საზოგადო მეურ-
 «ნეობას და იმავე დროს არ ვსდევნით კერძო ინიციატივას...
 «ჩვენ ვამბობთ, რომ ის ქვეყანა, რომელიც თანამედროვე
 «ეკონომიურ განვითარების პირველ საფეხურზეა, არ შეი-
 «ძლება უცბათ გადავიდეს სოციალისმის სამეფოში. აქ შეი-
 «ძლება მხოლოდ თანდათანობით სვლა, რათა შემზადდეს
 «მატერიალური პირობები»-ო და სხვ. (იხილეთ ანგარიშები
 დამფ. კრების სსდომის 30 ივლისს 1920 წ.).

ამნაირად, პოზიციები სხვადასხვა ჯგუფის ამ ძირითად
 საკითხში არ შეცვლილა (იხ. პარტიათა წარმომადგენლების
 დეკლარაციები დამფ. კრების მუშაობის დასაწყისში); ორი
 წლის პრაქტიკულმა მუშაობამ მმართველი პარტია კიდევ
 უფრო დაარწმუნა თავის ძირითად შეხედულებაში, ხოლო
 მემარცხენე ოპოზიციაც უკმაყოფილო დარჩა, რომ რესპუბ-
 ლიკის ხელისუფლება ზომიერების და ფთხილათ მოქმედე-
 ბის გზას არ სცილდებოდა სახალხო მეურნეობის სფეროში.

ეს სიფთხილე და ეს ზომიერება ნაგულისხმევია დამო-
 უკიდებელ საქართველოს კონსტიტუციაშიც, შემდეგნაირათ:
 «რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასახოგა-
 დოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო
 დარგი, რომელიც ამისთვის გამომხადგევია» (მუხ. 115). სახელ-
 მწიფომ და ადგილობრივმა თვითმართველობებმა ეს უფლება
 საკმაოდ ფართედ გამოიყენეს ჩვენში, ხოლო ეს იყო მინც
 უფლება «შესაძლებლობის» და «გამოსადეგობის» თვალსაზ-
 რისით განხორციელებული, და არა ვალდებულება ყოველ-
 გვარ წარმოების და ალბ-მიცემობის და ყოველგვარ პირო-
 ბებში გასახოგადობის. ამიტომ კერძო ინიციატივას და კერ-
 ძო საკუთრებას ფართე ასპარეზი ურჩებოდა დამოუკიდებელ
 საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში.

ორი გარემოება, ერთის მხრით—დემოკრატიის ნამდვი-
 ლი გაბატონება ჩვენში და ნამდვილი დემოკრატიული ხასი-
 ათი ჩვენი სახელმწიფო მმართველობისა და მეორე მხრით—
 კანონით აღიარება საქიროებისა მეურნეობის გასახოგადოე-
 ბის საქმეში ზომიერების დაცვის, ეს ორი გარემოება გამოზ-
 ხატველი იყო იმ გარანტიის, რომ გასახოგადებულ მეურ-
 ნეობას არ უნდა მიეღო ჩვენში ისეთი ხასიათი, როგორიც
 იმან მიიღო ტოტალიტარულ სახელმწიფოებში და არც «ეტა-

ტიზმათ» უნდა გადაქცეულიყო იგი, ე. ი. ჩვენში ვერ გაბატონდებოდა ხელისუფლების თვითნებობა და ჩინოვნიკის «უქაზი», რომ ეს ცოცხალი საქმე—მეურნეობის წაყვანის—ბიუროკრატიულ ქაპანწყვეტათ გადაქცეულიყო. ხოლო ერთი პირობით: დემოკრატია ჩვენში ნამდვილ დემოკრატიათ უნდა დარჩენილიყო და ხალხის სუვერენული უფლება და მისი ნებისყოფის გავლენა ქვეყნის მართვა-გამგეობაზე შეურყეველათ!..

მართალია, ნაციონალიზაციკაქმნილი და მუნიციპალური მეურნეობანი, საზოგადოთ აღებული, ჯერ კიდევ არ წარმოადგენდენ ჩვენში ავტონომიურ დაწესებულებებს თავისი საკუთარი, ავტონომიური ბიუჯეტით და კასით, მთავრობისაგან დამოუკიდებელ ავტონომიურ გამგეობით, და მეურნეობას ჯერჯერობით, და უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობანი, კუთვნილებისამებრ, მათ მიერ დანიშნულ მოხელეების საშვალეებით განაგებდენ და მათი ხარჯი და შემოსავალი სახელმწიფოს თუ ადგილობრივ თვითმართველობათა ბიუჯეტთან იყო გადაბმული; მაგრამ ორგანიზაციული მუშაობა ამ მხრივ, რომელიც დასახელებულ ზომების ცხოვრებაში გატარებას გულისხმობდა, კიდევ არ იყო დასრულებული, როგორც არ არის იგი ამ დარგში დასრულებული (აგერ მეოთხე წელიწადია ზოგიერთ წარმოებათა ნაციონალიზაციის შემდეგ) საფრანგეთში და ინგლისში. ხოლო რა მიმართულებით უნდა წასულიყო ეს მუშაობა, რა ტენდენცია ჰქონდა იმას, ეს უკვე მოსჩანდა ჩვენში, ამის საფუძველი ჩაყრილი იყო.

აქ აღსანიშნავია, სახელდობ, ის გარემოება, რომ დამოუკიდებლობის დროს შემუშავებულ კანონების და წესების თანახმად მოწყობილი ისეთი ფრიად დიდი მნიშვნელობის მეურნეობანი, როგორიც იყვენ სახელმწიფოს ცენტრალური-საემისიო ბანკი, მარგანეცის ექსპორტის მონოპოლია და საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება გასახელმწიფოებულ მეურნეობათა დარგს ეკუთვნოდენ, მაგრამ მუშაობდენ სრულიად ავტონომიურათ და ხელმძღვანელებათაც იქ არჩეული იყვენ არა მთავრობის მოხელეები, არამედ დამოუკიდებელი ცნობილი საზოგადო მოღვაწეები ან საქმის კაცები და არც პარტიულობის მიხედვით, არამედ ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით (ხელისუფლებას არ მოუნდომებია მინც და მინც მმართველ პარტიის კაცების დანიშვნა—გამგეობის თავმჯდომარენი და წევრთა უმრავლესობა გამგეობაში ყველა ამ დაწესებულებებში არასოციალ დემოკრატები იყვენ). ეს მაგალითები მაჩვენებელია იმის, რომ რესპუბლიკის კანონმდებლობის ტენდენცია იყო სწორეთ ის «სეპარაცია» სახელმწიფოს ხელისუფლებისა და სახელმწიფოს სამრეწველო-სამეურნეო საქმეების, რომლის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი; ეს იყო ტენდენცია ნაციონალიზაციკაქმნილ

მეურნეობათა ავტონომიურ და დამოუკიდებელ საფუძველზე მოწყობის, მათი მართლა გასაზღვარებობის.

«გასაზოგადოებულ» მეურნეობათა სფერო ჩვენში დიდი იყო და იმის გაფართოებას ხელს უწყობდა, ერთის მხრით, ის გარემოება, რომ კერძო მრეწველობა და ალებ-მიცემობა ჩვენში სუსტი იყო და სახელმწიფოს მოქმედებას ამ მხრივ დიდი წინააღმდეგობა არ შეხედებოდა, კერძო საკუთრების პრინციპზე მოწყობილ წარმოებათა დანგრევა და გარდაქმნა არ უხდებოდა; მეორე მხრით, ის გარემოება, რომ არსებობდა დარგები სახალხო მეურნეობის, საქართველოს რესპუბლიკას, ასე ვსთქვათ, მემკვიდრეობით რომ უნდა მიეღო ძველი სახელმწიფოდან (მაგალითად, რკინის გზები) ან მათი ხელში ალება არავეითარ წინასწარ ხარჯს სახელმწიფოდან რომ არ მოითხოვდა (მაგალითად, საჰაერო არ იყო გამოსყიდვა საუფლისწულო მამულების, ხე-ტყის და შუშის ქარხნების ბორჯომში, კურორტების აქ და აბასთუმანში) და ამავე დროს ეს მისთვის ერთგვარ აუცილებლობასაც წარმოადგენდა: ვის უნდა მიეღო ეს საქმეები ძველ სახელმწიფოდან და ძველ მესაკუთრეთაგან, თუ არა ახლად აღორძინებულ სახელმწიფოს?

დასასრულ—და აი ეს ბევრს ავიწყებოდა—სახელმწიფოს უფრო ფართე მასშტაბით ჩარევას სამეურნეო საქმეებში საზღვარს უდებდა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, ჩვენი სიღარიბე—სიღარიბე სახელმწიფო ხაზინის, ტექნიკური მოწყობლობა და გამოცდილი ხალხის ნაკლებობა. ეს არის საზოგადოთ ერთი უმთავრესი მიზეზი, რაც აბრკოლებს ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყანაში სახალხო მეურნეობის ფართე მასშტაბით გასაზოგადოებას, და სოციალიზმსაც.

მე უკვე აღვნიშნე სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს (სხვა ადგილას), რომ შემოსავალი «სახაზინო ქონებიდან»—სადაც თავს იყრიდა ნაციონალიზაციაქმნილ მეურნეობათა მთელი შემოსავალი—ვერ ფარავდა ამ მეურნეობებზე გაწეულ ხარჯებს და ვარაუდსაც ნაკლების პროპორციით ამართლებდა იგი, ვინემ, მაგალითად, გადასახადები. ასე, სახელმწიფო ბიუჯეტის ის მუხლი, რომელსაც ეწოდებოდა «შემოსავალი სახაზინო ქონებიდან და თანხებიდან»—ამაში შედიოდა შემოსავალი გზათა უწყების (რკინის-გზები) და მიწათმოქმედების სამინისტროსი (სახელმწიფო ტყეების ექსპლოატაციის, სახაზინო ქარხნების, სახელდობ ხე-ტყის, შუშის და მინერალურ წყლის ბორჯომში, საუფლისწულო მამულების და სარდაფების, კურორტების და სხვათა) და ზოგი შემოსავალიც გადასახადის სახით; ამას რომ დავუმატოთ შემოსავალი მთავრობის რეგალიებიდან (ფოშტა, ტელეგრაფი და ტელეფონი)—ყველა ესენი ერთად ვერ ფარავდენ იმ ორი უწყების ხარჯს, წარმოებას და ალებ-მიცემობას რომ ეწეოდენ და ზევით რომ დავასახელოთ (სულ სხვა იყო კიდევ ხარჯი მომარაგების).

ახვ. შემოსავალი უდრის (ათახობით მან.):

	1918—1919 წ.	1919—1920 წ.
ა) სახაზინო ქონების და თანხების	87.054	442.424
ბ) მთავრობის რეგალიების	5.062	33.946
სულ	92.116	476.370

გახავალი უდრის (ათახობით მან.):

	1918—1919 წ.	1919—1920 წ.
ა) გზათა სამინისტროსი	144.928	651.835
ბ) მიწათმოქმედების	8.901	172.784
სულ	153.829	824.619

სულ ორივე წლის შემოსავალი ერთად უდრის 568.486 ათას მან., ხოლო გასავალი 978.448 ათას მანეთს; ზარალი ორი წლის განმავლობაში იყო 409.962 ათასი მანეთი.

ბიუჯეტის განხილვის დროს (სხვა ადგილას) მე აღვნიშნე ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზებიც და ის, რომ ბევრი მიზეზი გარდამავალი ხასიათის იყო, კერძოდ რკინის-გზების ზარალის; მაგრამ ფაქტი მანაც ფაქტათ რჩება და ამის უბედურება ჩვენს სინამდვილეში ის იყო, რომ ეს ზარალი სახელმწიფო მეურნეობის—ორი წლის განმავლობაში თითქმის ნახევარი მილიარდის (410 მილიონის)—უნდა დაფარულიყო არა შემოსავლის სხვა წყაროებიდან—იგი სხვა ხარჯებსაც არ ყოფნიდა, არა ხაზინის რეზერვიდან—რაც არ არსებობდა, არამედ ქალაქის ფულის ბეჭდვით. ეს უკანასკნელი გარემოება თავის მხრივ ხომ ხელს უწყობდა ფულის ღირებულების დაცემას და მით, არაპირდაპირ, საერთო ეკონომიურ მდგომარეობის გაუარესებას.

მიუდგომლობა მოითხოვს ითქვას, რომ ორი წლის გამოცდილება, და ისიც სრულიად არანორმალურ პირობებში, არ არის საკმარისი დრო იმის დასკვნისთვის, რომ წარმოება სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმართველობის ხელში უსათუოდ საზარალოა, როგორც ზოგი ცდილობს ეს დაამტკიცოს ანლაც ევროპის სახელმწიფოების მაგალითზე და როგორც ამას ამტკიცებდენ მაშინ ჩვენში *).

*) რომელ კერძო საქმეს თავის დასაწყისში. აღორძინების პირველ ხანებში, არ უნახავს ზარალი? ხოლო საჭიროა გავიხსენოთ ისიც, რომ დიდი ხანია სახელმწიფოს ხელში არსებული წარმოებანი ხშირად დიდ მოგებას აძლევენ ხაზინას, მაგალითად, თამბაქოს და ასანთის წარმოება და ვაჭრობა საფრანგეთში და სხვაგან, სახელმწიფო რკინის-გზები მრავალ ქვეყანაში და სხვ. თვითღირსება და ხარისხი სახელმწიფო ქარხნების წარმოების ბევრ შემთხვევაში სახელგანთქმულია, მაგალითად: გობელენების და სერვის ფარფორის წარმოება საფრანგეთში.

ხოლო ყურადღების ღირსი აქ ის არის, რომ ეს ზარალი საზღვარს უდებდა ჩვენში გასახელმწიფოებულ მეურნეობის ქსელის გაფართოებას და, მაშასადამე, აი კიდევ ერთი საბუთი იმის, რომ უნიადაგო იყო შიში და საყვედური ოპოზიციის იმ ნაწილის, რომელიც ამტკიცებდა, რომ კერძო ინიციატივას და კერძო საქმიანობას ჩვენში თითქოს ადგილი არ ურჩებოდა: გასაკეთებელი ჩვენში აუარებელი საქმე იყო, ოღონდ ამისთვის საკმარისი კერძო ინიციატივა და კერძო საშვალეება მართლა გამოჩენილიყო!..

მეორე მხრით, განა შეიძლებოდა ჩვენს პირობებში სახალხო მეურნეობის გასაზოგადოებაზე თავადებით ლაპარაკი? ეს საქმე აუცილებლათ განსაზღვრულ ჩარჩოებში უნდა ყოფილიყო ჩაყენებული და დიდი თანდათანობა უნდა ყოფილიყო დაცული იმის განხორციელებისთვის, რამდენათ ეს ზომა პრინციპიალურათ კი იყო მისაღები. ამიტომ ზომიერების ის ხაზი და ის თანდათანობა, ხელისუფლებას რომ ჰქონდა ჩვენში აღებული, მიზანშეწონილი და აუცილებელი იყო.

დამოუკიდებელ საქართველოში სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგის ნაციონალიზაცია ცხოვრებაში იყო გატარებული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად. ასე, მიწის გულის (მადნეულობის), წყლის ძალის, ტყეების, საძოვარ-საბალახოების სახელმწიფოს თუ ადგილობრივ თვითმართველობათა საკუთრებათ გამოცხადება ხანს უმზადებდა და ნიადაგს უქმნიდა «განსაზოგადოებულ» მეურნეობის მოწყობას და იმის გაფართოებას; ხოლო სახელმწიფოს მიერ თავის ხელში აღება რკინის-გზების, ზოგიერთ ქარხნების, ყოფილ საუფლისწულო მამულების, ვაჭრობის უცხოეთში გასატან და იქედან შემოსატან ზოგიერთ საქონლით და სხვა ამგვარი საქმე პრაქტიკული განხორციელება იყო შემდეგ კონსტიტუციაში აღნიშნულ რესპუბლიკის მიერ «საკუთარ სააღებ-მიმცემო და სამრეწველო მეურნეობის» მოსაწყობ ზომების.

რასაკვირველია, ყველა ამ ზომებს და ამ კანონმდებლობას კვალი აჩნდა სოციალისტურ მსოფლმხედველობის, გავლენა სოციალისტების, პოლიტიკურ დემოკრატიის გამარჯვებასთან ერთად ჩვენში სოციალურ დემოკრატიის გამარჯვებისთვის რომ ზრუნავდნენ. ხოლო ამ ზომების დამახასიათებელი საქართველოში მაინც ის იყო, რომ ამ ზომებს არ ჰქონდა დოგმატიური ხასიათი და ისინი არ წარმოადგენდნენ უმციურესობის მიერ «ცეცხლითა და მახვილით» თავის პროგრამულ მოთხოვნილებების უმრავლესობისთვის თავზე მოხვევას, და ამიტომ არც მოწინააღმდეგეთაგან იწვევდნენ სასტიკ შემოტევას. ამის მიზეზი ისიც იყო, სხვათა შორის, და ეს უკვე აღვნიშნე, რომ კერძო მსხვილი მრეწველობა ჩვენში თითქმის არ არსებობდა და არც ბურჟუაზია საერთოდ ჩვენში ძლიერი არ იყო. ამავე დროს, ამ ზომებს ჩვენში არ ეტყობოდა არც თეო-

რეტიული გატაცების ნიშანი ან ვისიმე «გულის მოსაგებათ» წარმოებულ დემავოკიის ხასიათი: მუშები და მოსამსახურეები, მაგალითად, სახელმწიფოს და ადგილობრივ თვითმართელობათა მეურნეობაში, სამწუხაროთ, ხშირად ნაკლებ ხელფასს და ჯამაგირს იღებდნენ, ვინემ კერძოში. მეურნეობის ნაციონალიზაცია, პირიქით, სახელმწიფოსთვის ხშირად აუცილებლობის ხასიათსაც ატარებდა, მიზანშეწონილობის ნიშანადგს არ სცილდებოდა და არც ზომები ამისთვის მიღებული უკიდურესობამდის წამწვეტებული არ იყვენ.

გავიხსენოთ ფაქტები.

ზევით მე დავასახელე სახელმწიფო მეურნეობის მთელი რიგი წარმოებათა, რომელნიც «მემკვიდრეობით» და «აუცილებლობით» მოექცენ დამოუკიდებელ საქართველოს მიერ მოხდენილ ნაციონალიზაციის სფეროში, ასე ვსტყვათ, d'office (ოფიციალურათ ანუ მოვალეობის გამო) და ex abrupto (უცებ, მოუშადებლჳთ). გავეცნოთ ახლა სახალხო მეურნეობის იმ თვალსაჩინო მაგალითებს, როცა ნაციონალიზაცია ხელისუფლების მიერ წინასწარ მომზადებით და გათვალისწინებით იყო ცხოვრებაში გატარებული.

1. მარგანეცის შადანი. სახელმწიფო საკუთრებათ იყო გამოცხადებული ისე, როგორც სხვა ყოველგვარი მადნეულობა. იმის ექსპორტი, იმის უცხოეთში გატანა, სახელმწიფოს მონოპოლიას წარმოადგენდა, ე. ი. მარგანეცის მთელი პროდუქცია ფაქტიურათ სახელმწიფოს ხელში გადადიოდა, რადგან მარგანეცი მხოლოდ უცხოეთში იყიდებოდა. ამ მონოპოლიის განხორციელებას, ე. ი. მარგანეცის ექსპორტის ნაციონალიზაციის განხორციელებას, მთავრობა შეუდგა მრეწველებთან შეთანხმებით; და თუ ექსპორტის საქმეში ყველაფერი მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, სამაგიეროთ თვით წარმოების პროცესში მთავრობა არ ერეოდა, ქარხნები ავტონომიურათ მუშაობდნენ და კერძო ფირმების საკუთრებას წარმოადგენდნენ. ამ წესით სახელმწიფო მეტს იგებდა, რადგან მას არაფერი ეხარჯებოდა წარმოების პროცესში და არც ინვენტარის შექმნაში და განახლებაში; მესაკუთრეები გამოცდილი იყვენ თავის საქმეებში და უფრო დაინტერესებულიც იმის საუკეთესოდ წაყვანაში, ვინემ შეიძლება ყოფილიყვენ ამ საქმეში გამოუცდელი მოხელეები, მათ ხელში რომ გადასულიყო წარმოების საქმე, თუ ქარხნების ნაციონალიზაცია მოხდებოდა. აქ, ამ საქმეში, რესპუბლიკა ხელმძღვანელობდა მიზანშეწონილობის პრინციპის და მეტის მოვების ანგარიშით.

2. ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში სახელმწიფო არ დაჯერდა მადნის ნაციონალიზაციას, მან შეისყიდა ქარხნები (სამთო-მადნო მოწყობილობა) და უშუალოთ შეუდგა ექსპლუატაციას. მართალია, წარმოება საბოლოოთ აქ თვალსაჩინოთ იმატა, მაგრამ ერთხანს ამ საქმის წესიერათ დალაგება არ

მოხერხდა: იგი ხან ერთი უწყების ხელში იყო, ხან მეორის, ხან ერთ გამგეს ებარა, ხან მეორეს, და ხან წარმოება იჯარის ხასიათსაც ატარებდა. ვერც იმას ვიტყვი, რომ კომერციულ თვალსაზრისით ეს საქმე მოგებას აძლევდა ხაზინას. მაგრამ კერძო თაოსნობის ხელში ამ საქმეს მთავრობა მიიწვევს სტრუქტურადა, რადგან ნავთის უქონლობის გამო და ხშირად იმის აზერბაიჯანისაგან მთელი ჩვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ რაოდენობის მიღების დაბრკოლების გამო, ქვანახშირი შეიქმნა უმთავრესი, და ხანდახან ერთადერთიც, მამოძრავებელი ძალა ჩვენი რკინის-გზების და ჩვენს პორტებში შემომავალ გემების. ამ საქმეში კანონმდებლობა ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს უადრეს ინტერესებში, როცა მან ხელისუფლებას მიანიჭა მისი უშუალოდ ექსპლოატაციის უფლება. ამ საქმეზე სახელმწიფო ხელს ვერ აიღებდა მაშინ, იგი საზარალოც რომ ყოფილიყო ნივთიერათ.

3. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შეეძლო მთელი კრედიტის (ბანკების) ნაციონალიზაცია მოეხდინა. ამის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ სოციალისტურ ლიტერატურაში და ბევრ ქვეყანაში მეორე დიდი ომის შემდეგ ეს განახორციელეს კიდევ. ჩვენი კანონმდებლობა ამ საქმეში წინსვლის გზას დაადგა, თუმცა ეს ფრთხილ მნიშვნელოვანი საქმე, კრედიტის საქმე, მას უყურადღებოთ არ დაუტოვებია. მან თავი მოაკვეთა კერძო სასაბეჭულო იაცო კომბინაციებისთვის სახელმწიფო კრედიტის ბოროტათ გამოყენებას უპირველეს ყოვლისა იმით, რომ, წინააღმდეგ ვეროპის თითქმის ყველა ქვეყნებში იმ დროს არსებულ წესებისა, სახელმწიფო (ცენტრალური-საემისიო) ბანკი კერძო აქციონერების ხელში იქ რომ იმყოფებოდა, ჩვენში იგი ნამდვილ სახელმწიფო ბანკათ აქცია, დაუმორჩილა რა იგი უშუალოდ პარლამენტს და ყველა საკრედიტო დაწესებულებანი ამ სახელმწიფო ბანკის ზედამხედველობის ქვეშ დააყენა. კერძო ბანკების ნაციონალიზაცია ჩვენში სახელმწიფოს არ მოუხდენია და ეს გარემოება საშვალებას აძლევდა კრედიტის კერძო მაძიებელთ ფული—კაპიტალით ღარიბს ჩვენს ქვეყანაში—იმ წრეებშიც მოეგროვებიათ, სადაც, შეიძლება სახელმწიფო ბანკი ვერც მისწვდებოდა; ხოლო თვითონ ამ კერძო ბანკების ოპერაციები სახელმწიფოს ცენტრალურ ბანკის ზედამხედველობას ვერ გაუსწლტებოდა. მოკლეთ, საქართველოს რესპუბლიკამ ამ საქმეში დაიცვა ის ზომიერება, ინგლისში მუშათა პარტიის მთავრობამ შემდეგ—1946 წ.—რომ გამოიჩინა, როცა მან კრედიტის საუკეთესოდ მოწყობის მიზნით მოახდინა ნაციონალიზაცია მხოლოდ ინგლისის ბანკის (ცენტრალურ საემისიო ბანკის) და არა ყველა ბანკების.

უფრო რადიკალურ გზას ამ მხრივ დაადგა საფრანგეთის კანონმდებლობა, რომლის თანახმად ზოგიერთ კერძო ბანკებსაც მოუხდინეს ნაციონალიზაცია.

ამ საქმეშიც ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა არ გაყოლია დოგმას, მან დაიცვა ზომიერება და ამაში იგი რომ არ შემცდარა, ეს დაგვანახა შემდეგში, როგორც ესტევი, დიდი-ბრიტანეთის სოციალისტურ კანონმდებლობამ ამ სფეროში^{*)}.

ის, რაც დამოუკიდებელ საქართველოში კეთდებოდა სოციალურ-ეკონომიურ სფეროში, რასაკვირველია, არ იყო სოციალიზმი; ხოლო ეს ზომები თანდათან შესცვლიდა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურას და ნიადაგს ამზადებდა ახალ სოციალურ ურთიერთობის დასამყარებლათ დემოკრატიულ კანონმდებლობის, და არა ძალდატანების, წესით. ამით ისინი დასავლეთ ევროპაში ახლა მიღებულ ზომებს მოგვაგონებენ.

მეორე ნიშნობლივი თვისება დამოუკიდებელ საქართველოს კონსტიტუციისა სოციალურ-ეკონომიურ სფეროში იყო დაცვა წვრილი წარმოების და წვრილი მწარმოებლების, როგორც სოფლის, ისე ქალაქის მეურნეობაში: «წვრილი მწარმოებლის—სოფლის მეურნის, ხელისნის, შინა-მრეწველის—შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია»—ვკითხულობთ ჩვენ დამოუკიდებელ საქართველოს კონსტიტუციაში (მუხ. 116).

ეს არის საკითხი საზოგადოების საშუალო კლასების დაცვის. ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხშიც, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია—პარტია მარქსისტული—არ გაყოლია «მარქსიზმის» დოგმას, ყოველ შემთხვევაში იმის ვულგარულათ გაგებას, და თავისი ნაბიჯები მან საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ სინამდვილეს დაუკავშირა.

ეს არც შემთხვევითი მოვლენა ყოფილა. ამ საკითხში საქართველოს სოციალ-დემოკრატიას თავიდანვე განსაკუთრებული პოზიცია ეჭირა და ამაში იყო იმის ძლიერი მხარე: იგი თავიდანვე არამცთუ უდიდეს ყურადღებით ეპყრობოდა გლეხთა საკითხს, არამედ გლეხებს სთვლიდა ისე, როგორც მუშებს, მთავარ პოლიტიკურ ძალათ საუკეთესო მომავლისთვის ბრძოლაში და ცდილობდა საშუალო კლასები საერთოდ თავის პოლიტიკის გავლენის ქვეშ დაეყენებია. «ეს იმ დროსა

^{*)} სოციალისტებისთვის საინტერესო უნდა იყოს კ. კაუცკის შეხედულება ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ, გამოთქმული მის მიერ თავის ცნობილ წიგნში «პროლეტარული რევოლიუცია».

(მე-90 წლებში—კ.კ.)—სწერდა შემდეგ ნ. ჟორდანიას—სრულიად ახალი ამბავი იყო: მარქსისტები თავის მუშაობას მხოლოდ პროლეტარიატით ფარგლავდნენ და საშუალო კლასებს თავის ყურადღების გარეშე ტოვებდნენ. ეს საკითხი, რომელიც დღეს ასე მწვავეთ დადგა მთელ დასავლეთში, ჩვენმა ჯგუფმა გადასჭრა დადებითად თავიდანვე. ამ ორმოცი წლის წინეთ. ამით დიდად განსხვავდებოდა, რასაკვირველია, რუსის სოციალ-დემოკრატიისაგან» (იხ. მისი წინასიტყვაობა 1894 წ. ჟურნალ «მომამბე»-ში მოთავსებულ მისი ცნობილ წერილის «ეკონომიური წარმატება და ეროვნება», განმეორებით ცალკე წიგნათ გამოცემულის პარიზში 1937 წ.).

როცა საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ხელში აიღო და იგი თავის შეხედულების და ძველი დაპირებების განხორციელებას შეუდგა, მისი გავლენით შესაფერისი ზომები სახელმწიფოს კანონმდებლობაში იქმნა გატარებული. პირველი და ყველა სხვა ზომაზე უფრო მნიშვნელოვანი ამ მხრივ იყო აგრარული რეფორმა, რომლის მნიშვნელობაზე სხვა ადგილზე გვქონდა ლაპარაკი (იხ. თავი: «აგრარული რეფორმა და სოფლის მეურნეობა»); იგი, რეფორმა, ამაგრებდა და ამტკიცებდა წვრილ წარმოებას და წვრილ მესაკუთრეობას სოფლათ.

შემდეგ, ამას სხვა უფრო მცირე მნიშვნელობის, მაგრამ საშუალო კლასებისთვის სასარგებლო ზომები მოყვებოდა: კრედიტის გაფართოება და იმის ხელმისაწვდომად გახდომა წვრილი და საშუალო მწარმოებლისთვის, როგორც სოფლათ, ისე ქალაქში და როგორც სახელმწიფო ბანკის საშვალეებით, ისე კერძო საკრედიტო დაწესებულებათა საშვალეებითაც, რომელთა რიცხვი მატულობდა პროვინციაში (კერძოთ, საურთიერთო ნდობის საკრედიტო საზოგადოებათა უფრო შესაფერ სახის სააქციონერო ბანკებათ გადაკეთებით); ამასვე ხელს უწყობდა კოლპერატიულ მოძრაობის განვითარება ჩვენში, და სხვ.

ხედმეტია განმეორება აქ ცნობების სოციალურ-ეკონომიურ სფეროში კონსტიტუციით დაწესებულ ისეთ ზომების შესახებ, როგორიცაა: შრომის პირობების დაცვა, რვა საათის სამუშაო დღის დაცვანება, მოხუცთა და ავადმყოფთა დახმევა და უზრუნველყოფა და სხვა ისეთი ზომები, სოციალისტურ პარტიების პროგრამის ეგრეთ წოდებულ «მინიმუმში» რომ არის ჩამოთვლილი; ცნობილია, რომ ყველა ამ ზომებმა სავსებით პოვა ადგილი საქართველოს კონსტიტუციაში. ზოგი იმათგან კონსტიტუციის მიღებამდის იყო ცხოვრებაში გატარებული და ზოგიც თანდათან, სახელმწიფოს ნივთი-

რათ მოღონიერების მიხედვით, მოელოდა პრაქტიკულათ განხორციელებას (იხ. ვრცლათ თავი: «შრომა და მუშათა საკითხი»).

როგორც ვსთქვი, იყო ბევრი ისეთი ზომა ძირითად კანონათ შეტანილი დამოუკიდებელ საქართველოს გონსტიტუციაში, რომ იმას იმ დროს თვით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კანონმდებლობაში ვერ იპოვიდა კაცი; ახლა კი, ამ 30 წლის შემდეგ, ბევრმა იმათგან—კერძოდ სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგის ნაციონალიზაციის შესახებ—დასავლეთ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოთა კანონმდებლობაში და ცხოვრებაში ძალიან ფართო ადგილი დაიჭირეს.

რათ თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ სულ სხვადასხვა აზრის ვიყოთ ამ ზომების შესახებ და სახელდობ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ნაციონალიზაციის და გასაზოგადოების და სოციალურ კანონმდებლობის ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან საკითხების შესახებაც; მაგრამ ამ დიდ და პრინციპიალურ საკითხების გამო თეორეტიულ დავაში შესვლა ზომ არ შეადგენს ახლა ჩვენს საგანს. ჩვენ გავეცანით იმ ფაქტიურ მდგომარეობას, დამოუკიდებელ საქართველოში რომ მყარდებოდა სოციალისტურ ხელისუფლების კანონმდებლობისა და მმართველობის პირობებში; და ეს ფაქტიური მდგომარეობა ახლა ცხადსკოფს, რომ დამოუკიდებელ საქართველოს კონსტიტუციაში, იმის ძირითად კანონებში, და ამის თანახმად იქ პრაქტიკულათ გადადგმულ ნაბიჯებში სოციალურ-ეკონომიურ სფეროში, თუმცა ბევრი რამე ახალი იყო და უცხო, მაგრამ არაფერი საოცარი და საშიშარი ეკონომიურ თვალსაზრისით და არაფერი არასახელმწიფოებრივი უფლებრივ თვალსაზრისით, როგორც ზოგი მაშინ ფიქრობდა, არ ყოფილა. ეს დაგვანახა შემდეგ სხვა ქვეყნების, ყოველ მხრივ უფრო დაწინაურებულ ქვეყნების, მაგალითებმა: ცხოვრება ამ მიმართულებით წავიდა. აქ თუ დავობენ ახლა, დავობენ უმთავრესად აღნიშნულ ზომების უკვე ცხოვრებაში პრაქტიკულათ გატარების ან ამ მხრივ დაშვებულ შეცდომების გამო და არა იმდენათ თვით პრინციპების შესახებ.

ამიტომ ვსთქვი მე ამ წერილის დასაწყისში, რომ დასავლეთ ევროპის მაგალითზე ცხოვრებამ გაამართლა—მეთქი საქართველოს ახალგაზდა რესპუბლიკის მიერ სოციალურ-ეკონომიურ სფეროში გაბედულათ გადადგმული ნაბიჯები.

ჩვენის ეროვნება.

ლტოლვილთა ხვედრი მძიმეა. უცხოეთში განხიზნული ქართველი, მშობლიურ მხარეს მოწყვეტილი, განიცდის სულიერ სივიწროვეს და ობლობას. საკუთარ ქვეყნის ბედით გულდამწვარი მისი ფიქრები მუდამ მიისწრაფის დატოვებულ სახლ-კარისაკენ, სადაც შობილა და გაზდილა, რომლის ხილვის სურვილით შებოროკილია მისი გონება და სამშობლოს მომავალი მას აფიქრებს, ალღევებს, ეძებს გამოსავალსაშუალებას. ამ ძებნის პროცესში შეიძლება იგი შეცდეს, წაიბოროტიოს, მაგრამ თითოეული მისი ნაბიჯი მომდინარეობს გულწრფელ განზრახვებიდან, სამშობლოს სამსახურის კარნახით. ამ მხრივ ქართველთა მოძრავ ნაწილმა პოლიტიკურ დაჯგუფებათა სახით უცხოეთში გაიარეს გზა შინაური უთანხმოების, ურთიერთშორის დავის, ხშირად სრულიად უსარგებლო, ზოგჯერ ფრიად საჭირო რამდენათ ამ აზრთა სხვადასხვაობაში გზას იკაფავდა, სწორი მიდგომა, სწორი შეფასება და სწორად გადაჭრა ქართული საკითხის, მისი გამანთავისუფლებელ მოძრაობის სწორი გზით მიმართვა. მაგრამ აზრთა დაყოფის ნიადაგზე არ უნდა დაირღვეს ერთი მთავარი პირობათაგანი ჩვენი გამარჯვების—ეროვნული დისციპლინა, რადგან ეროვნულ ძალთა დაქსაქსვა, ცალ-ცალკე მოქმედება, ცალ-ცალკე გზით სიარული მავნეა და უსარგებლო. მით უმეტეს დღევანდელი მძიმე საერთაშორისო მდგომარეობა ამის უფლებას არ გვაძლევს. არსებითად ამის წინააღმდეგი არავინ არის, სიტყვით ყველანი აქეთკენ მოგვიწოდებს, ყველანი ერთხმად აღიარებენ მთლიანობის, ერთად მოქმედების საჭიროებას, ბევრნი სწორად აფასებენ ემიგრაციის როლს, სწორად აღნუსხავენ მის მოვალეობას. მაგრამ მოვალეობის შესრულება შეუძლებელია შეთანხმების გარეშე, რასაც ხშირად ხელს უშლის ერთი-მეორის ვაგების სურვილის უქონლობა და ხშირად ერთეულთა პირადი მოქმედება... ის უმთავრესი ძალა, რომელსაც ისტორიამ ბრძოლის მოწინავე რიგებში ყოფნა მიუხაჯა, უნდა გამოვლდეს, უნდა გაიჭედოს, ყველა დაბრკალებანი უნდა გადაილახოს ამ ძალთა ერთ ორგანიზაციაში თავის მოსაყრელად...

ჩვენი ეროვნული მოძრაობა თავიდანვე მომდინარეობს განსაკუთრებულ პირობებში. სხვა ერნი, რომლებიც იბრძოდნენ და დღესაც იბრძვიან თავის გასათავისუფლებლად მოკლებულნი იყვნენ და დღესაც არიან ამ პირობებს... ესაა ქარ-

თველი ერის სუვერენულ უფლების მატარებელი უცხოეთში — რომლის გამოხიზვნა მოხდა ერის უზენაეს ორგანოს დასტურით და დავალებით, დაეცო მას ერის უფლებები, ეწარმოებია ბრძოლა თავისუფლების კვლავ დასაბრუნებლად. ამ მეთაურობის ისტორიული მოვალეობაა მუდმივი ზრუნვა, ფიქრი, ათასჯერ აწონვა მდგომარეობის — ერთჯერ გადაპრანის დარაჯობს, ცდილობს ამა თუ იმ რთულ პოლიტიკურ მოვლენათა კვანძის შეცნობას, სწორად შეფასებას და მასთან საკუთარ ნაბიჯების შეფარდებას. ერის ადგილობრივ მაჯისცემის გაგებით სწორად მიდგომას მიმდინარე საკითხების მიმართ. დროთა სიხანგრძლივზე ვერ მოშლის მოპოებულ უფლების მორალურ სიძლიერეს, ვერ შეანელებს ისტორიულ მოვალეობის სიმძიმეს. განსაკუთრებულ მდგომარეობის გამო ხშირად გაუგებარი, მიუწოდებელი ხდება ამ ორგანოს მოქმედების ზოგიერთი ნაბიჯები... შეუძლებელია საჯაროთ მისი მოღვაწეობის შეფასება, როგორც ეს ხდება ერის თავისუფლების ხანაში საკანონმდებლო კრებულთა მიერ. მაგრამ იგი ბასრი იარაღია გამანთავისუფლებელ მოძრაობის, და ამიტომაც მისდამი ნდობით მიდგომა, მისი მოქმედების შეფასების დროს სრული ობიექტივობა არის ერთი დიდი მოვალეობათაგანი უცხოეთში გამოხიზნულ პოლიტიკურ ძალების, რითაც აცილებული იქნება ისეთი გაუგებრობანი, რომელთაც შეუძლია დიდი ვნება მიაყენოს საერთო მუშაობას; რადგან, რამდენათ შევიწროებული არ უნდა იყვეს სამოქმედო ასპარეზი, რამდენათ მძიმე პირობები და დაბრკოლებანი არ არსებობდეს, ჩვენი ვალია, — ეროვნული დროშის გამოფენა იქ, სადაც კი შეიძლება, ჩვენი საქმის განხიზნება, სადაც კი ხმა მიგვიწვდება, ჩვენი მოთხოვნილებების წამოყენება, სადაც კი მიგვესვლება. და თუ ამის შემსრულებელი მოვალეა ერის სუვერენობის მატარებელი ძალა, მის გარშემო თავმოყრილ პოლიტიკურ დაჯგუფებათა მოვალეობაა ერთ მთლიან ფრონტზე დგომით, მისი მხარის დაჭერა, მის გამაგრება. არავინ არავის სთხოვს თავის შეხედულებებზე ხელის აღებას, არც რომელიმე დაჯგუფების გაქრობას, არამედ კვლავინდებურად ერთ ფრონტზე დარაზმვას, შეთანხმებულ მუშაობას... ურთი-ერთის გაგება, დათმობა არის საუკეთესო საშუალება ქართული ერთობის დასამყარებლად. უმოქმედობა, გაბუტვა, განზე გადგომა მოვალეობიდან გაქცევია... საჭიროა მუდმივი სურვილი შეჯგუფების, ძალთა შეთანხმების, ჩვენ ამ სურვილით ვიყავით შეპყრობილნი თავიდანვე, დავრჩით ასეთნი...

პ. ხარჯველაძე.

იქაურო რამე - რუმე.

მერვე საუკუნეში მაჰმადიანთა ჯარები მიაწვა ეგვიპტეს და დაიპყრო ის. როცა ალექსანდრიაში შევიდნენ იქ ნახეს მრავალი ბიბლიოთეკა ხელნაწერებისა და ვერ გადასწყვიტეს რა უქნან მას. მიმართეს კურიერით მთავარ სარდალს და შეეკითხნენ—რა ვუყოთ ამ ხელნაწერებსო. მან უპასუხა: თუ შიგ სწერია რაც ყორანშია, ზედმეტია, დაწვითო; თუ იქ სხვა სწერია, ვინემ ყორანშია, დიდათ მავნებელია და დაწვითო. ბრძანება იქნა ასრულებული და მით კაცობრიობას დაეკარგა ისტორია ეგვიპტის და მის ირგვლივ მდებარე ქვეყნების.

სწორედ ამ ბრძანებით ხელმძღვანელობენ დღეს საქართველოს ბოლშევიკები და აქრობენ, ამახინჯებენ ყოველივე წასულს ქართველ სოც.-დემოკრ., და ერთათ ერთ მებრძოლ სოციალისტურ ცენტრათ აღიარებენ ბოლშევიკების მცირე ორგანიზაციებს, რომელნიც აქა-იქ იყვენ გარიყულნი მუშათა კლასის გარეშე. ამის საუკეთესო მაგალითია ამ ბოლო დროს გამოსული ბერიას წიგნი ამიერ-კავკასიის სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციების და მათი მუშაობის შესახებ, სადაც ამტკიცებს, რომ არსებობდა მხოლოდ ეს ორგანოები მთელ ამიერ-კავკასიაში და მას მეთაურობდა სტალინი. სოსო გამაყვანა ერთადერთ მედროშეთ რევოლიუციისა. რასაკვირელია მთელი ეს ბრახა-ბრუხი არის ბერიას საკუთარი გამოგონება, რომ ამით დაიმსახუროს რუსეთის დიქტატორის მადლობა. კიდევაც დაიმსახურა, მიიღო დიდი ადგილი.

საკმარისია სიმართლის აღსადგენათ გადახედოთ ძველ გაზეთებს და ჟურნალებს იმის გასაგებათ თუ რა გავლენა ქონდათ ჩვენში ბოლშევიკებს. ისინი არ აუბრუნებიათ არც ერთ დუმაში, არც ერთ პარტიის ყრილობებზე, ყოველგან პარტია აგზავნიდა მენშევიკებს. დუმის დეპუტატები—ბოლშევიკები ყველანი იყვენ არჩეულნი რუსეთში. ამ ფაქტებს ისტორიიდან ვერ ამოღებვით, ამ სინამდვილეს ბერია ვერ დაფარავს წინაშე ისტორიისა. ეს არ არის ალექსანდრიის დოკუმენტები, რომელთა პირი არსად არ აღმოჩენილა. ამ მეთოდის დღევანდელ სინამდვილეში გადმოტანა, ცრუ მოგონებების გამოცემა, ყალბი ცნობების ბეჭდვა სრულიად ვერ დააბნელებს ისტორიას, დააბნელებს მხოლოდ ახალგაზრდათა გონებას,

დაატყუებს კომსომოლისტებს და შორეულ უცნობ უვიცებს. თუ რამდენათ აყვა რუსის ახალგაზდობა ბერიას გამოგონებათა ქსელს, სჩანს იქიდან, რომ მისი წიგნი გამოსცეს მოსკოვში შვიდჯერ. სინამდვილე დაფარულია ბნელი დოღბანდებით. ხოლო ეს სინამდვილე მარტივია: ბოლშევიკთა შორის იყო ორი პატარა დაჯგუფება, ერთს მეთაურობდა შაუმიანი, მეორეს სტალინი, რომელნიც ერთმანერთთან მუდმივ ბრძოლაში იყვნენ. პირველი იყო პოლიტიკური ორგანიზაცია, ხოლო მეორე პირადი და საექსპროპრიაციო. ამ ჯგუფმა ფული ბევრი შეიძინა ხაზინის თანხების გაძარცვით. საიდანაც მეტი ნაწილი ეგზავნებოდა ლენინს. ამ დახმარებამ გამოიღო დიდი ნაყოფი, სტალინი გახდა ლენინის მატყუნა ხელი და ბოლოს მთელი რუსეთის დიქტატორი. მისი დიდი კარიერა იწყება რუსეთში და არა საქართველოში; ის იქ იმორჩილებს ხალხს, მთელ საზოგადოებას, ხოლო საქართველოში იმორჩილებდა თავის ჯგუფის რამდენიმე პიროვნებას, ხალხიდან ვარიყულთ.

ერთისიტყვით, ბერიამ თავისი ყალბი ისტორიით და დაფასებით თავისთვის შექმნა დიდი კარიერა, ხოლო რუს ბოლშევიკებისათვის სიცრუე და დატყუება.

ეს საკარიერო გზა ახლა უნდა ჩაითვალოს მიღებულად ქართველი მაღალი ინტელიგენციის მიერ. ამას მოწმობს გამოცემული კრებული სახელწოდებით «თბილისი», სადაც აკადემიკოს ჯანაშია იწყებს ბერიას ქებათა-ქებით. ხოლო ამისათვის გამოგონილია ისტორიული ფაქტები.

ავტორი სწერს: «ქართველი მენშევიკების პარპაშის ხანაში (1917—1921 წ.) ქალაქი კნინდებოდა და ინგრეოდა». აი ეს უკაცრავათ პასუხია აკადემიკოსი როგორ აფასებს ქართველი ერის ადგომას, თავისუფლებას, ახალი თანამედროვე სახელმწიფოს შექმნას, მსოფლიო ასპარეზზე გამოსვლას. ყველა ეს დიდებული ამბები ყოფილა «პარპაში», ხოლო დიდებული ეპოქა იწყება «ამ პარპაშის» მოსპობით. ის განაგრძობს: «თბილისის ისტორიაში ახალი ერა იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როგორც ქართველი მუშების და გლეხების აჯანყების შედეგათ, რასაც დახმარება გაუწიეს რუსეთის მუშათა კლასმა და წითელმა არმიამ, თბილისის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქათ გახდა». აი ასე უსირცხვილოთ ახასიათებს «აკადემიკოსი» გუშინდელ ამბავს, საქართველოს დაპყრობის ისტორიას. ვითომ აქ იყო ქართველი ხალხის აჯანყება და მისთვის რუსის ხალხის და ჯარის დახმარება! თუ თბილისის აკადემიკოსთა შორის ასეთი ცრუ და მატყუარები

კიდევ მოიპოვებიან, მათი აკადემია დამარხულათ უნდა ჩაითვალოს. შემდეგ იწყება ბერიას ქებათა-ქება. «თბილისი არაჩვეულებრივი ტემპით ვითარდება მას შემდეგ რაც საქართველოს ბოლშევიკებს სათავეში ჩაუდგა ამხ. ლარვენტი ბერია» (გვ. 32—33).

ჯანაშიამ დიდათ გადააჭარბა ბერიას ძველი ისტორიის შეთხზვას სტალინის გასადიდებლათ. ახლა ის აყალბებს გუშინდელ ისტორიას ბერიას გასადიდებლათ. ხოლო ამ დიდების საბუთია თბილისში ახალი ქუჩების გაყვანა, ქალაქის გაწმენდა და სხ.

ბერია უეჭველია დააჯილდოვებს ამ მის თინიას, ისე როგორც ის დააჯილდოვა სტალინმა. გზა ჯამი-ტლაკიებისა გაკვალულია. აქე და ადიდე მალლა მდგომი და ამ გზით დაბლიდან მალლა ახვალ.

ამავე კრებულში მოთავსებულია კალინინის ქვრივის მოგონებანი სტალინზე, გატენილი ყალთაბანდობით. ამ ქალს, რომელსაც არავითარი როლი არ უთამაშია ჩვენში, რა უნდა გაუმტყუნოთ, როცა «აკადემიკოსი» კი მის უკვანზე დადის. სიცრუე და ორპირობა—ამ კარიერისტების მთავარი იარაღია.

ვინმე.

აქაურო რამე-რუმე.

თუ იქაური რამე-რუმეს მეთაურები ამყად დგანან ასპარეზზე და გაყვირიან გამოგონებულ ამბებს თავისი კარიერის გასადიდებლათ, სამაგიეროთ აქაური რამე-რუმეს მეთაურები ჩირგვში იმალებიან და იქიდან წვერმოტეხილ ისარს გვესვრიან. ამის პირველი მაგალითი უსახელო ბროშიურა «საერთაშორისო მდგომარეობა»-ზე გამოცემული, რასაც არ აწერია არც ავტორი, არც გამომცემელი. ცხადია ავტორნი არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებენ თავისთავზე გამოთქმული აზრებისათვის და მით ემსგავსებიან აშკარა მეჭორეებს. ეს უორი გამოითქმება ამნაირათ: «როცა ჩვენმა პოლიტიკურმა მეთაურობამ უცხოეთში მუშაობის სხვა ხაზი (არადემოკრატიული) აიღო და ისეთი გზების ძიებას შეუდგა, რომელიც მიუღებელი იყო დემოკრატიისათვის, ევროპის მოწინავე საზოგადოებაში; როგორც ვიცით, ქართული სა-

კითხისადმი ერთგვარათ გულგრილობამ იჩინა თავი» (გვ. 11). ამ ბრალდების არავითარი საბუთი, არავითარი განმარტება არ არის წამოყენებული. მოიჭორეს და გაათავეს.

სინამდვილეში ხდება სულ სხვა ამბები, რაიცა დღეს ყველა თვალხილულისათვის ცხადია, ხოლო მეჭორეებისათვის დამალულია. ჩვენი საკითხი ომამდე იდგა პირველ რიგში; ახლა არა, მიზეზი ერთია, აშკარა და დაუმალავი: დღეს თვით ვეროპაა ჩავარდნილი განსაცდელში და მუშაობს თავიდან აიცილოს მოსკოვის შემოსევა. ამ ხაზზე შედგა ატლანტიკის პაქტი სხვადასხვა პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური კავშირები და სხ. საქართველოს მდგომარეობაში ჩავარდნილია მრავალი ერები, რომელთა საკითხი დღეს არ დგას. ხოლო როცა დასავლეთი თავს იგრძნობს თავის არსებობის უზრუნველყოფილათ, მაშინ მათ წინ დადგება ჩვენი და სხვა დამორჩილებული ერების საკითხიც. და სწორედ ამ უსახელო ბროშიურის ავტორებმა დღემდის ვერ დაინახეს ეს რეალური მდგომარეობა და არამკითხვე მოამბესავით მიედებმოდებინან.

ამავე ბროშიურაში დაბეჭდილია რეზოლიუცია, რასაც ხელს აწერს «საქ. სოც.-დემ. პარტიის გაერთიანებული ორგანიზაცია»; ხოლო ასეთია ერთი მცირე ჯგუფი არსენიძის და ნ. ცინცაძის მეთაურობით, ჯგუფი პოლიტიკურათ უსაქმური, არას მკეთებელი და მხოლოდ ჭამა-სმით დაკმაყოფილებული. ახლა გამომდგარან და ჩვენც გვიჩვენენ ასეთივე უსაქმობას და პირდაღებული მომავლისაკენ ყურებას—ოდესმე დაინგრევა საბჭოთა ტირანია და ერები განთავისუფლდებიანო. ამასთანავე ამით დიდი პრეტენზია აქვთ, ჩვენ ვართ საქარ. სოც.-დემ. პარტიის ორგანიზაციაო. ასეთი სახელის დაჩემება პარტიის და მისი ორგანოების დაუკითხავათ, ნებადაურთველათ არის უარისყოფა ყოველივე ორგანიზაციული წყობის და მისი არსებული სტატუსის.

მათი მიზანი აშკარაა: დანგრევა არსებული მებრძოლი ორგანოების, დაემსგავსოთ ამ უსაქმურთ და ვიცხოვროთ ჩვენთვის «მსოფლიო ევოლიუციის» ყურებით...

ოვიფე.



წმინდა ნინოს დღე.

ტუბერკულოზით ავთმყოფთა დამხმარე კომიტეტმა, 23 იანვარს 1949 წელს, პარიზში მოაწყო წმ. ნინოს დღე ქართველი ერის გაქრისტიანების 1500 წლის აღსანიშნავათ.

ნ. ჟღერდანიას მიერ წარმოდგენილი წინასიტყვაობა.

ბატონებო,

თქვენ დღეს აქ მოისმენთ მოხსენებას შესახებ ქართველი ერის გაქრისტიანებისა წმინდა ნინოს მიერ. ამის გამო მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ დიდ საკითხს, რაიცა დღემდე დარჩა შეუსწავლელი და გამოურკვეველი.

მსოფლიოში არ არის არცერთი შემთხვევა, რომელიმე ერს თუ ხალხს მიეღოს სარწმუნოება ქალისაგან. აღმოსავლეთში ქალი იყო დამონებული და მის ნაამბობს ვინ შეისმინდა. დასავლეთში არ იყო ქალი დამონებული, მაგრამ ის მუდმივ კაცის უკან იყო დაყენებული და არავითარი გადამჭრელი ხმის უფლება არ ქონდა. დიდი რევოლუციიდან განვლო 160 წელიწადი და მხოლოდ ამ სამი წლის წინ საფრანგეთში ქალს მიეცა პოლიტიკური უფლება—მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და იქნას არჩეული. ჩვენში კი პირველი რევოლუციისთანავე, დაწყებული 1917 წლიდან, ქალი და კაცი პოლიტიკურათ გათანასწორდა. ამ თანასწორობის წინააღმდეგ ერთი ხმაც კი არ დაძრულა, არც ერთი წოდების, არც ერთი პარტიისაგან.

ამნაირათ, მსოფლიოში მხოლოდ ერთადერთ საქართველომ მიიღო სარწმუნოება ქალისაგან, წმინდა ნინოსაგან. რით აიხსნება ეს უდიდესი, უმაგალითო მოვლენა?

ახსნა ერთად ერთია—ქალს ქონდა საქართველოში დიდი გავლენა, მას ყურს უგდებდა მთელი საზოგადოება, ის ხშირათ, დიდ შემთხვევებში წინ უძღოდა მას. საკმარისია მოვიყვანოთ ძველი ისტორიული ფაქტები და ახალი ადათ-ჩვეულებები.

ძველ ბერძენთა მოგზაურების აწერილობით, რაიცა მოყვანილი აქვს ჯავახიშვილს თავის ისტორიაში, კოლხიდაში (დასავლეთ საქართველოში) გადაცვლილ ქალს მარხავდენ მიწაში დიდის ზეიმით, ხოლო გადაცვლილ კაცს გამოხვედენ ცხოველის ტყავში და გამოკიდებდენ ხეზე ფრინველთა საჭმელათ. მათვე აწერილი აქვთ ქართველ ქალებისაგან შემდგარი საომარი რაზმები, რომელნიც იღებდენ მონაწილეობას ომებში; მათ ეწოდებოდა ამაზონელები. ეგ სახელი დღემდის დარჩენილია ხალხში, აღსანიშნავათ იმ კაბისა, რასაც იცვამენ ქალები ცხენზე ჯდომის დროს. ამას ახლაც კერავენ ამავე მიზნით, განირჩევა ჩვეულებრივი კაბისაგან სიფართოვით და სიგძით, ფარავს ორივე ფეხებს ცხენზე. მესამე მაგალითი

კიდევ უფრო საკვირველი. კერპთა თაყვანისმცემლობის დროს, ხალხი ღოცულობდა მზეზე, ის მიაჩნდა უდიდეს ღმერთათ. ამავე დროს ის მიაჩნდათ ქალათ, რომელიც ბადებს ვარსკვლავთ, ხოლო ქმარი იყო მთვარე. ეს მზის განსაკუთრებით პატივი დარჩენილია ჩვენში დღევანდლამდე, ყველა ეკლესიას აშენებენ აღმოსავლეთით, შინ და გარეთ ღოცულობენ აღმოსავლეთით, რაიცა არსად საქრისტიანოში არ ხდება. ყოველგან ეკლესია შენდება ყველა მიმართულებით, ხატებს კიდებენ და ზედ ღოცულობენ სადაც მოუხდებათ, ხოლო ერთადერთ საქართველოში ყველა ეს წარმოებს აღმოსავლეთის მიმართულებით, მიზეზი ერთადერთია—მზე ამოდის აღმოსავლეთიდან.

ერთისიტყვით ქალი თავიდანვე კაცზე წინ იდგა და მათი გათანასწორება ხდება თანდათან ისტორიულ გრძელ მანძილზე. აქედან იშვა შესაფერი ზნე-ჩვეულებანი. მაგალითათ, როცა ქალს და კაცს ერთად ახსენებენ პირველი ადგილი უჭირავს უეჭველათ ქალს. ამბობენ: და-ძმა, ქალ-ვაჟი, დედ მამა, ცოლ-ქმარი და სხვ. არასოდეს არ ამბობენ უკუღმა კაცის პირველათ დასმით. არცერთ სხვა ერის ენაში არაფერი ამის მსგავსი არ მოიპოვება. ყველგან პირველი ალაგი უკავია კაცს, მეორე მოდის ქალი.

ქალის სოციალური მდგომარეობა ჩვენში ერთადერთია, რის მსგავსი არსად მოინახება. ქალი ჩვენში მიწას არ ამუშავებს: არ ხნავს, არ თოხნის, არ თესავს, არ კრებს მიწის ნაყოფს და შინ არ მოაქვს. მთელი ეს მუშაობა კაცის საქმეა. მას შემოაქვს ოჯახში სანოვაგე. ხოლო მისი მოხმარა, საქმელის დამზადება, ოჯახის მოვლა-პატრონობა ქალის საქმეა. ეს ორი დარგი შრომის სასტიკათ არის გაყოფილი და განაწილებული ორ სქეს შორის. ერთიმეორეს საქმიანობაში სრულიად არ ერევიან; ორივე აღჭურვილია ერთდამივე უფლებით თავთავიანთ დარგში, ორივე ერთი და იგივე სახელის მატარებელია, ორივე კაცია. მხოლოდ ერთია დედა-კაცი, მეორეა მამა-კაცი; მათ შორის განსხვავებაა მხოლოდ ბუნებრივი. სქესობრივი, ორივე ადამის შვილია.

პატრიარქალურ საგვარეულო წყობაში გვარის მეთაურობაც ორათ იყოფოდა: მამა-სახლისი. დედა-სახლისი. აქედან წარმოიშვა შემოკლებით დიასახლისი. როცა ეს წყობა მოისპო მამას დაეკარგა ძველი სახელი. ხოლო დედას შერჩა დღევანდლამდე, ის ახლაც დიასახლისია. მამა-სახლისობა მოისპო ოჯახში, ის კადავიდა საზოგადოებაში აი ასეთი განაწილება შრომის კაცს და ქალს შორის არსად არ მოიპოვება. ქალი ყოველგან კაცის გვერდით მუშაობს ყანაში და ბახჩაში. ოჯახში ორივე ბრძანებელია, რისგამო მათი საოჯახო კონფლიქტები ხშირია.

ახლა გავშინჯოთ ქალის მდგომარეობა, როცა გათხოვდება. ამბობენ: გათოვდა, ათხოვს. გაათხოვა; ყველა ამ გა-

მოთქმის ძირია ერთისიტყვა—ათხოვა. ე. ი. დედმამა თავის ქალიშვილს კი არ აძლევს ვინმეს სამიდღემჩიოთ. არამედ ის მას ათხოვებს, შეიძლება ეს იყოს დროებით და შვილი უკან დაუბრუნდეს, შეიძლება ეს იყოს სამუდამოთ, ყოველ შემთხვევაში ქმარი არ არის უკანტროლო ბატონი ცოლის. მათი ერთათ ყოფნა დამოკიდებულია ქმარის ყოფაქცევაზე. მახსოვს ერთხელ ჩვენი მეზობელი მოვიდა მამაჩემთან და შესჩივლა—ცოლი გამექცა, წავიდა თავის მშობლებთან, ბავშვები დამიტოვაო. მამაჩემის შეკითხვაზე, თუ რამ გამოიწვია ეს გაქცევა, მან უპასუხა: გამაჯავრა და დავარტყიო. პასუხი მიიღო მამისაგან: რა უფლება გაქვს გალანო სხვისი შვილი, შეგიძლია გალანო მხოლოდ შენი შვილი და არა სხვისიო, ცოლი ხომ შენი შვილი არ არისო. დიდი ხანგრძლივი მოლაპარაკების და პირობების დადების შემდეგ გაქცეული ცოლი მობრუნდა. აქედან ცხადია, რომ ცოლი ოჯახში ხელშეუხებელია, იმას აქვს თავისი უფლება-მოვალეობა განსაზღვრული და თუ ამსაზღვრიდან გამოვიდა ქმარი, რჩება მარტო. გათხოვილი რჩება თავის დედმამის ოჯახის წევრი. ის ამის გამო, არასოდეს არ ღებულობს ქმარის გვარს, მამის გვარი რჩება სამუდამოთ მის გვარათ. ქმარის სახლ-კარი მას არ მიაჩნია თავის შინათ. მისი შინაა იქ, სადაც მისი მშობლები ცხოვრობენ. მახსოვს ერთხელ დედა-ჩემმა მითხრა: შინ მინდა წავიდეთ, მე გაკვირებული ვუპასუხე: აკი შინხარ-თქვა. მან მომიგო: არა შვილო, ეს შენი შინაა, ჩემი კი ჩემ დედმამასან არისო!

ქალის განსაკუთრებითი მდგომარეობა საქართველოში დადასტურებულია ერთი ცნობილი სინამდვილით: არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ქალი კაცს მოეკლას. ასეთი მოქცევა ქალისადმი იყო საყოველთაოთ მიღებული და ურყევი. აკაკი წერეთლის «თამარ ცბიერში» მოყვანილია ერთი სცენა ამ სფეროდან: სასახლის კაცებმა გადასწყვიტეს თამარის მოკვლა; იშოვეს საამისოთ კაცი. როცა ღამით ის შეიარაღებული შეუშვეს თამარის ოთახში, უცებ მოდის გონზე და აღელვებული გაყვირის, ეს ქალია, ქალის მოკვლა როგორ შეიძლებაო და გარბის ოთახიდან. თამარი გადაურჩა შეთქმულებას.

არ შეიძლება აგრეთვე ქალის გაძარცვა. გურიის ერთ დროს დიდი თარეში იყო შეიარაღებული ყაჩაღების. მაგრამ ძარცვადენ შინ თუ გარეთ მხოლოდ კაცებს, არასოდეს ქალებს. ერთისიტყვით, საქართველოში არ შეიძლება ქალის არც გალანვა, არც მოკვლა, არც გაძარცვა. ის ხელშეუხებელია, ის აღქურვილია უდიდესი პატივისცემით და ღირებულებით. ქალის ეს პოზიცია მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, საშინელი ნაციონალური არსებობის ხიფათში და არეულ-დარეულობაში ოდნავათაც არ შერყეულა; ასე იყო, არის და იქნება სამუდამოთ, როგორც ერთთ-ერთი არსებული მაგალითი მსოფლიოში.

ახლა ადვილათ ასახსნელია როგორ მოხდა რომ ქართველმა ერმა ქალისაგან მიიღო სარწმუნოება. რაკი ქალს ეჭირა უმადლესი მორალური პოზიცია, იყო აღჭურვილი უმადლესი ნდობით და პატივით, ცხადია, ის უნდა მოვლინებოდა მას გადამპყრელ მომენტში როგორც მეთაური და ხელმძღვანელი, დაეჯერებიათ მისი სიტყვა და გაყოლოდნენ მისმიერ ნაჩვენებ გზას. წმინდა ნინოს, მიუხედავად მისი ახალგაზდობისა, დაურჩა გამგონე და ამყოლი მხოლოდ ჩვენსში. რაც ვერ შესძლო ანდრია მოციქულმა და სხვა გაქრისტიანებულ მამაკაცებმა საქართველოში, ის შესძლო ქალმა, შემოიკრიბა თავის გარშემო მთელი ერი, დაწყებული მეფისაგან. ეს არის ერთადერთი არსებული აპოთეოზი ქალისა.

ინა ქორდანიას მოცხენება.

ბატონებო,

პირველყოვლისა საქიროთ მიგვაჩნია გავაცნოთ საქართველოს მდგომარეობა, გეოგრაფიული, ისტორიული, სოციალური და რელიგიური მესამე-მეოთხე საუკუნეში.

ქრისტეს დაბადების წინ საქართველოს ეჭირა ტერიტორია, მდებარე კასპის და შავ-ხლვათა შორის.

ეს ტერიტორია გაუთავებელი ომების წყალობით თანდათან ვიწროვდება. მეოთხე საუკ. ქრისტეს შემდეგ საქართველო ისაზღვრებოდა სამხრეთით სომხეთით, ჩრდილოეთით დასავლეთის ხაზზე ცხოვრობდნენ გუნები, ხოლო აღმოსავლეთის ხაზზე ხაზარები. დასავლეთ-სამხრეთით მდებარეობდა ბიზანტიის იმპერია, აღმოსავლეთ-სამხრეთით ალბანია.

ამ ხანაში ქართველები და სომხები იყვენ მჭიდროთ დაკავშირებული, გვანდნენ ერთ სახელმწიფოს; ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ორივე ერს ერთნაირად ემუქრებოდა სამხრეთიდან სპარსეთი, მაშინდელი უდიდესი აზიური სახელმწიფო. მისი საზღვარი იწყებოდა სომხეთიდან და გრძელდებოდა აღმოსავლეთის პამირამდე. ჩრდილო-კავკასია ამ დროს ეჭირა ველურ მონღოლთა თემის ხაზარებს. იმ დროს, როცა საქართველო იყო ჩაბმული ომში, ხაზარები შემოიპყრებოდნენ საქართველოში და მას აწიოკებდნენ. ჩრდილოეთიდან აგრეთვე თავს ესხმოდნენ საქართველოს ოსები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან ბიზანტიის იმპერიის ჯარები.

ასეთ პირობებში მომწყვდეთული ქართველი ერი იმყოფებოდა მუდმივ საშიშროებაში, არაერთი სიწყინარე, მშვიდობიანი ცხოვრება და ცხოვრების აწყობა იყო შეუძლებელი. მტერი ანგრევდა ქვეყანას, წვავდა ქალაქებს და სოფლებს, ტყვეთ მიყავდა მამაკაცები და ვაჟები თავის ჯარისათვის, ხოლო ქალები კი პარამხანისათვის. მიუხედავად ამ საშინელი მდგომარეობისა საქართველო ეწეოდა ვაჭრობას გარ-შემორტყმულ ყველა ხალხთან, ის ამ გზით ეცნობოდა ზნე-ჩვეულებებს სხვადასხვა ერებისას. სპარსეთში იყო გამეფებული თა-

ყვანისცემა ცეცხლისადმი, ხაზარებში კერპთაყვანისმცემლობა, ხოლო ბიზანტიაში კი ვრცელდებოდა ქრისტიანობა.

ქართველები ეცნობოდნენ ქრისტიანობას ებრაელთა კოლონიის საშუალებით; მათი კოლონია მდებარეობდა მცხეთის ერთერთ უბანში. ყველაზე უფრო დიდი ქალაქი საქართველოში და სომხეთში იყო მცხეთა. ცნობილი შორეულ ქვეყნებშიაც. მისი ამბავი მიქონდათ ქართველ ებრაელებს იერუსალიმში; თბილისი ამ დროს არ არსებობდა.

საქართველოში გამეფებული იყო კერპთაყვანისმცემლობა. ეს კერპი—არმაზი, ვაც, გაის—შემოღებული იყო ალექსანდრე მაკედონელის სარდლის აზონის მიერ; კერპი აფროდიტი შემოიღო საქართველოს მეფემ რევიმ და მისმა მეუღლემ. წმინდა ნინოს მოწმობით ხალხს ჯეროდა, რომ ის იქნება უბედური, თუ არმაზს მიაყენა რაიმე შეურაცყოფა, ანდა თუ დაელაპარაკა ებრაელებს, ან დაემორჩილა მხისთაყვანისმცემლობა. ასეთივე ბედი ეწვევა, თუ ის დაიჯერებს, რომ ზეცაში იმყოფება ერთი დიდი ღმერთი. ასეთი დანაშაულობისათვის არმაზი დაგვერის უდიდესი ხმალითო.

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მესამე საუკუნეში იყო მეტად დრამატიული: 234—245 წლებში ომი იყო საქართველოსა და სპარსეთს შორის; სპარსეთის მეფე ხოსრე შევიდა სომხეთში, მოკლა მეფე, დაატყვევა მეფის გვარეულობა, გარდა მეფის მემკვიდრისა, რომელიც გაიქცა ბიზანტიაში. აქედან ხოსრე შევიდა საქართველოში; საქართველოს მეფე ასფაგი გაიქცა ოსეთში, სადაც მალე მოკვდა; მას დარჩა მხოლოდ ერთი ქალიშვილი. ქართლის ერისთავები შეიყარნენ მცხეთაში, ითათბირეს შექმნილ მდგომარეობაზე, მხედრების მეთაურთან მაიხონთან ერთად. მხედრების მეთაურმა მათ განუცხადა შემდეგი: უბედურებას ნუ დაეანებებთ დაიმორჩილოს ჩვენი სული და დააბნელოს ჩვენი გონება; ჩვენი უბედურებიდან გამოსავალი მოენახოთ; ჩვენი სამეფო ახლოს დაკავშირებულია სომხეთის სამეფოსთან, რომელსაც აქლა აღარ უავს მეფე. სპარსეთმა გააღო პირი ჩვენ შესაქმელად. მივსცეთ მას წინადადება—დასვას ჩვენს მეფეთ თავისი ვაჟი, ხოლო მას მივცეთ მეუღლეთ გადაცვლილი მეფის ქალიშვილი. ეს წინადადება მიიღეს და მაშინვე გაგზავნეს ამ მისიით მოციქულები სპარსეთის მეფესთან. ხოსრემ მოისმინა რა ასეთი წინადადება დათანხმდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეშინოდა ხაზარების შემოსევის; მან მისცა საქართველოს მეფეთ თავისი შვიდი წლის ვაჟი—მირხან, ქართულათ მირიან, რომელსაც გაეცა დედა და ამზრდელიები. მირიანი გახდა საქართველოს მეფეთ; შვიდიოთა ქართველი მეფის ქალიშვილი აბა-შურა. ის აღიარებდა ორ სარწმუნოებას: თაყვანისცემდა ცეცხლს, როგორც მისი წინაპარი, და რვა ქართულ კერპს. მას მეტად შეუყვარდა ქართველობა და მას მთელი ერთი აღმერთებდა; მას ცოლი მოუკვდა და შეიერთა შავი ზღვის ახლო მცხოვრები ქალიშვილი

სახელად წაწა. მირიანი იყო ჩაბმული მუდმივ ომში ხაზარებთან, გუნებთან, ოსებთან და ბერძნებთან. აი სწორეთ ამ დროს, 331 წელს, საქართველოში მოვიდა უცხო ქალიშვილი სახელად ნინო.

ქართველი ხალხის ზეპირი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ წმინდა ნინოს მოსვლამდე ქართველთა შორის იყო გავრცელებული ცნობები ქრისტიანობაზე, განსაკუთრებით შავი ზღვის ნაპირას. როცა ქრისტეს მოციქულები გაემგზავრენ სხვადასხვა ალაგას ახალი სარწმუნოების საქადაგებლათ, ერთი მათგანი წმ. ანდრია წავიდა დასავლეთ საქართველ ოსაქენს, ხოლო იქიდან რამდენიმე ხნის შემდეგ გადაუღია კავკასიის მთები და უქადაგია სკიფებთა შორის. ბერძენთა ისტორიკოსების გადმოცემით აფხაზეთში გადაცვლილა მოციქული წმ. სიმონი.

ასეთი გადმოსვლა საქართველომდე არ არის გასაკვირი თუ სახეში მივიღებთ მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობას. ცნობილია, რომ ძველი საქართველო ეწეოდა ფართე ვაჭრობას უცხოეთთან და თავისკენ იზიდავდა მრავალ საქმიან უცხოელთ. მათი სავალი გზები იყო ორი მდინარე: რიონი (ფაზისი) და მტკვარი (კარუსი). ერთ ძველ ლოცვაში არის მოხსენებული წმ. ანდრია და იქვე სწერია: შევაქოთ გალობით მოციქული ანდრია, რომელმაც ჩვენ მოგვიტანა ხატი წმინდა ქალწული მარიამისა, რამაც ჩვენ დაგვაშორა კერპთაყვანისცემას და ვიწამეთ მამა-ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმიდა ღმერთი. საქართველოში იცოდენ ქრისტიანობის შესახებ სხვა წყაროებიდანაც: ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში ქრ. წინ საქართველოში დასახლდა ებრაელების დიდი კოლონია; ამის მიზეზი იყო იერუსალიმის დანგრევა ნაბუქოდონოსორის მიერ და მცხოვრებთა აქეთ-იქით გარეკა. აი ამ ებრაელთა ემიგრაციასა და იერუსალიმს შორის იყო მუდმივი ურთიერთობა. ისინი ქადაგებდენ ქართველთა შორის თავის ღმერთის რწმენას და თავის ზნე-ჩვეულებას.

ებრაელების მაგალითით სარგებლობდენ შავი ზღვის პირას მცხოვრები ქართველები. მიდიოდენ იერუსალიმში და იქ აღდგომის დღესასწაულს ესწრებოდენ. დაბრუნებისას ისინი ავრცელებდენ იქაურ ამბებს და მათ შორის ახლად გაჩენილ ქრისტიანობას.

საქართველოში იყო აგრეთვე გავრცელებული ცნობა, რომ ქრისტეს ტანისამოსი მისი სიკვდილის შემდეგ ჩამოიტანეს საქართველოში. ყველა ასეთი ცნობებით ხალხი ყურადღებას აქცევდა ახალ სარწმუნოებას. ქართველთა მეფე რევი 187 და 218 წლებში იცნობდა საქრისტიანო მოძღვრებას და ამიტომ იყო მეტად ლმობიერი ადამიანი, რისთვისაც მიიღო სახელწოდება მართალის.

რასაკვირველია, მიუხედავად ამ გავრცელებული ცნო-

ბებისა ხალხის მასამ არაფერი იცოდა ქრისტეზე და განაგრძობდა ძველებურად კერპის თაყვანისცემას.

აი ასეთ ქვეყანაში მოვიდა საწყალი ახალგაზრდა ქალიშვილი ქართული ენის სრულიად უცნობი ნინო. მისი ჩამოსვლის შესახებ არის სხვადასხვა აწერილობა. პირველყოფლინა მოვიყვანოთ თვით ნინოს აღწერილობა, რაიცა იქნა აღმოჩენილი მერვე საუკუნეში.

წმ. ნინომ სიკვდილის წინ უამბო თავისი ცხოვრება და საქართველოში ჩამოსვლა მირიან მეფის შვილის რევის ცოლს სალომეს: «კაბადოკიაში ცხოვრობდა ერთი ბატონი სახელად ზაბილონ, რომელიც გაემგზავრა იერუსალიმში. იქ გაიცნო დამა სოზანა და ზობინალ. ზობინალი იყო ეკლესიის მდივანი, ხოლო მისი დაი მსახურებდა სომხის ოჯახში. ზობინალი გაემგზავრა რომში, დიდი სამსახური გაუწია რომის იმპერატორს, დაბრუნდა იერუსალიმში და ყველა მიღებული საჩუქრები დაურიგა წმინდა ადგილებს. ჩქარა ზობინალი შეიქმნა პატრიარქი და თავისი დაი მიათხოვა ზაბილონს. ამ ქორწინების შვილი არის წმ. ნინო. მისი დედ-მამა მთელი ოჯახით დაბრუნდა თავის სამშობლოში—კადისტრატში.

როცა ნინო შეიქნა 12 წლის დედამ გაყიდა მთელი ქონება და დაბრუნდენ ისევ იერუსალიმში. მამა მისი გახდა ბერი, დატოვა ოჯახი და გადასახლდა მონასტერში. იქიდან დადიოდა ველოურ ხალხებში და უქადაგებდა ქრისტეს სარწმუნოებას, ნინოც კი მსახურებდა სარა და ნიაფორის ოჯახში ორ წელიწადს. სარა იყო დიდი მწიგნობარი და იცოდა ზედმიწევნით ქრისტიანობის ისტორია; მან ასწავლა ნინოს ძველი და ახალი აღთქმა; ნინომ გაიგონა მისგანვე, რომ ქრისტეს ტანისამოსი, რაშიდაც ის ჯვარსაცვეს, წაიღო ორმა ქართველ ებრაელმა საქართველოს დედა-ქალაქში მცხეთას. ამ დროს მოვიდა ერთი ქალი რომის დედაოფლის ელენეს მოსამსახურე; ნინო, რომელიც ამ დროს იყო 14 წლის, შეუდგა მზადებას ელენესთან წასასვლელათ, რის თანხმობა მან მიიღო თავისი დიასახლისისაგან; ნინო ერთ ქალთან ერთად გაემგზავრა რომში. იქ მან გაიცნო მეფის ოჯახის შვილი რიფსიმე, ის ცხოვრობდა მონასტერში ორმოცდაათ ქალიშვილთან ერთად. რიფსიმეს ძალიან მოეწონა ნინო და თავის სახლში წაიყვანა; რიფსიმე და მასთან მცხოვრები ქალიშვილები იღებენ ნათვლას ნინოსაგან. ნინო დარჩა იქ ორ წელიწადს. იმპერატორმა მოინდომა რიფსიმეს ცოლათ შერთვა, მაგრამ ის არ დათანხმდა კერპთაყვანისმცემელს არ გავყვებიო და 50 ქალიშვილთან ერთად გაიქცა სომხეთისაკენ, მათ გაყვა ნინოც.

სომხეთში მათ იზოვეს სამუშაო და ცხოვრობდენ თავის ჭკუაზე. რომის იმპერატორმა აცნობა სომხეთის მეფეს დაიპიროს რიფსიმე და მას გადაუგზავნოს. როგორც კი ნახა რიფსიმე მეფემ მოინდომა მისი შერთვა, რიფსიმემ უარი უთხრა, სამავიეროთ მეფემ გადაუხადა: ის და მისი ბევრი ამხანაგი

მოკლა. გადარჩენილები და მათ შორის ნინო გაიქცენ და დაი-
მალენ. ნინო დარჩა დამალული ერთ დიდ ბუჩქნარში; მას შე-
ეშინდა სიმარტოვის და შეჰყვირა: ქრისტე ღმერთო, რატომ
მიმტოვე მარტო ამ ველურების ხელში!

მას მოესმა პასუხი: ადექი და წადი ჩრდილოეთით, სადაც
«ნაყოფი ბევრია, მაგრამ მომკრეფი არავინაა». ნინო ადგა და
მარტოდ მარტო წავიდა ნაჩვენები მიმართულებით. «ვიარე,
ვიარე,—განაგრძობს ნინო,—და მივედი ულუპრეში, სადაც
გავატარე მთელი ზამთარი, ყოველნაირ გაჭირვებაში. მეოთხე
თვეს წავედი იქიდან და მივედი ჯავახეთის მთასთან, იმის გა-
საგებათ, თუ სად ძევს მცხეთა. იქიდან დავინახე ჩრდილოეთის
მთები დაფარული თოვლით-ზაფხულშიაც; მეტად დამფთხა-
ლი ღმერთს შევევედრე მომაცილე სიცოცხლე. საქმელი
ვსთხოვე ტბაზე მეთევზეთ, იქ იყვენ აგრეთვე მწყემსები, დღი-
თი თავის ჯოგის მეთვალყურენი, ღამით თავიანთ ღმერთების
წინაშე მლოცველნი, ეს ღმერთებია არმაზი და ზადენ, ისინი
იყვენ სომხები. მათ სომხურათ ვკითხე—სად არის მცხეთა.
მათ მასწავლეს იქით მიმავალი გზები; დაშინებული ამ შორი
გზით ჩამეძინა ქვაზე თავდადებულს. სიზმარში ვნახე ერთი
კაცი, საშუალო ტანის თავი სანახევროდ უთმო, რომელმაც
მომცა ერთი წიგნი და მითხრა: მიუტანე ეს მცხეთის კერპ-
თაყვანისმცემელ მეფეს. მეუფეო, ვუპასუხე მას მტირალი, მე
ვარ უცხოელი, უცოდინარი ქალი, რომელმაც არ იციის ბევრი
ლაპარაკი, როგორ წავიდე უცხო ქვეყანაში, იმ ხალხში, რომ-
ელსაც სრულიად არ ვიცნობ. მაშინ მან გახსნა წიგნი დაწე-
რილი რომაულად და დაბეჭდილი ქრისტეს ბეჭედით. შიგ
იყო ათი წინადადება, რაიცა მომცა წასაკითხავად. იწყებო-
და ასე:

1. ყველგან, სადაც ეს სახარება იქადაგება, იქ ამ ქალის
ვინაობა იქნება გამომქდავენებული.
2. არ არის არც დედათა სქესი და არც მამათა სქესი, თქვენ
ყველანი ერთიდაიგივე ხართ.
3. წადით ასწავლეთ ყველა ერს, მონათლეთ ისინი, მამა-
ღმერთის, ძე ღმერთის და სული წმიდა ღმერთის სახელით.
4. სინათლე გაანათებს ყველა დაჩრდილულთ და ასახე-
ლებს შენს ხალხს იზრავლთ.
5. ეს სამოთხის სახარება იქნება ნაქადაგები მთელი მსო-
ფლიოსათვის.
6. ვინც შენ მივილებს, მეც მიმილებს, ვინც მე მიმილებს,
მიილებს იმასაც, ვინც მე გამოგზავნა.
7. უფალს ძალიან უყვარდა მარიამი, რადგანაც ის ყოველ-
თვის ემორჩილებოდა მის სიტყვებს უშუალოდ.
8. ნუ გეშინია იმათი, ვინც შენს ტანს დალუპავს, რადგანაც
მათ არ შეუძლიათ დალუპონ შენი სული.
9. იესომ უთხრა მარიამ-მაგდანელს: წადი ქალო და გამო-
უცხადე ჩემ ძმებს.

10. ყოველგან, სადაც კი წაწვალ, იქადაგე მამა ღმერთის, ძე ღმერთის და სული წმიდა ღმერთის სახელით.

როცა წავიკითხე ეს სიტყვები და მივხვედი ის იყო ზეციური მოჩვენება დავიწყე ღმერთის ლოცვა და მივმართე თვალებით ზეცას და ვთხოვე მფარველობა იმ ღმერთს, რომელიც ბინადრობს მაღლა და ინახავს ყველაფერს. მაშინვე მე გავემგზავრე მდინარის ნაპირ-ნაპირ, რომელიც გამოდის ტბიდან და მიმდინარეობს დასავლეთისაკენ. გზაში დიდათ დავიტანჯე, მაშინებდა გარეული მხეცები, ეს შეწყდა მხოლოდ იმ ადგილიდან, სადაც მდინარე მიიმართება აღმოსავლეთისაკენ. ჩემი მწუხარება შეწყდა, რადგანაც ვნახე მგზავრები და მივაწიეთ საქართველოს განაპირა ქალაქ ურბნისამდე. აქ ვნახე უცხო ხალხი, რომელიც ემსახურებოდა უცნოდ ღმერთებს, თაყვანს-სცემს, როგორც ღმერთს ცეცხლს, ქვას და ხეს. გული შემიწუნდა ამ სანახაობით, შევედი ებრაელთ უბანში რადგან ებრაულ ენას ვლაპარაკობდი. იქ დავრჩი ერთი თვე და ვათვალისწინებდი ამ ქვეყნის მდგომარეობას. ერთ დღეს ვნახე დიდძალი ხალხი მიმავალი მცხეთისაკენ. იმ დიდ სამეფო ქალაქისაკენ მიდიოდნენ იმისთვის, რომ იქ ივაჰრონ და ევედრონ ღმერთს არმაზს. მეც მათ შევეუერთდი და მივედი მცხეთას, გაეჩერდი ხიდზე და იქიდან დავინახე ეს კერპთაყვანისმცემელი ხალხი და მისი მეთაური მამები. მე ვიტყვი მათი ასეთი საშინელების და ჩემი უცხო განკერძობების გამო. მეორე დღეს ქუჩებზე გამოვიდა აუარებელი ხალხი, მედე კიდევ არ იყო მათთან, როცა მოისმა ხმაურობა დედოფლის ნანას გამოსვლისა, ყველა გაიქცა და მიიშალა, სანამ ის წავიდოდა. შემდეგ ყველა ისევ გამოჩნდა ნელნელა და ქუჩები შეამკეს ფართლებით და ძაფებით, შემდეგ მათ იწყეს მეფის ქება. მე შევეკითხე ერთ ახალგაზდა ქალს: რა არის ეს?—ეს არის ღმერთი არმაზ, რომელსაც ვერ შევდრება ვერც ერთი კერპიო. ის ეპატიჟება ამ ხალხს გამოჩნდეს მის წინაშე. მეც წავედი არმაზის სანახავათ. ირგვლივ მთები იყო დაფარული ხალხით და დროშებით, მივეუახლოვდი არმაზის ციხეს აგებულილ თხრილში კერპის ახლოს, დავინახე დაშინება მეფის და ხალხის ამ ყალბი ღმერთის წინაშე, თვითოეული დაფიქრებული ამბობდა: უბედურება თავს დამატყდება, თუ დიდი ღმერთის არმაზის პატივისცემა დავამცირეო, თუ თავისთავს ნება მივეცი დაველაპარაკო ებრაელს, თუ გავიგონო ხმა მოგვეების, მზის მოსამსახურეთა და მათი, ვინც ამბობს—ზეცას არის დიდი ღმერთიო, თუ ასეთი რამე ჩავიდინე არმაზი მე ხმალით გამკვეთს. შემდეგ ამ აქტისა ისინი აღმერთებდნენ კერპს შიშით და მწუხარებით. ამ კერპის მარჯვენე იყო სხვა კერპი. ისიც ოქროსი, სახელწოდებით გაცი, ხოლო მარცხნით მეორე სახელად გა. შემდეგ მე ვიწყე მწუხარება ამ ჩრდილოეთის ქვეყნის ასე უკუღმართ მდგომარეობაზე და მის დაბნეულობაზე, რაიცა მას უმალავდა სინათლეს და იქერდა ტყვეთ

სიბნელეში. მე ვსწუხდი ამ მასების, ამ მძლავრ მეფეების და თავადების სიცოცხლეშივე ჩაცვნილ ჯოჯოხეთში. ეშმაკთა წყალობით მათ დაივიწყეს მათი ნამდვილი შემომქმენდი და თავყანსცემდენ ქვას, ხეს, რკინეულობას საამისოთ გამოკვეთილთ. მაშინ გამახსენდა სიტყვები პატრიარქი იუვენალის, რომელმაც მითხრა: მე შენ გაგზავნი, როგორც ერთ ქეშმარიტ ადამიანს. შენ მიხვალ ერთ უცხო ქვეყანაში, სადაც არიან ხალხი ღმერთის წინაშე აჯანყებული, თვალებით მივმართე ზეცას და ვთქვი: უმაღლესო ღმერთო, მიუხედავთ შენი სიძლიერისა, ესენი ცოდვებს ჩადიან შენს წინაშე, შენი ხანგრძლივი კეთილობის გამო, შენ მათ იტან. ეს მტვერი და ნაცარი ამნაირათ მოქმედებენ, მაგრამ ნუ დაივიწყებ, შენ გააჩინე ადამიანი შენი სახის სამება და ერთი პიროვნება სამებისაგან გადაკეთე ადამიანათ, მთელი ქვეყნიერების დასახსნელათ. შეიწყალე ეს ერებიც, დასაჯე ეს სიბნელის მეთაურები. დამანახვე მეც შენი თავი ღმერთო ჩემო ჩემი წინაპრებისა, მე შენი მოსამსახურე, შვილი შენი მოსამსახურეების; გაიგოს ქვეყანამ კიდის-კიდემდე შენი ძალა. დეე ამით ისარგებლოს ჩრდილოეთმა, როგორც სამხრეთმა. მთელმა მსოფლიომ თავყანი-გცეს მართლა შენ, ერთად-ერთს ღმერთს, იესო ქრისტეს შენს შვილს, რომელსაც ეკუთნის სახელი და მოქმედება შებრალეების.

ამ დროს უცებ ამოვარდა ძლიერი ქარი, ხალხი დაიფანტა შიშით, ქარმა და გრიგალმა გადაყარა ყველა კერპი, დაამსხვრია ის, დაამსხვრია კედლები, გადაყარა ქვეები; როცა ეს გრიგალი გათავდა მე გამოვედი კედლის ქვაბიდან, სადაც თავი შევჯაფარე, და გავსწიე ციხის კედლებისაგან. აქ ვლოცულობდი ექვსი დღე. იქვე ავმართე ჯვარი; მოვიდა ხალხი მაგრამ ვერ ნახეს თავისი ღმერთები, მე კი იქ ვიყავი. მეექვსე დღეს მოვიდა ჩემთან თავადის ქალი შუშანა და მთარგმნელის საშუალებით მკითხა ჩემი მოგზაურობის ყველა წვრიმალეები. როცა მან გაიგო ყველაფერი ჩემი ამბავი, დაღვარა ბევრი ცრემლი ჩემთვის. მან მომცა წინადადება მას წავეყოლოდი სასახლეში, მე უარი უთხარი. ის წავიდა. მესამე დღეს დავეშვი მცხეთას და შევედი მეფის სასახლეში. დარაჯის კარებთან ვნახე ქალი ანასტასია, მაკოცა, გამწმინდა, ფეხები დამბანა, როგორც თავის ძველ მეგობარს, მიმპატიჟა საუმელზე, პურზე და ღვინოზე. ის იყო უშვილო, რაზედაც სწუხდენ ის და მისი ქმარი, იქვე დამეძინა. ვნახე სიხმარში ერთი კაცი, რომელმაც მითხრა: წადი ბაღში, იქ ნახავ ყვავილებიან თაიგულს, წაიღე და აქამე იმ ცოლ-ქმარს და შვილები ეყოლებაო. მე შევიასრულე ეს რჩევა და მართლაც მათ გაუჩნდათ შვილები». ამით თავდება წმინდა ნინოს ნაამბობი.

როცა ის მივიდა მცხეთაში გადაწყვიტა დასახლებულიყო ებრაელთა უბანში, რადგან ის კარგად ლაპარაკობდა ებრაულ ენაზე. ბინა იშოვა ერთ ებრაელის ოჯახში; მამას ერქვა აბია-

თხარი და მის ქალიშვილს სიღონია. დიდი ხანი არ გასულა, რომ, ნინოს გავლენით, ორივე მასპინძელი გახდა ქრისტიანები. აბიათხარი ეკურთხა ღვდლათ. მან შემდეგ დასტოვა მთელი აწერილობა საქართველოს გაქრისტიანების შესახებ. ის სწერს სხვათაშორის შემდეგს: წმ. ნინო არავის არ ეკარებოდა დიდხანს, ლოცულობდა მარტოთ-მარტო ტყეში, ხის ქვეშ, დღე და ღამე, დაიძინებდა იქვე მუზღებზე. ყველას ძალიან უკვირდა მისი ყოფაქცევა, ყველა დიდ ყურადღებას აქცევდა მას, ის არ მალავდა თავის აზრს და ეუბნებოდა ხალხს პირდაპირ: მე დავინახე ჩრდილოეთის ხალხნო, რომ იმყოფებით შეცდომაში და განაგრძობდა ქადაგებას ქრისტიანობისა. მას მიემხრენ მღვდელი აბიათხარ, მისი ქალიშვილი და კიდევ ებრაელი ქალი და შეუდგენ ქრისტიანობის ქადაგებას. ებრაელობა წინააღმდეგა აბიათხარს, სურდათ მისი დარბევა, მაგრამ მეფე მირიანმა გაგზავნა კაცები მის დასაცავათ, ვინაიდან ის ეპყრობოდა ქრისტიანობას თანაგრძნობით, ხოლო მისი მეუღლე ნანა იყო წინააღმდეგი ახალი სარწმუნოების; წმ. ნინო აგრძელებდა თავის ლოცვას გადამამლულათ, ბუჩქებში ჩასაფრებული, ხალხს კი მუდამ უკვირდა ამ ქალის ასეთი ლოცვა; ამ მოქმედებაში არაფერი ესმოდათ და მას ეკითხებოდნენ რას ნიშნავს ეს.

წმ. ნინო უკითხავდა მათ ძველ წიგნს «დაბადება»-ს და ახალ სახარებას, უხსნიდა მათ ამ წიგნების შინაარსს და აყვარებდა ქრისტეს. ამ ხაზით მუშაობდა ის სამ წელიწადს. ისწავლა მან ქართული ენა და შემდეგ იწყებს საჯარო ქადაგებას, ზრდის თავის მოწაფეებს და არჩენს ავთიმყოფებს, თვით დედოფალი ნანა განკურნა და მასთან ერთად მისი პატარა ყმაწვილი. განცვიფრებული მეფე მირიანი იწყებს გამოძიებას ქრისტეს სარწმუნოების. ხშირათ ეკითხება გაქრისტიანებულ ებრაელებს ძველი და ახალი აღთქმის შესახებაც. აბიათხარმა მას აუხსნა დაწვრილებით. მეფეს ახლა მიეცა სურვილი გაქრისტიანების, მაგრამ ამავე დროს კიდევ ქონდა ნდობა კერპების. მხოლოდ დედოფალი ნანა ეხვეწებოდა მას მიეღო ქრისტიანობა; წმ. ნინო კი განაგრძობდა დაუღალავათ ხალხისთვის ქადაგებას, ამავე დროს არავის ეუბნებოდა ვინ არის ის და საითკენ მიდის, თავისთავი გამოქონდა ტყვეთ; მან განკურნა მოკვების მეთაური, რომელიც იყო მთავარი პიროვნება მირიანის გვარეულობიდან. ნანამ სთხოვა წმ. ნინოს მიექცია მისთვის ყურადღება, მირიანი ეკითხებოდა ნინოს: «რომელი ღმერთის დახმარებით კურნავ ამ ავთიმყოფებსო, ხარ შვილი არმაზის თუ ზადენის, ჩვენს წინაშე შენ ხარ ჩვენი შვილების მკვებავი, შენ ხარ ჩვენ ქალაქში უდიდეს პატივისცემაში, მაგრამ გაფთხილებ ნურას იტყვი რომაელთა ყალბ სარწმუნოებაზე, რადგან ჩვენი ღმერთები არიან უდიდესნი. შენ თუ მოარჩენ ჩვენ მთავარს გაგამდიდრებთ, გაგზნით მოქალაქეთ მცხეთისა და

არმახის მოსამსახურეთ.»—«ჰო მეფევე, მე გამომგზავნა შენთან ქრისტემ და მისი დედის ლოცვამ, გამომგზავნა თავისი უსაზღვრო კეთილობით. ჰო მეფეო, ახლოდებდა დრო თქვენი ღმერთთან დაახლოებისა».

სიდონია ასე მოგვითხრობს მეფის გაქრისტიანებას: «ერთხელ ზაფხულში მეფე წავიდა სანადიროთ, მასში გაიღვიძა სიყვარულმა კერპების და თაყვანისცემა ცეცხლის და უთხრა მხლებლებს: ჩვენ ვართ ღირსნი დაგვსაჯონ ჩვენმა ღმერთებმა იმიტომ, რომ ნება მივეციტ ქრისტიანებს იქადაგონ თავისი სარწმუნოება ჩვენს ქვეყანაში და ეს იმიტომ, რომ სასწაულ ებას ახდენენ თილისმით. მე გადავწყვიტე მოვსპო ხმალით ყველა ის, ვინც იმედს ამყარებს ჯვარცმულზე და გავაძლიერო ჩვენი სამსახური ჩვენი ღმერთების წინაშე, ესენია ქარღის პატრონები, მე მივეცემ წინადადებას ჩემს მეუღლეს ნანას, უარყოს ჯვარცმული და თუ მე არ დამიჯერა დავიღვიწყებ ჩემს სიყვარულს და მოვსპობ მასაც სხვასთან ერთათ».

მეფე ავიდა მთაზე დასანახავათ კასპის მხარის და უფლის ციხის. როცა მან მიაღწია მწვერვალს ატყდა უცებ გრიგალი. რამაც ის დააშორა თავის მხლებლებს, დარჩა მარტო, გზა დაეკარგა და უცებ შესძახა: თუ მართლა არსებობ ნინოს ღმერთო დამიხსენიო. გრიგალი უცებ შეწყდა და მეფემ ნახა თავის გზა. ეს იყო ზაფხულში, ივლისში, შაბათს. ხალხი დაიდრო მეფის მოსანახავათ და გამოსაყვანათ. ის ნახეს. წმ. ნინო ჩვეულებრივით ამ დროს ლოცულობდა ბუჩქებში და მასთან იყო სიდონია და 50 პიროვნება. როცა მეფე დაბრუნდა მთელი მცხეთა იყო აღელვებული. ის კი იძაზოდა—სად არის ეს უცხო ქალი, რომელიც ახლა ჩემი დედაა, მისი ღმერთი ჩემი მხსნელია. გაიგო, ის ლოცულობს ბუჩქებში ქალაქს გარეთ. მეფე თავისი მხლებლებით გაემგზავრა მისკენ. მივიდა თუ არა—ჩამოხტა ცხენიდან და უთხრა ნინოს: ახლა მე გამხადე ღირსი შენი ღმერთის, ჩემი მხსნელის. ნინომ ასწავლა მას როგორ უნდა ღვთის თაყვანისცემა. მთელი ხალხი ატირდა სიხარულით. მეორე დღეს მეფემ გაგზავნა დესპანები საბერძნეთში, ხოლო ნინო უკვე ასწავლიდა ხალხს აშკარათ—ოფიციალურათ ქრისტეს სარწმუნოებას. მეფემ მას ურჩია ეკლესიის აშენება, რომ ამით ხალხმა სწრაფათ შეითვისოს ქრისტიანობა. საბერძნეთიდან ღვდლების მოსვლამდე. მე მირჩევნია ეკლესია ავაშენო შენს ბუჩქებშიო. მაშინვე მოჰრეს ხეები და ჩაუყარეს საფუძველი ამ პირველ ქართულ ეკლესიას. აქ მოდიოდა ბევრი ავთიმყოფი და ღებულობდა განკურნებას. ეკლესიის აშენება თავდებოდა, როცა საბერძნეთიდან მოვიდნენ ქართველი დესპანები და ბერძნეთა ეპისკოპოსები, ღვდლები და დიაკვნები, გამოგზავნილი კონსტანტინეპოლიდან იმპერატორ კონსტანტინეს მიერ.

იმავე სიდონიას ნაამბობით ხალხის მონათვლა ხდებოდა შემდეგნაირათ: «მეფე მირიანმა უბრძანა ერისთავებს, სარდ-

ლებს და მოხელეებს შეიკრიფონ მის წინაშე. ყველანი მოვიდნენ მცხეთაში, მეფემ მიიღო მონათვლა ნინოსაგან. მისმა მეუღლემ და ოჯახმა მღვდლებისაგან. ამით მოამზადეს ადგილი მტკვრის ნაპირას და აქ მონათლეს დიდები. ამ ადგილს დაარქვეს დიდების მთავარი სანათლავი. იქვე ახლოს დაბლა იმავე მდინარის ნაპირას ორმა მღვდელმა და დიაკვნებმა მონათლეს ხალხი. ყველა ჩქარობდა მონათვლას, მთელი ქართველობა ეძებდა რაც შეიძლება ჩქარა გაქრისტიანდეს, გარდა მთიელებისა. ებრაელთა უმრავლესობამ უარი სთქვა სარწმუნოების გამოცვლაზე. აგრეთვე რანის მცხოვრებლებმა. მეფემ გაგზავნა დესპანები ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინესთან და სთხოვა მას გამოუგზავნოს ქრისტე ღმერთის ჯვრის ხის ნაჭრები და მღვდლები ქართლის ჩქარა გასაქრისტიანებლად».

ამით თავდება სიღონის მოთხრობა. ამავე დროს კონსტანტინეპოლიდან მოვიდა პატრიარქის წერილი წმ. ნინოს და მეფის სახელზე, მოვიდა აგრეთვე ფრანკების დიაკვანი ნინოსთან დასაკავშირებლათ და სთხოვა მას ილოცოს ფრანკთა ხალხისათვის. მან თან მოიტანა თავის მეფის წერილი წმინდა ნინოსათვის.

ბიზანტიაში უკვე გავრცელდა იერუსალიმის და კონსტანტინეპოლის გზით ცნობა, რომ ჭეშმარიტების მზემ განათა საქართველო.

მეფე მირიანმა უთხრა წმ. ნინოს და ეპისკოპოს ივანეს, რომ მას სურს მთიელთა ქართველებს და ჩემ სიძეს ფეროს დაატანოს ძალა გაქრისტიანდნო. ნინომ უთხრა: ღმერთი არ ბრძანებს მახვილით მონათვლას, მხოლოდ სახარებით და ჯვარით უნდა უჩვენოთ მათ ჭეშმარიტი გზა. ნინო და ეპისკოპოსი ივანე წავიდნენ მთაში. მეფემ გააყალბა ერთი ერისთავი. ისინი იწყებენ იქ თიელთა გაცნობას ქრისტეს. მათ უარი უთხრეს სარწმუნოების გამოცვლაზე. ერისთავმა აღმართა ხმალი და დამტვრია მათი კერპი. ხალხი დაიმორჩილა. აქედან დაეშვა მთიანეთისაკენ, არც აქაურ მცხოვრებთ სურდათ მონათვლა. აქედან წმ. ნინო წავიდა სიღნაღისაკენ, სადაც დარჩა რამდენიმე ხანი და ავით გახდა. სწრაფათ მოვიდა მასთან მეფის ვაჟი რევი ცოლით სალომეთი და მრავალი მხლებლებით. აი აქ გარდაიცვალა წმინდა ნინო და დაასაფლავეს იქვე. ეს მოხდა 330—338 წლებს შორის. მან იცხოვრა მცხეთაში 14 წელიწადი, ამას შორის სამი წელიწადი მარტოდმარტო, მირიანის მონათვლამდე. საქართველოში მოვიდა 19 წლის. იცხოვრა, მაშასადამე, სულ 34 წელიწადი.

წმინდა ნინოს მოქმედება ჩქარა გახდა საყოველთაოთ ცნობილი. ყველა საქრისტიანო წრეში შეუდგენ მის შესახებ წერას, განსაკუთრებით ბერძნების, არაბების და სომეხთა ის-

ტორიკოსები. ბერძენთა მწერალი რუფინი შეხვდა პალესტინაში ქართველ ერისთავს, რომელმაც უამბო წმ. ნინოს ცხოვრება; რუფინმა ეს დასწერა თავის ისტორიაში, რაც სახსრებით ეთანხმება ზემოთ აწერილ ისტორიას. რუფინის გამაგრებელი ისტორიკოსი სოგრატი აღწერს აგრეთვე წმინ. ნინოს ცხოვრებას, რაც სახსრებით ეთანხმება რუფინისას.

ამავე საგანზე დასწერა ისტორიკოს სახოშენმა მთელი ისტორია ნინოზე და გაქრისტიანებულ საქართველოზე; მისი სიტყვით წმ. ნინოს რჩევით მეფემ გაგზავნა დელეგაცია ბიზანტიის იმპერატორთან და სთხოვა კავშირი და მფარველობა ახლად გაქრისტიანებულ საქართველოსათვის.

ამ ხანაში ბევრი ქართველი მოგზაურობდა პალესტინაში და მიქონდა საქართველოს ამბები, რასაც იქაური ისტორიკოსები სწერდნენ. აი ეს დოკუმენტები იქნა შენახული და საჭირო გახდა მათი მოხმარა ისტორიის წყაროთ მას შემდეგ, რაც არაბებმა დაიპყრეს საქართველო და დასწვეს ყველა დოკუმენტები 717 წელს. გარდა ბიზანტიის მწერლებისა საქართველოზე წერდნენ არაბთა მწერლები და სხვები.

წმ. ნინოს უწოდებდნენ თეო გნოსტ, რაც ნიშნავს: საქართველოსათვის მიმცემი მოძღვრების ნამდვილ ღმერთზე. ეს ნაწერები დღესაც ინახება ვატიკანის ბიბლიოთეკაში.

ამავე საგანზე ბევრი სწერა სომხეთის ძველ ისტორიკოსმა ხორენმა. ერთისიტყვით, ეს ახალგაზრდა ქალიშვილი წმინდა ნინო გახდა მაშინდელი საერთაშორისო მწერლობის გამირათ.

მირიანმა დასტოვა ანდერძი, სადაც სხვათა შორის ის ეხება წმ. ნინოს. აქ სწერია: «მე ვარ 36-ტე მეფე საქართველოისა. ჩემი წინაპრები მსხვერპლათ სწირავდნენ საძაგელ კერპებს თავის შვილებს და თავის ხალხებს. ისინი პირდაპირ სწყვეტდნ თავის შვილებს კერპების წინაშე დამსახურებისათვის. ასეთი მსხვერპლი იწირებოდა განსაკუთრებით ორ მთაზე—არმაზის და ზადენის. რომელთა ფეხები დღესაც კი წითელი უდანაშაულოთა დანთხეული სისხლით. მაგრამ, როცა დრო შეიცვალა, მოვიდა ბედნიერი წმ. ნინო მოციქული და სახარების მატარებელი ღმთის შვილი. პირველად ის აწარმოებდა სრულ სიჩუმეს, როგორც მუნჯი. თავისთავს ასაღებდა, როგორც ტყვეს და მიტოვებულს. აი ეს ტყვე და მიტოვებული გახდა ჩვენი დედუფალი, ჩვენი მეგზური და თავშესაფარი. მან იცის საიდუმლოება ჩემი გულის, ამ წმინდანმა აანთო ჩემ გულში სინათლე-სინათლეოთა. ის იყო ჩვენი მეგზური წმინდა მონათვლით და გაღმერთებით წმინდა ჯვარის. მან შეგვაკავშირა ქრისტეს ხალხებთან. მე ვასრულებ რჩევებს. რაც მან მე მითხრა. ავაშენე ერთი ეკლესია ჩემი წინაპრების მინდორში, მეორე წმ. ნინოს ბუჩქებში, სადაც ის ლოცულობდა, ორივე ადგილას ხდებოდა ავათმყოფთა დიდი

განკურნება. მე ვანდობ ჩემ სულს, ჩემს დედას წმ. ნინოს, მან დაგვტოვა ობლებად, მე ვიყავი დიდად ნაღვლიანი მისი გარდაცვალებით, ისე როგორც მთელი ქართველი ერი. წმ. ნინო დამალა ნისლმა, თუმცა ის არის სხივებში და გვიჩვენებს ყველგან. ჩვენ მიწას მივეცი მისი წმინდა სხეული ბოდბისში—მდებარე კახეთში. მთელ ჩვენ სამეფოსთან ერთად დავსტირეთ ის 30 დღე».

შემდეგ მირიანი მიმართავს თავის მეუღლეს ნანას: «შენ ნანა თუ ჩემს მერე იცხოვრებ გაყევი ორად ჩემი სამეფო ქონება. ნახევარი მოანდომე წმ. ნინოს საფლავის შენახვას სამიდღემწიოთ. მე ვთხოვ არქიეპისკოპოსს ეს ადგილი მან გახადოს სასახელოდ, ეს მან დაიმსახურა».

დასკვნა: მეფე მირიანის მიერ წმინდა ნინოს დახასიათებას ჩვენ შეგვიძლია მიუმატოთ წმინდა ნინოსადმი მიმართვა სარა ნიაფორის მიერ, ვისთანაც ის იყო მოსამსახურეთ; ნინო იყო მისი გაზრდილი. ის წერდა 12 წლის ნინოს: «მე ვხედავ შენში ლომის ძალას და აღმაფრენას მზგავსათ დედა შევარდენისა, რომელიც ფრინავს მამალი შევარდენის მალა».

წმინდა ნინოს როლი საქართველოს ცხოვრებაში იყო უდიდესი, უმაღლესი ხარისხის. მან განსაზღვრა ერის მთელი ისტორიის მსვლელობა. აი რას წერს მასზე ეკლესიის ცნობილი ისტორიკოსი თამარატი: «მის სახელს ყოველივე ქართველი ახსენებს უმაღლესი პატივისცემით და ლოცვით, რადგან ეს ახსენებს მათ დახსნას, აღორძინებას და აყვავებას მისი ერისა».

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი ხალხი იბრძოდა 16 საუკუნის განმავლობაში თავის ფიზიკურად გადარჩენისათვის. რწმენა ქრისტესი აძლევდა უდიდეს მორალურ დახმარებას ამ უთანასწორო ბრძოლაში.

ქართველ ერს პირველ საუკუნოებში ქრისტეს შემდეგ ყოველი მხრიდან აწევბოდა გარეშე მტერი და მას აგდებდა დიდ საშიშროებაში. ამ დროს საქართველომ იწამა კეთილის მყოფელი ღმერთი, რომელიც ყოველთვის მოვა დასახმარებლად. ხშირად ამ იმედით მცირე რიცხოვანი ქართველები ებრძოდნენ დიდძალ შემოჭრილ მტერს. მეფე მირიანი სწერს: «წმინდა ნინომ დააკავშირა ქართველი ხალხი ქრისტეს ხალხებთან»-ო, ესე იგი პირველყოფლისა ის დაახლოვა ბიზანტიას და ამით ქართველობა დაუკავშირდა დაუშრობელ წყაროს ბიზანტიის კულტურისა. ერთისიტყვით, წმინდა ნინომ, ამ ახალკახნა გოგომ, საქართველო განაშორა აღმოსავლეთს, მიაბრუნა დასავლეთისაკენ და მით გაუხსნა მას დიდი კულტურის გზები.

პარტიული ცხოვრება.

ბიუროს რეზოლუცია (22 სექტემბერი, 1946 წ.).

საქართველოს სოც.-დემ. პარტიის სახლვარ-გარეთელი ბიუროს სასტიკათ გმობს საბჭოთა იმ გაუგონარ, არაადამიანურ მოპყრობას, რაიცა მან გამოიჩინა ჩრდილო-კავკასიის უძველეს არა-რუს მოსახლეობის მიმართ.

მან გადაასახლა, მოსპო აქ ათასი წლებით მოსახლე ძველი პატარა ერები, არ დაინდო არც ქალი, არც ბავშვი, არც მოხუცებულნი, არც მათი სახლ-კარი, არაფერი და არავინ.

ამ ყაჩაღური მოქმედების საბუთათ რუსეთის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა ზოგი მათგანის გერმანელთა ჯარში ჩაწერა, მათი გამარჯვებისათვის ხელის შეწყობა. ეს არის აშკარა მომიჯნება და არა ნამდვილი მიზეზი, ვინაიდან ასეთი მოვლენა მოხდა მრავალ სხვა ერებში, სადაც კი გერმანიის ჯარი შევიდა, მაგრამ არავის ფიქრადაც არ მოსვლია დამნაშავეთა მაგიერ თვით ამ ერების გადასახლება და დაფანტვა—მარტო ვლასოვის ჯარში ირიცხებოდა ნახევარი მილიონი რუსი. ხოლო საფრანგეთი ხომ მთლათ დანებდა.

ცხადია, საბჭოთა მიერ ამ ახალი დევნის ნამდვილი მიზეზია რუს კომუნისტებს შორის ომის მსვლელობაში გავრცელებული ნაციონალისტურ-შოვინისტური სულისკვეთება, ძველი სლავიანოფილური დოქტრინის სამარადიან ამოთხრა და ოფიციალურ დროშათ აფრიალება. ამ ახალი კომუნისტურ-ნაციონალისტური იდეოლოგიის პირველი მსხვერპლია ჩრდილო-კავკასიელი, რასაც მოყვება სხვა არა-რუსი ერები. ეს ახლათ გამოგონილი რასიული დევნა უქადის ყველა საბჭოთა არა-რუს სლავიანებს განადგურებას.

ჩვენ მოვითხოვთ: ეს რასიული დევნა დაუყონებლივ მოისპოს, სამშობლოდან განდევნილი ერები უკან იქნას დაბრუნებულნი და ეს სამარცხვინო აქტი დაგმობილი და უკან წაღებული.

რესპლიუცია მიდებული პარიზის ს.-დ. ორგან. კრებაზე.

პალესტინის საკითხი.

ერთად ერთი ერი მსოფლიოში, რომელმაც ვანიცადა უსაშინელესი ტანჯვა-წვალება, იყო დაფანტული და დევნილი ყოველგან, არის ებრაელთა ერი.

მან დაკარგა თავისი სამშობლო; გახდა იძულებული იცხოვროს სხვადასხვა ერთა შორის, მიიღოს მათი რეჟიმი და მათი დესპოტიური დამოკიდებულება მათადმი.

ებრაელთა ეს ტანჯვა გრძელდება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში; მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გამოჩნდნენ ებრაელთა პატრიოტები, ენერგიული მებრძოლნი, რომლებმაც გადასწყვიტეს აღადგინონ თავიანთი ძველი სამშობლო და დაეხმარონ თავის თანამემამულეთ გადასახლდნენ სამშობლო მიწა-წყალზე და შექმნან იქ ნაციონალური სახელმწიფო.

ეს დიდი მებრძოლნი არიან სოციალისტი-სიონისტები, პარტია სოციალურ საკითხში სოციალისტური, ნაციონალურ საკითხში კი ნაციონალისტური. უდიდესი მებრძოლნი სამშობლოსა.

ერი უნდა იყოს თავისუფალი და ქონდეს ტერიტორია და სახელმწიფო ნაციონალური. ებრაელობამ სავსებით დაიმსახურა ეს.

და აი ახლა, როცა ეს დიდებული დროშა ხორციელდება, როცა პალესტინაში იქმნება სახელმწიფო ისრაელის, ებრაელებს ყოველი მხრიდან თავს ესხმიან არაბები და კვდრებით აღდგენილ ებრაელთა სახელმწიფოს ანგრევენ.

ქართველი სოციალ-დემოკრატები შეკრებილნი პარიზში 30 მაის 1948 წ. ადგენენ გამოუცხადონ ებრაელთა ერს თავისი ღრმა თანაგრძნობა და მას უსურვებენ თავისი ნაციონალური იდეალის განხორციელებას პალესტინაში და მოაწყონ მშვიდობიანი ურთიერთობა მეზობელ ხალხებთან, როგორც არაბებთან ისე სხვებთან.

ქართულ ტუბიკ. კომიტეტის საღამო.

ხუთ მაის იენას ზალაში გაიმართა დიდი საღამო კომიტეტის მეთაურობით ქართველ ტუბერკულოზით ავადმყოფთა სასარგებლოთ. დაესწრო მრავალი ხალხი, რომელთა შორის იყვნენ ბევრი უცხოელნი. ესენი დაინტერესდნენ განსაკუთრებით ქართული ცეკვით, რასაც პირველათ ხედავდნენ. ეს ცეკვა იყო დიდებულათ, არტისტიულათ ჩატარებული აბაშიძის, შ. სტურუას და ძმების კობახიძეთა მიერ. ეთერი ფაღვამ, რაზედაც დღეს მთელი აქაური პრესა წერს და მას აქებენ, თავისი ცეკვით მოგვცა ჩაიკოვსკის მუსიკის საუკეთესო დახასიათება. დიდი აღფრთოვანება გამოიწვიეს აგრეთვე ოპერის ცნობილ მოცეკვავებმა: ოდეტ კლაეიე, პიერ ლაკოტ, ეანინ შარა და ვალოდია სკურატოვმა საუცხოოთ წარმოგვიდგინა შოთა რუსთაველის ბალეტის სხვადასხვა ნაწილები. გასაკვირალი ნიჟით და ენერგიით ამათ დაგვიხატეს სცენაზე თამარ მეფის დროის კეთილშობილური და წმინდა გრძნობები და ურთიერთობა. მთელი მაყურებელი საზოგადოება ეროვნებათა განურჩევლათ დიდათ კმაყოფილი დარჩა. დიდი ტაშით შეეგებნენ აგრეთვე კობალაძეს და გურსკის ქალს. საერთოთ, საღამო დარჩა გამართული მეტათ ნიჟიერათ და მოხერხებულათ.

დამსწრე.

ქართველობა უცხოეთში.

მიმდინარე წლის 20 მარტს, პარიზში, მოხდა ქართველ ტუბერკულოზით ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოების კრება. კომიტეტის თავმჯდომარე ინა ყორდანიამ გააკეთა მოხსენება საზოგადოების მუშაობის შესახებ გასული ერთი წლის განმავლობაში. აი ამ მოხსენების მოკლე შინაარსი.

ჩვენი მუშაობა გაიყოფება სამ ნაწილათ: მუშაობა აღმინისტრაციული, ნივთიერი და მორალური ხასიათის. პირველი ხასიათის მუშაობა შეიცავს მიღებას ყველა ზომების, რაიცა არსებული კანონით მოხუცთა და ავადმყოფთა დახმარების შესახებ გავრცელდეს ქართველობაზედაც. ამ სფეროში პირველ რიგზე დგას კანონი დახმარების იმ მუშებისათვის, რომელთაც შექონდათ თავისი ქირის ნაწილი კასაში ავადმყოფობამდე. ამ მუშაობაში ჯერ-ჯერობით ჩვენ მივი-

ღეთ დაკმაყოფილება ერთ მოხუცის და მისი ოჯახისათვის, ასეთივე საქმეები სხვების შესახებ ნორმალურათ მიმდინარეობს და გვაქვს იმედი დაკმაყოფილების მიღების. მეორე ნაირი დახმარების შესაძლებლობა განისაზღვრება კანონით, რაიცა იქნა გამოცემული 14 ივლის 1905 წ. ზოგი ჩვენი ავთმყოფი უკვე იღებს აქედან დახმარებას თვეში 500 ფრ. საჭიროა ახლა შესწავლა და გამოყენება იმ კანონების, რაიცა ანიჭებს დახმარებას ეკონომიურათ სუსტ პირებს.

მეორე ჩვენი მუშაობაა ნახვა იმ ავთმყოფების, რომელნიც მარტო არიან, ხოლო ვისაც ყავს ოჯახი და ახლო პირები, მათი ნახვა არ შედის კომიტეტის მოვალეობაში. ხშირათ ავთმყოფის შორჩენა არის დამოკიდებული ჩვენს ნახვაზე და ზრუნვაზე.

მესამე მუშაობა ეხება ნივთიერ დახმარებას: მიღებას საზოგადოების წევრებათ ახალ-ახალი პირების, მოკრება საწევრო გადასახადების, გამართვა საღამოების და ლექციების. ამ გზით მივიღეთ საერთო შემოსავალი ასორმოცდათერთმეტი ათასი და 720 ფრ. (151.720 ფრ.). აქედან წმინდა შემოსავალი დარჩა 58.071 ფრ., რაც დაურიგდა ავთმყოფებს, დანარჩენი მოუნდა გამართვას საღამოების და სხვადასხვა ადმინისტრაციულ საქმიანობას. კასაში დარჩა 1.596 ფრ.

საზოგადოებამ კომიტეტს მადლობა გამოუცხადა წასული მუშაობისათვის და აირჩია ახალი კომიტეტი. ახალ კომიტეტში აირჩიეს: ინა ქორდანი, ა. ელიგულაშვილის ასული, ი. პაპუაშვილისა, მ. ჩუბინიძე და მ. სტურუა. კანდიდატებათ: მ. თაქთაქიშვილისა და თამ. წერეთლისა. სარევიზიო კომისიაში: პ. კობანიძე, სევ. სარჯველაძე და ტ. წულაძე.

ამწლის 10 აპრილს მოხდა პარიზის ქართველთა კოლონიის საზოგადო კრება, რომელმაც მოისმინა გამგეობის მოხსენება კოლონიის მუშაობის შესახებ გასული ერთი წლის განმავლობაში. კრებამ მადლობა გამოუცხადა ძველ გამგეობას და აირჩია ახალი გამგეობა: კოლონიის თავმჯდომარეთ ბ-ნი ლ. ზურაბიშვილი; წევრებათ: ქ-ბნი ლუბა აბდუშელი-სა, ქ-ნი ბაგრატიონი, ბატონნი ლ. ფალავა და გ. ყიფიანი, აგრეთვე აირჩია სარევიზიო კომისიის წევრებიც.

ქალაქ ოსლოში (ნორვეგია) 9 აპრილს 1949 წელს
გარდაიცვალა ამხანაგი

პალიკო მგალობლიშვილი,

საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი დირექტორი.

უცხოეთში გარდაცვლილ ამხანაგების სია.

უკანასკნელ ომის დროს, 1939 წლიდან, გარდაიცვალა შემდეგი ამხანაგები:

- არავიაშვილი არჩილი.
- ბარამიძე მირიან.
- ბერძენიშვილი გიორგი.
- ბოცვაძე ვანო.
- გიორგიძე ამბაკო.
- დონდუა ვასილი.
- კალანდაძე ნესტორი.
- კუპრაძე ბებო.
- კახელაძისა სოფიო.
- კოკაია ივლიანე.
- ლომთათიძე დავითი.
- მონიავა ვიქტორი.
- მურვანიძე სერგია.
- ქორქოლიანი დავითი.
- სებისკვერაძისა ნადია.
- სოზაშვილი სოსო.
- ურუშაძე ლუკა.
- ფოფხაძე გიორგი.
- ქარცივაძე შოთა.
- ქურიძე შიო.
- ღამბაშიძე ალექსანდრე.
- ღუღუშიძე დათიკო.
- შარაბიძე კოლია.
- შინგელია შალვა.
- ჩარკვიანი ლევანი.
- ჩახუა ქორეიკა.
- ჩახვაძე მარკოზი.
- წულაძე ზაქარია.
- წულუკიძე მიხეილ.
- ხომერიკი ალფესი.
- ჯორბენაძე ზოსიმე.

თითოეული მათგანი მსხვერპლია იმ უსამართლობის, რომელიც დღეს სამშობლოშია გამეფებული. თითოეულ მათგანმა უცხოეთის ცივ მიწაში ჩაიტანა საკუთარი ქვეყნის სიყვარული. თითოეული მათგანის სული და გული მიისწრაფოდა ეხილა თავისი სამშობლო თავისუფალი, აღორძინებული. მათი პატივისცემა იქნება დარჩენილთა მიერ, მათი სურვილის აღსრულება, — ბრძოლის გაგრძელება საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ, თავისუფლების დასაბრუნებლათ.

ვლადიმერ ახმეტელაშვილი.

ვლ. ახმეტელაშვილი დაიბადა 1875 წ. (ძველი სტილით) სოფელ ანაგაში—კახეთში. საშუალო განათლება მიიღო თბილისის სემინარიაში. უმაღლესი სწავლა დაამთავრა გერმანეთში ნაციონალურ-ეკონომიის დოქტორის ხარისხით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი პირველ ხანებში თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში შვარცის ფსევდონიმით.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ იგი იყო ოფიციალური რედაქტორი სოციალ-დემოკრატიული გაზეთი «სხივი»-ს, რაც რეაქციის დაწყებისათანავე მთავრობამ დასურა და რედაქტორი სამართალში მისცა. სასამართლომ ახმეტელაშვილს ციხე მიუსაჯა. სასჯელის მოხდის შემდეგ პარტიულ გაზეთებში თანამშრომლობდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს იყო დამფუძნებელი კრების წევრი და ამ ქვეყნის წარმომადგენელი გერმანეთში, სადაც 1942 წელს გარდაიცვალა.

არკადი მამფორია.

(1903—1949 წ.)

მიმდინარე წლის მარტის თვეში ტუბერკულოზით გარდაიცვალა არ. მამფორია. იგი გიმნაზიის კედლების გაშორებისათანავე ჩაება ჩვენს ეროვნულ ბრძოლის საქმიანობაში. არკადი იყო იშვიათი პატიოსნებით, ენერგიული შრომით, მუყაითობით, მოუტეხელი ნებისყოფით და დიდი ოპტიმისტური სულიკვეთებით დაჯილდოებული. მან მერყეობა არ იცოდა, გაპირვებას და დაბრკოლებას ქედს არ უხრიდა, პირისპირ ხედებოდა და იმედს არ კარგავდა, რომ გათავისუფლებულ სამშობლოს ვერ ნახავდა და მის ხელახალ აღორძინებისათვის მისებური ენერგიით შრომას ხელს არ მოკიდებდა. საქართველოში მუშაობის დროს არკადი ყოველთვის პატივისცემით და ნდობით იყო აღჭურვილი, მასთან რჩევისათვის მიდიოდენ, მისგან დარიგებას ღებულობდენ. ეს ჩეკის აგენტებს შეუშინვეელი არ დარჩა; იგი იძულებული გახდა უცხოეთისათვის თავი შეეფარებია. უცხოეთში არკადი შედარებით დამშვიდებული საფრანგეთში გრენობლის უნივერსიტეტში სწავლას განაგრძობს, ჩინებულათ უნივერსიტეტს დოქტორის ხარისხით ამთავრებს.

ტ. წულაძე.

დახმარება «ჩვენი დროშა»-ს.

რედაქციამ მიიღო დახმარება: მ. ჩუბინიძის, ვ. ჩუბინიძის, ერ. მაჭავარიანის და პ. სარჯველადის, თითოეულთაგან ორიათას-ორითასი ფრან. კოლია ჯაყელის, მ. სტურუას, ალ. ბერაძის, გერ. სურგულაძის და ვ. ლონტის, თითოეულთაგან ათას-ათასი ფრან. ელენე ცაგარლისა, პრ. ინჭკირველის, გ. ერაძის, თითოეულთაგან ხუთას-ხუთასი ფრან. ყ. გრიგოლაშვილის და ლევ. ფაღვას, თითოეულთაგან სამას-სამასი ფრან. გ. ქორდანიას და გრ. წერეთლის, თითოეულთაგან ორას-ორასი ფრან. XXX-ს ხუთი ათასი ფრან. ი. ე. სამი ათასი ფრან. სულ 23.500 ფრანკი.

რედაქცია მადლობას უცხადებს დასახელებულ პირთ და კვლავ მოუწოდებს ამხანაგებს და თანამგრძობთ დახმარებისათვის შემდეგი ნომრის გამოსაცემათ.

გამომცემლობა უცხოეთში.

უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა ნოე ქორდანიას წიგნი სათაურით—«ახალი ნაწერები», რაშიაც მოთავსებულია შემდეგი წერილები 1. ჩვენი გზა, 2. დღეს, ხვალ, 3. ევროპა და კაცობრიობა, 4. დასაფიქრებელი, 5. რა ხდება მსოფლიოში, 6. შოთა რუსთაველი და ელინელთა ფილოსოფოსები. წიგნი ღირს გადაუგზავნელათ 200 ფრან. გამოწერა შეიძლება «ჩვენი დროშა»-ს რედაქციიდან.

პარიზში «ჩვენი დროშა»-ს შექმნა შეიძლება ამხ. ერ. მაჭავარიანთან და ბ. მ. ცაგარელთან.

ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.
35, rue de l'Aude 35.
Paris (14)

Le Gérant: M. Stouroua.

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.